



ფონდი „თაობა“

წინემოვლის სტანდარტები

საექთნო და ძირეული მოვლის  
პროცედურები

თბილისი

2006

ტერმინოლოგია

<b>მომზადება</b>	აღწერს კლიენტის, მასალის, ოთახის და მომვლელის მომზადებას
<b>ჩატარება</b>	წარმოადგენს მოვლით სექციანობას
<b>დასუფთავება</b>	აღწერს ყველაფრის მიღებებს, დასუფთავებას და სექციანობის დასრულებას
<b>ხარისხის უზრუნველყოფა</b>	ასახელებს წინასწარ გამოსავალს გარანტირებული, უზრუნველყოფილი მოვლისთვის და საჭირო ღონისძიებებს ხარისხის უზრუნველსაყოფად
<b>საყურადღებოა!</b>	მომვლელებისთვის იკლავა მნიშვნელოვან ინფორმაციას მათი კლიენტების ოპტიმალური ზრუნვისთვის

შემოკლებები:

დმ – (დიპლომირებული მომვლელი) პროფესიონალი შინმოვლის მედდა;

ტმ – (ტრენირებული მომვლელი) მომვლელი განათლების გარეშე, ტრენინგის ან ინსტრუქტაჟის შემდეგ.

# 1. დაბანა

## 1.1. მთლიანი დაბანა

### 1.1.1. მთლიანი დაბანა საწოლში

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთანთა/მომვლელთა რაოდენობა	1-2
დრო (საშუალო მაჩვ.)	1 – 2 საათი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მომზადება

##### მასალა:

- პერსონალური თასი
- დასაბანი საშუალება, კანის მოსაფლელი საშუალება (კანის ტიპის მიხედვით), სურვილის მიხედვით სახის კრემი, დეზოდორანტი, ოდეკოლონი და ტუნის საცხი
- 3 პირსახოცი
- 2 ქისა (აქედან 1 ქისა ინტიმ. ადგილებისთვის)
- სუფთა საცვლები/ტანსაცმელი (აარჩევინეთ)
- სავარცხელი (სასურველია სახელურით) და სარკე
- საჭიროებისას ქალაღის საფენი, პამპერსი, შესახვევი მასალა, წყალგამძლე პლასტიკი და სუფთა თეთრეული
- ერთჯ. ხელთათმანები
- სარეცხის ტომარა/კალათა
- მასალები კბილების (ან პროთეზის), პირის ღრუს და ინტიმ. ადგილების მოსაფლელად, გასაპარსად
- მუშაბა
- ნაგვის პარკი

##### კლიენტი

- დაეხმარეთ მოძრაობაში. საჭიროებისას აწიეთ საწოლის ფეხები ან თავი
- თვითონ აარჩევინეთ ტუალეტის საგნები, მიაღებინეთ საჭირო პოზიცია ან დახმარება შესთავაზეთ

##### ოთახი

- ოთახის ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად
- თეჯირი
- გამოყავით თეთრეულის, სარეცხის, პირსახოცების და ტუალეტის საგნების დასაწყობი ადგილი

##### მომვლელი პერსონალი

- გამოიყენეთ წინსაფარი
- დაიბანეთ ხელები

##### პერსონალის რაოდენობა

- ჩართეთ მეორე მომვლელი საჭიროებისას (კონტრაქტურების, სპასტიკის, ზედმეტად მსუქანი, აგზნებული და ფსიქიურად დაავადებული პაციენტების შემთხვევაში, ასევე აუცილებელი დაწვევისთვის)

#### ჩატარება

ზოგადი სტანდარტის – მთლიანი დაბანა – მიხედვით:

##### საჭიროებისას ვიტალური მაჩვენებლები გააკონტროლეთ!

- მიეცით მითითებები (დამოუკიდებლად, რამდენადაც შესაძლებელია. ინტიმ. სფეროც)
- დაბანეთ ბაზალური სტიმულაციითა და ბობათის მეთოდით (სხეულის დამამშვიდებელი ან გამაცოცხლებელი დაბანა)

- სხეულის უკეთესად აღქმისთვის, პირველ რიგში დაბანეთ ტანი (თორაქსი), შემდეგ კიდურები და წაუსვით მოსავლელი საშუალებები.
- გამოაჩინეთ სხეულის ის ადგილები, რომლებიც იმ წუთას უნდა დაიბანოს (ინტიმ. სფეროს მხედველობის არიდან და გაციებისაგან დაცვა)
- კარგად გაამშრალეთ კანის მოწყველადი ადგილები, სადაც მოსალოდნელია დაზიანებები (იღლიები, მკერდის ქვეშ, მუცლის ნაკეცები, საზარდული, ფეხის თითებზე ადგილები, კონტრაქტურები)
- დააკვირდით კანის შესაძლო ცვლილებებს (სიწითლე, სოკო, ეგზემა), დააფინეთ მშრალი ბინტები სველ ადგილებზე (არანაირი პუდრა)
- გამოიკითხეთ სურვილები პროცედურის განმავლობაში (მაგ.: წყლის ტემპერატურა),
- მიეცით მითითებები ჩაცმა-გახდისას (ინტიმ. ადგილის მოვლა შეძლებისდაგვარად თვითონ გააკეთებინეთ, შემდეგ ხელები დააბანინეთ)
- შეამოწმეთ სისუფთავეზე და ფუნქციონირებაზე დამხმარე საშუალებები (სათვალე, სასმენი აპარატი), დაუღაგეთ ახლოს, ააცილეთ ორპირი ქარი.

**დასუფთავება**

- აალაგეთ და დაასუფთავეთ საგნები
- ჩაასხით წყალი ტუალეტში, დაამუშავეთ ტაშტი სველი მეთოდით
- დაცალეთ შარდმიმღები საჭიროების დროს (რაოდენობას, ფერსა და კონცენტრაციას დააკვირდით) და გამოსაჩენ ადგილას ჩამოკიდეთ

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- ყოველთვის ერთი და იგივე მოქმედება ხელს უწყობს ნდობისა და უსაფრთხოების შეგრძნების გაღვივებას და განმტვირთველია.
- კომპეტენტური (ბაზალური სტიმულაცია) და პროფესიონალური ქმედება კლიენტებს უქმნის ამაღლებულ განწყობას
- კმაყოფილება მიღწევადია

**საყურადღებო!**

- კლიენტს შეუძლია მომავალში დაბანის დრო თავად შეარჩიოს.
- სამუშაოს კოორდინაცია სხვა პროფესიულ ჯგუფებთან
- გათვალისწინებულ იქნეს უარი მოვლით პროცედურაზე (შარდისა და განავლის შეუკავებლობა)
- ჩაწერეთ დოკუმენტაციაში პროცედურასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება

**1.1.2. მთლიანი დაბანა აბაზანაში**

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთანთა/მომვლელთა რაოდენობა	1-2
დრო (საშუალო მანძ.)	1 – 2 საათი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა:**

- დასაბანი საშუალება, კანის მოსავლელი საშუალება (კანის ტიპის მიხედვით), სურვილის მიხედვით სახის კრემი, დეზოდორანტი, ოდეკოლონი და ტუნის საცხი
- 3 პირსახოცი (1 სკამზე დასაფენად)
- 2 ქისა (აქედან 1 ქისა ინტიმ. ადგილებისთვის)
- სუფთა საცვლები/ტანსაცმელი (აარჩევინეთ)
- სავარცხელი (სასურველია სახელურით) და სარკე
- საჭიროებისას ქაღალდის საფენი, პამპერსი, შესახვევი მასალა, წყალგამძლე პლასტიკი და სუფთა თეთრეული
- ერთჯ. ხელთათმანები
- სარეცხის ტომარა/კალათა

- მასალები კბილების (ან პროთეზის) და პირის მოსავლელად. ინტიმ. ადგილების მოსავლელად, გასაპარსად
- ნაგვის პარკი

### კლიენტი

- დაეხმარეთ წამოდგომაში საჭიროებისას; აწიეთ საწოლის ფეხები ან თავი
- წინასწარ მოამზადეთ სიარულში დამხმარე და ტექნიკური საშუალებები (სატრიალო დისკო, ეტლი აბაზანისკენ გადასადგილებლად), თუ ამის საჭიროებაა
- მოამზადებინეთ ტუალეტის საგნები თვითონ

### ოთახი/აბაზანა

- ოთახის/აბაზანის ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად
- თეჯირი
- დააფინეთ პირსახოცი სკამზე
- გამოყავით აბაზანაში თეთრეულის, სარეცხის, პირსახოცების და ტუალეტის საგნების დასაწყობი ადგილი

### მომვლელი პერსონალი

- გამოიყენეთ წინსაფარი
- დაიბანეთ ხელები

### პერსონალის რაოდენობა

- ჩართეთ მეორე მომვლელი საჭიროებისას (კონტრაქტურების, სპასტიკის, ზედმეტად მსუქანი, აგზნებული და ფსიქიურად დაავადებული კლიენტების შემთხვევაში)

### ჩატარება

იმავე მეთოდით, როგორც საწოლში და ნიუარასთან დაბანისას:

- გააკონტროლეთ ვიტალური მაჩვენებლები საჭიროებისას!
- განახორციელეთ აბაზანისკენ გადაადგილება ბობათის/კინესთეტიკის პრინციპების გამოყენებით
- მიეცით მითითებები (დამოუკიდებლად, რამდენადაც შესაძლებელია. ინტიმ. სფეროც)
- დაბანეთ ბაზალური სტიმულაციითა და ბობათის მეთოდით (სხეულის დამამშვიდებელი ან გამაცოცხლებელი დაბანა)
- სხეულის უკეთესად აღქმისთვის პირველ რიგში დაბანეთ ტანი (თორაქსი), შემდეგ კიდურები და წაუსვით მოსავლელი საშუალებები.
- დაბანეთ სხეულის ცალკეული ნაწილები საგულდაგულოდ, კლიენტისათვის მისაღები ტემპით
- კარგად გაამშრალეთ კანის მოწყველადი ადგილები, სადაც მოსალოდნელია დაზიანებები (იღლიები, მკერდის ქვეშ, მუცლის ნაკეცები, საზარდული, ფეხის თითებში, კონტრაქტურები)
- დააკვირდით კანის შესაძლო ცვლილებებს (სიწითლე, სოკო, ეგზემა), დააფინეთ მშრალი ბინტები სველ ადგილებზე (არანაირი პუდრა)
- გამოიკითხეთ სურვილები პროცედურის განმავლობაში (მაგ.: წყლის ტემპერატურა),
- მიეცით მითითებები ჩაცმა-გახდისას (ინტიმ. ადგილის მოვლა შეძლებისდაგვარად თვითონ გააკეთებინეთ, შემდეგ ხელები დააბანინეთ)
- გაითვალისწინეთ კლიენტის შესაძლებლობები და საჭიროების შემთხვევაში პერიოდულად შეასვენეთ (გახდა/ჩაცმისას, გამშრალებისას) ან დასვით სკამზე
- შეამოწმეთ დამხმარე საშუალებები (სათვალე, სასმენი აპარატი) სისუფთავეზე და ფუნქციონირებაზე, დაულაგეთ ახლოს, ააცილეთ ორპირი ქარი, ყურადღება მიაქციეთ მობილურ კლიენტებთან ფეხსაცმელების სიმყარეს (დაცემის საშიშროება)

### დასუფთავება

- აალაგებინეთ და დაასუფთავებინეთ საგნები კლიენტებს
- გაასუფთავეთ აბაზანა და სველი მეთოდით დაამუშავეთ
- დაცალეთ შარდმიმღები (დააკვირდით შარდის რაოდენობას, ფერსა და კონცენტრაციას) და გამოსაჩენ ადგილას ჩამოკიდეთ

### ხარისხის უზრუნველყოფა

- ყოველთვის ერთი და იგივე მოქმედება ხელს უწყობს ნდობისა და უსაფრთხოების შეგრძნების გაღვივებას და განმტკიცებელია.

- კომპეტენტური და პროფესიონალური ქმედება (მაგ.: ბაზალური სტიმულაცია) კლიენტებს უქმნის ამაღლებულ განწყობას
- კმაყოფილება მიღწევადია

**საყურადღებოა!**

- კლიენტს შეუძლია მომავალში დაბანის დრო თავად შეარჩიოს
- სამუშაოს კოორდინაცია სხვა პროფესიულ ჯგუფებთან
- გათვალისწინებულ იქნეს უარი მოვლით პროცედურაზე (შარდისა და განავლის შეუკავებლობა)
- ჩაწერეთ დოკუმენტაციაში პროცედურასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება

**1.13. შხაპის მიღება**

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთანთა/მომვლელთა რაოდენობა	1-2
დრო (საშუალო მაჩვ.)	1-2 საათი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა:**

- ტუალეტის საგნები (დასაბანი ლოსიონი, შამპუნი და კანის მოსავლელი საშუალება კანის ტიპის მიხედვით)
- სუფთა თეთრეული/ტანსაცმელი (აარჩიოს თვითონ), სურვილის მიხედვით აბანოს ხალათი და თუ საჭიროა, ქაღალდის საფენი, პამპერსი, შესახვევი მასალა და წყალგამძლე პლასტირი
- 2 ქისა (1 ქისა თვალების დასაცავად თავის დაბანისას)
- 1 ქისა ინტიმური ადგილებისთვის
- 4 პირსახოცი (1 შხაპის მიღების წინ დასაფენად, 1 სკამისთვის)
- ერთჯ. ხელთათმანები
- სარეცხის ტომარა/კალათა
- მოცურების საწინააღმდეგო საფენი ფეხებისთვის
- პლასტმასის სკამი საშხაპესთვის
- ნაგვის პარკი

**კლიენტი**

- გადაამოწმეთ სასიცოცხლო მაჩვენებლები საჭიროების დროს
- მოათავებინეთ ტუალეტი, დაცალეთ მიმღებები
- მიცილება/გადაყვანა საშხაპემდე
- მოხსენით არსებული დამხმარე საშუალებები (სათვალე, სასმენი აპარატი, პროთეზები, პარიკი)

**ოთახი/აბაზანა**

- ოთახის/აბაზანის ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად
- ჩამოკიდეთ კარზე „დაკავებულია“ ან დადგით თეჯირი
- შხაპის სკამი (საფენით), გაცურების საწინააღმდეგო საფენი იატაკზე ან საფენი აბაზანაზე, ხელის მოსაკიდი სახელურები
- დასაჯდომი საშუალება გახდა-ჩაცმისას (საფენით სკამზე)
- სარეცხის, თეთრეულის, პირსახოცების და ტუალეტის საგნების ჩასაწობი/შესანახი კალათა
- მოამზადდეს ლოგინი ახალი თეთრეულით სხვა მომვლელის მიერ პროცედურის დამთავრებამდე (საჭიროების დროს საწოლი გაიწმინდოს/ჩამოირეცხოს)

**მომვლელი პერსონალი**

- გამოიყენეთ წინსაფარი და პლასტმასის/რეზინის ფეხსაცმელები საშხაპესთვის
- დაიბანეთ ხელები
- არ შეცვალოთ დათქმული დრო

- გამოიყენეთ ერთჯ. ხელთათმანები (ინტიმ. სფეროსთვის)

**პერსონალის რაოდენობა**

- როგორც წესი, სჭირდება 1 მომვლელი. კონტრაქტურების, სპასტიკის, ზედმეტი სიმსუქნის, აგზნებული და ფსიქიურად დაავადებული კლიენტების შემთხვევაში ჩართეთ მეორე მომვლელი

**ჩატარება**

- შესთავაზეთ დაიბანოს დამოუკიდებლად, რამდენადაც ეს შესაძლებელია.
- თუ მოვლას თავის თავზე იღებს მომვლელი (კლიენტის თანხმობით), დამამშვიდებელი ან გამომაცოცხლებელი დაბანა უნდა მოხდეს ფართოდ გაშლილი ხელისგულით, სხეულთან მორგებით. მუდმივად მიაწოდეთ ინფორმაცია პროცედურის თაობაზე
- თბილი შხაპი ფეხებიდან ზემოთ
- წაუსვით სხეულს კანის მოსაველელი საშუალება
- მიეცით დასვენების საშუალება, გადაამოწმეთ, კარგად გრძნობს თავს თუ არა
- მეორე მომვლელი შლის ლოგინს
- შეცვალეთ სახვევები

**დასუფთავება**

- დაალაგეთ საშხაპე, გაანიავეთ. ჩამოსხენით „დაკავებულია“
- გაასუფთავეთ საშხაპე და აბაზანის საფენები, მოახდინეთ დეზინფექცია, ჩამოკიდეთ გასაშრობად

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- დამოუკიდებლობა თვითკმაყოფილების საფუძველია (დაუთმეთ საჭირო დრო პროცედურას და მოთმინება გამოიჩინეთ გახდა-ჩაცმისა და დაბანის დროს)
- კანის მოსაველელი საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს კანის ტიპს
- გამოიზრუნეთ ჩართული დამხმარე საშუალებები (მოცურების საწ. საფენი შხაპის შესასვლელში და საშხაპეში, ხელის მოსაკიდებელი და შხაპის სკამი) თავიდან აგაცილებენ გაცურებას და დაზიანებას
- მითითებებით, კონსულტაციებისა და დახმარების შეთავაზებით კლიენტი გრძნობს მფარველობასა და უსაფრთხოებას

**საყურადღებო!**

- მოსალოდნელი საშიშროებების შეცნობა და პროფილაქტიკა
- დაიცავით დაბანის რეჟიმი (გაციებისა და კანის დაზიანების საშიშროება)
- ყურადღება მიაქციეთ კანის შესაძლო ცვლილებებს

**1.14. აბაზანის მიღება**

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთანთა/მომვლელთა რაოდენობა	1-2
დრო (საშუალო მაჩვ.)	1 – 2 საათი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა:**

- ტუალეტის საგნები (საჭიროებისას შამპუნი და კანის მოსაველელი საშუალებები კანის ტიპის გათვალისწინებით)
- სუფთა საცვლები/ტანსაცმელი (აარჩევინეთ), სურვილის მიხედვით აბანოს ხალათი და თუ საჭიროა, ქაღალდის საფენი, პამპერსი, შესახვევი მასალა და წყალგამძლე პლასტირი
- 2 ქისა (1 ქისა თვალების დასაცავად თავის დაბანისას)
- 3 პირსახოცი (1 აბაზანის წინ დასაფენად)
- შესახვევი მასალა
- ერთჯ. ხელთათმანები
- სარეცხის ტომარა/კალათა

- წყალგამძლე პლასტიკი
- სკამი
- ნაგვის პარკი

**კლიენტი**

- გადაამოწმეთ სასიცოცხლო მაჩვენებლები საჭიროების დროს
- მოათავებინეთ ტუალეტი, დაცალეთ მიმღებები
- მიაცილეთ/გადაიყვანეთ სააბაზანომდე
- მოხსენით არსებული დამხმარე საშუალებები (სათვაღე, სასმენი აპარატი, პროთეზები, პარიკი)

**ოთახი/აბაზანა**

- ოთახის/აბაზანის ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად
- ჩამოკიდეთ კარზე „დაკავებულია“ ან დადგით თეჯირი
- იქონიეთ გაცურების საწინააღმდეგო საფენი და თავის დასადები აბაზანაში (შექლებისდაგვარად საკუთარი), აბაზანის საფენი
- დასაჯდომი საშუალება გახდა-ჩაცმისას (საფენით სკამზე)
- სარეცხის, თეთრეულის, პირსახოცების და ტუალეტის საგნების ჩასაწობი/შესანახი კალათა
- მოუშვით წყალი, აავსეთ აბაზანა, ტემპერატურა გასინჯეთ იდაყვით
- სხვა მომვლელის მიერ პროცედურის დამთავრებამდე მომზადდეს ლოგინი ახალი თეთრეულით (საჭიროების დროს საწოლი/ლეიბი გაიწმინდოს/ჩამოირეცხოს)

**მომვლელი პერსონალი**

- გამოიყენეთ წინსაფარი და საჭიროების დროს პლასტმასის/რეზინის ფეხსაცმელები
- დაიბანეთ ხელები
- არ შეცვალოთ დათქმული დრო

**პერსონალის რაოდენობა**

- როგორც წესი, სჭირდება 1 მომვლელი, კონტრაქტურების, სპასტიკის, სიმსუქნის, აგზნებული და ფსიქიურად დაავადებული პაციენტების შემთხვევაში ჩართეთ მეორე პიროვნება

**ჩატარება**

- მითითებები და აუცილებელი დახმარება
- გახდა-ჩაცმა ხდება არსებული უნარების გათვალისწინებით
- დამამშვიდებელი ან გამაცოცხლებელი დაბანა განახორციელოთ თორაქსიდან (აძლიერებს აღქმის უნარს)
- გადაავლეთ თბილი შხაპი დაბანის შემდეგ და საგულდაგულოდ გაამშრალეთ
- გამოცვალეთ სახვევი საჭიროების დროს
- თმების გაშრობა, ხელისა და ფეხის ფრჩხილების მოვლა ხდება ოთახში (სხვანაირად გაციების საშიშროებაა)
- გაითვალისწინეთ პაციენტის სურვილები, შეამოწმეთ მისი ფიზიკური მდგომარეობა, მიეცით დრო დასვენებისთვის
- მეორე მომვლელი ასწორებს ლოგინს

**დასუფთავება**

- ჩაუტარეთ დეზინფექცია აბაზანას, საფენებს, თავის დასადებს და ჩამოკიდეთ გასაშრობად
- გაანიავეთ აბაზანა, ჩამოხსენით „დაკავებულია“ და დაალაგეთ

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- ხარისხი მიღწეული იქნება მომვლელის კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის საშუალებით. პიგიენური პროცედურების რეგულარული ჩატარება თერაპიული ეფექტით (არანაირი დაზიანება კანზე) გააუმჯობესებს ახდენენ კლიენტის კარგად ყოფნაზე და ცხოვრების ხარისხზე
- ჩატარების დრო და ხანგრძლივობა კლიენტის მიერ უნდა განისაზღვროს (ხანგრძლივი დროით აბაზანაში დარჩენის შემთხვევაში საჭიროა კანზე ყურადღების გამახვილება)
- დამოუკიდებლობა გაძლიერდება შექებით და პაციენტისთვის თავისუფლების მინიჭებით

**საყურადღებოა!**

- გულისა და სისხლის მიმოქცევის დაავადებების, ეპილეფსიური შეტევების დროს საჭიროა ექიმის კონსულტაცია. დაბანის მინიმალური დრო. წყალი აბაზანაში ისხმება მხოლოდ ჭიპამდე (შექლებისდაგვარად შხაპი)
- ტრანსურეთრალური კათეტერის არსებობის დროს საჭირო არაა დამატებითი დამცავი ღონისძიებები,
- შესაძლოა გაუკონტროლებელი კუჭის მოქება
- კანის შესაძლო ცვლილებები ფასდება აბაზანის მიღების შემდეგ
- უმოძრაო პაციენტებთან ფეხისა და ტერფის პასიური ვარჯიშები, კონტრაქტურების, პნევმონიების და თრომბოზების პროფ-ები საწოლში ტარდება.
- ყურადღება მიაქციეთ სუნთქვას
- დაბანის შემდეგ საგულდაგულოდ ჩამობანეთ საპნის ყველანაირი ნარჩენი.

## 1.2. ნანილოგრივი ღაბანა

### 1.2.1. სხეულის ზედა ნაწილის

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთანთა/მომვლელთა რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანვ.)	20 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მომზადება

##### მასალა:

- დასაბანი თასი (უნდა ეწეროს სახელი/გვარი).
- დასაბანი საშ-ბა, კანის მოსაველელი საშუალება (კანის ტიპის გათვალისწინებით), სურვილის მიხედვით: სახის კრემი, დეზოდორი, საპარსი წყალი ან ოდეკოლონი, ტუჩების საცხი.
- 3 პირსახოცი (ერთი დასაჯდომად).
- 1 ქისა
- ახალი/სუფთა თეთრეული/ტანსაცმელი (აარჩევინეთ კლიენტს).
- სავარცხელი (სასურველია სახელურით) ან ჯაგრისი და სარკე.
- მუშამბა, პამპერსი ან მსგავსი მასალა საჭ. დროს.
- შესახვევი მასალა საჭ. დროს.
- სპეც. ქაღალდი, პიგიენური სველი ხელსახოცი ან ტუალ. ქაღალდი საჭ. დროს.
- ერთჯერადი ხელთათმანი
- საწოლის სუფთა თეთრეული საჭ. დროს.
- სარეცხის ტომარა/კალათა
- მასალა კბილების ან კბილის პროთეზების და პირის დრუს მოსაველელად.
- ნაგვის პარკი.

##### კლიენტი

- საჭიროების დროს საწოლის თავი ან ბოლო გაამაგრეთ.
- ქისები (სასურველია ხელში ადვილად დასაჭერი),
- სიარულში და დგომაში დამხმ. საშ-ები, ეტლი (გადაადგილება ნიჟარისკენ)
- ტუალეტის საგნები მოამზადებინეთ თვითონ ან მიეხმარეთ

##### ოთახი

- იზრუნეთ ოთახში საჭირო ტემპერატურის შექმნაზე
- თეჯირი
- პირსახოცი დააფინეთ სკამზე (ნიჟარასთან)
- გამოყავით ადგილი სარეცხის, პირსახოცების და ტუალეტის ნივთების დასაღაგებლად

##### მომვლელი პერსონალი

- სამუშაო ტანსაცმელი, წყალგაუმტარი წინსაფარი

- ხელების დაბანა

**ჩატარება**

- პროცედურა უნდა ჩატარდეს ნიუარასთან (თასი შიგ ჩაიდგას) ან საწოლში (სხეულის ზედა ნაწილის მაღლა მდებარეობისას).
- მიეცით მითითებები გახდა-ჩაცმისას.
- გამოიყენეთ კოსმეტიკა სურვილის მიხედვით: სახის კრემი, ტუნების საცხი და ა. შ.
- კონტრაქტურების დროს ხელები საგულდაგულოდ გაამშრალეთ
- საფენები, დამხმ. საშ-ები (სასმენი აპარატი, სათვალე) შეამოწმეთ სისუფთავესა და ფუნქციონირებაზე

**დასუფთავება**

- უხელმძღვანელო კლიენტებს დასუფთავებისა და სარეცხის დალაგებისას.
- წყალი გადაღვარეთ ტუალეტში. თასს გაუკეთეთ დეზინფექცია სველი წესით. ყოველდღე გამოცვალეთ პირსახოცი.

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- კანის მოსაველეი საშ-ბა უნდა შეესაბამებოდეს კანის ტიპს, დაუშვებელია კანის დაზიანება.
- დამხმარე საშუალებები (დასაბანად, დასავარცხნად, მობილიზაციისთვის) ჩართული უნდა იყოს საჭიროებისამებრ.
- პერიოდული ევალუაცია მოვლის (უახლესი მიზნების) კორექტურის საშუალებას იძლევა.

**საყურადღებო!**

- გადაადგილება საწოლიდან ნიუარისკენ განახორციელოთ ბოლათის/კინესთეტიკის პრინციპების გათვალისწინებით (მარტო არ დატოვოთ – კოლაფსის საშიშროების გამო)
- ჰემიპლეგიის დროს არ გამოიყენოთ ისეთი საშუალებები, რომლებიც აძლიერებენ სპასტიკას და იწვევენ სხეულის ასიმეტრიულობას.
- შეცვალეთ წყალი ლოკალური ინფექციის დროს ან ბევრი საპნის გამოყენების შემდეგ.
- არ დატოვოთ დასაბანი საშუალებები კანზე.
- ყურადსაღებია დასაბანი საშუალებების სწორი დოზირება.
- სასურველი შედეგის მისაღწევად იყავით თანამიმდევრული და იმოქმედეთ სტანდარტის შესაბამისად. სიტუაციის სწორი შეფასება თავიდან აგაცილებთ ზედმეტ დატვირთვას.
- შესაძლო გართულებების წინააღმდეგ საუკეთესო პროფილაქტიკა მოძრაობაა.

**1.2.2. სხეულის ძველა ნაწილის**

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთანთა/მომვლელთა რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანჯ.)	20 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა:**

- დასაბანი თასი 2 (1 ინტიმური ადგილების დასაბანად, უნდა ეწეროს დანიშნულება და სახელი/გვარი).
- დასაბანი საშ-ბა, კანის მოსაველეი საშუალება (კანის ტიპის გათვალისწინებით), სურვილის მიხედვით: ტანის ღოსიონი ან სხვა მოსაველეი საშუალებები
- 3 პირსახოცი (ერთი დასაჯდომად).
- 2 ქისა (აქედან ერთი ინტიმური ადგილებისთვის).
- ახალი/სუფთა თეთრეული/ტანსაცმელი (აარჩევინეთ კლიენტს).
- მუშამბა, პამპერსი ან მსგავსი მასალა საჭ. დროს.
- შესახვევი მასალა საჭ. დროს.
- სპეც. ქაღალდი, ჰიგიენური სველი ხელსახოცი ან ტუალ. ქაღალდი საჭ. დროს.
- საწოლის სუფთა თეთრეული საჭ. დროს.
- ერთჯერადი ხელთათმანები

- სარეცხის ტომარა/კალათა
- მასალა ინტიმური ადგილების მოსაველეად და შესაკრეჭად (საჭ. დროს).
- ნაგვის პარკი.

**კლიენტი**

- გაამაგრეთ საწოლის თავი ან ბოლო საჭიროების დროს.
- ქისები (სასურველია ხელში ადვილად დასაჭერი),
- სიარულში და დგომაში დამხმ. საშ-ები, ეტლი (გადაადგილება ნიჟარისკენ)
- მოამზადებინეთ ტუალეტის საგნები თვითონ ან მიეხმარეთ მომზადებაში

**ოთახი**

- იზრუნეთ ოთახში საჭირო ტემპერატურის შექმნაზე
- თეჯირი
- პირსახოცი დააფინეთ სკამზე (ნიჟარასთან)
- გამოყავით ადგილი სარეცხის, პირსახოცების და ტუალეტის ნივთების დასალაგებლად

**მომვლელი პერსონალი**

- სამუშაო ტანსაცმელი, წყალგაუმტარი წინსაფარი
- ხელების დაბანა

**ჩატარება**

- პროცედურა უნდა ჩატარდეს ნიჟარასთან (თასი შივ ჩაიდგას) ან საწოლში (მჯდომარე მდგომარეობაში).
- მიეცით მითითებები გახდა-ჩაცმისას. ინტიმ. ადგ. მოვლა შექმნისდაგვარად თავად შეასრულებინეთ (ხელები დააბანინეთ)
- გამოიყენეთ სურვილის მიხედვით ტანის ლოსიონი და სხვა მოსაველელი საშუალებები.
- საგულდაგულოდ გაამშრალეთ კიდურები კონტრაქტურების დროს
- შეამოწმეთ, სუფთაა თუ არა საფენები

**დასუფთავება**

- უხელმძღვანელეთ კლიენტებს დასუფთავებისა და სარეცხის დალაგებისას.
- წყალი გადაღვარეთ ტუალეტში. თასებს გაუკეთეთ დეზინფექცია სველი წესით. ყოველდღე გამოცვალეთ პირსახოცი.

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- კანის მოსაველელი საშ-ბა უნდა შეესაბამებოდეს კანის ტიპს, დაუშვებელია კანის დაზიანება.
- დამხმარე საშუალებები (დასაბანად, მობილიზაციისთვის) ჩართული უნდა იყოს საჭიროებისამებრ.
- პერიოდული ევალუაცია მოვლის (უახლესი მიზნების) კორექტურის საშუალებას იძლევა.

**საყურადღებო!**

- გადაადგილება საწოლიდან ნიჟარისკენ განახორციელებთ ბობათის/კინესთეტიკის პრინციპების მიხედვით (მარტო არ დატოვოთ – კოლაფსის საშიშროების გამო)
- ჰემიპლეგიის დროს არ გამოიყენოთ ისეთი საშუალებები, რომლებიც აძლიერებენ სპასტიკას და იწვევენ სხეულის ასიმეტრიულობას.
- ლოკალური ინფექციის დროს ან ბევრი საპნის გამოყენების შემდეგ შეცვალეთ წყალი.
- კანზე არ უნდა დარჩეს დასაბანი საშუალებები.
- ყურადსაღებია დასაბანი საშუალებების სწორი დოზირება.
- სასურველი შედეგის მისაღწევად იყავით თანამიმდევრული და იმოქმედეთ სტანდარტის შესაბამისად. სიტუაციის სწორი შეფასება თავიდან აგაცილებთ ზედმეტ დატვირთვას.
- შესაძლო გართულებების წინააღმდეგ საუკეთესო პროფილაქტიკა მოძრაობაა.

**12.3. ინტიმური ადგილების მოვლა**

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთანთა/მომვლელთა რაოდენობა	1

დრო (საშუალო მანძ.)	20 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა:**

- დაფა მასალის დასაწობად
- ხელების სადებიფიკაციო საშუალება
- დასაბანი თასი ან „სუნდო“
- ერთჯერადი სქელი ხელთათმანები (სასურველია რამდენიმე)
- 2 პირსახოცი
- რეზინის საფენი
- ერთჯ. ცელოფანის წინსაფარი
- თეჯირი
- სუფთა საცვლები და საჭიროების დროს პამპერსები
- საჭიროების დროს დასაბანი ღოსიონი (არავითარი საპონი!), სხვა საშუალებები სურვილის მიხედვით ან ძლიერი დაბინძურებისას
- ქაღალდი
- მუშამბა
- მარლის ხელსახოცები (არავითარი პუდრი!)
- ნაგვის პარკი

**კლიენტი**

- მიაწოდეთ ინფორმაცია მოსალოდნელი პროცედურის შესახებ ღირსების შეუღალხავად და შესთავაზეთ აუცილებელი დახმარება

**ოთახი**

- დაიცავით ინტიმური სფერო გარეშე თვალისგან (გამოიყენეთ თეჯირი),
- იზრუნეთ საკმარისი განათებისთვის და ოთახის სასიამოვნო ტემპერატურისთვის,
- არავითარი ორპირი.

**მომვლელი პერსონალი**

აუცილებელია დამცავი ხელთათმანების ტარება, რათა გამოირიცხოს ხელების ბაქტერიებით და სოკოთი დაინფიცირება, ასევე წინსაფრის ხმარება (ჰიგიენური ღონისძიება) და ხელების წინასწარი დებიფიკაცია.

**პერსონალის რაოდენობა**

მეორე პირის ჩართვა შესაძლებელია ზედმეტად მსუქანი კლიენტების შემთხვევაში, საჭირო მდებარეობაში დასაწვენად ან კლიენტის სურვილის გათვალისწინებით.

**ჩატარება**

- მითითებები და დახმარება პროცედურის დამოუკიდებელი ჩატარებისთვის
- დააწინეთ ზურგზე (რეზინის საფენი პირსახოცის ქვეშ დააფინეთ) და/ან დასვით სუნდოზე
- დაბანეთ საფუძვლიანად წყლით (არავითარი დასაბანი საშუალება), მხოლოდ ძლიერი დაბინძურებისას ან გამოხატული სურვილის შემთხვევაში მინიმალურად იქნეს გამოყენებული დასაბანი საშუალება
- მუცლის მიდამო იბანება საათის ისრის მიმართულებით მასაჟის თანხლებით (აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას)
- ქალთან: ჩაბანა ხდება სასირცხო ბაგეებიდან ქვევით, ანუის მიმართულებით. შემდეგ გვერდზე მწოლიარე მდგ-ში იბანება საჯდომი და ანუის მიდამოები.
- კაცთან: კანი გადაუწიეთ, სასქესო ასო გაასუფთავეთ შიგნიდან გარეთა მიმართულებით, გაამშრალეთ და კანი ისევ გადმოწიეთ. სასქესო ორგანო მთლიანად კარგად დაბანეთ და გაამშრალეთ. საჯდომი და ანუის ისევე, როგორც ქალის შემთხვევაში
- თუ სიწითლე დაწებულია, მუცლის ნაკეცებში ან საზარდულში დააფინეთ მშრალი მარლის ხელსახოცები (არავითარი პუდრა)
- ჩააცვით სუფთა საცვლები, საჭიროებისას პამპერსი (გეგმის შესაბამისად!) და მოხერხებული მდებარეობა მიაღებინეთ

**დასუფთავება**

- ჩაასხით წყალი ტუალეტში, თასს, სველი მეთოდით დამუშავების შემდეგ, დეზინფექცია გაუკეთეთ
- აალაგეთ მასალა, ჩაატარეთ ხელების საბოლოო დეზინფექცია

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა და მოვლის მიმდინარეობის გადამოწმება
- კლიენტს აქვს საკუთარი თასი (სახელით)
- განსაზღვრული უნდა იყოს მოვლაზე პასუხისმგებელი პირი
- აღარ გვხვდება კანის დაზიანებები და ცუდი სუნი
- თვითკმაყოფილება და სისუფთავე მიღწევადია

**საყურადღებოა!**

- გაძლიერებული სეკრეციის, კანის გაწითლების, გამონაყარის ან ბუასილის არსებობისას აცნობეთ ექიმს
- კათეტერის გასუფთავება (მხოლოდ ექთნის მიერ) ხდება შარდსაწვეთიდან გარე მიმართულებით
- შარდსავალი გზების ინფექციის პროფილაქტიკა: კათეტერის ჩადგმის ადგილზე (მობილურ პაციენტებთან ღამით) გამოიყენეთ სტ. საფენი იოდის შემცველი ხსნარით (გაითვალისწინეთ აღერჯია იოდზე)
- თუ გამოყენებულია დასაბანი საშუალება, ზედმიწევნით საფუძვლიანად ჩამობანეთ სუფთა წყლით. საპნის ნარჩენები ვაგინის ფლორას შეცვლის (სოკოს საშიშროება!)

**12.4. თავის დაბანა, უმჯობა, დამარცხნა აბაზანაში (სულ 40 წთ)**

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთანთა/მომვლელთა რაოდენობა	1-2
დრო (საშუალო მაჩვ.)	20 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა:**

- თავის დასაბანი ნიჟარა
- 2 პირსახოცი (1 კისრის დასაცავად)
- 1 ქისა (თვალების დასაცავად)
- რბილი შამპუნი ან სხვა საშუალება ექიმის დანიშნულების მიხედვით (სახელით/გვარით)
- სავარცხელი, ჯაგრისი, ფენი და სარკე
- ტომარა/კალათა სარეცხისთვის

**კლიენტი**

გადაამოწმეთ, შესაძლებელია თუ არა ნიჟარასთან/აბაზანასთან მოხერხებულად დასმა. სკამი (ეტლი, ტუალეტი-სკამი) ისე დაუდგით ნიჟარასთან/აბაზანასთან, რომ ორივე მხრიდან იყოს მისადგომი. თავი ნიჟარისკენ/აბაზანისკენ გადააწვეინეთ. ერთი ხელით კისერი/თავი დაუჭირეთ და მეორეთი ფრთხილად დაუფინეთ კისრის ქვეშ პირსახოცი(თუ ნიჟარასთან ხდება თავის დაბანა). კლიენტს პროცედურის მიმდინარეობაზე ინფორმაცია მიაწოდეთ.

**ოთახი/აბაზანა**

აიცილეთ ორპირი, დაკეტეთ ფანჯრები/კარები, საჭიროა აბაზანაში შეინარჩუნოთ სასურველი ტემპერატურა. სამუშაო ადგილი მოაწვეთ ნიჟარასთან/აბაზანასთან ახლოს

**მომვლელი პერსონალი**

- იბანს ხელებს,
- იკეთებს წინსაფარს.

**პერსონალის რაოდენობა**

საჭიროების შემთხვევაში ერთგვება მეორე მომვლელი

## ჩატარება

### კისრის დადება ნიჟარის გამოყენებისას

- კლიენტს მოხერხებული პოზა შეურჩიეთ. კისრის ქვეშ დაუფინეთ პირსახოცი.

### თავის დაბანა

- დაფარეთ თვალები ქისით
- შეამოწმეთ წყლის ტემპერატურა (გაითვალისწინეთ კლიენტის სურვილი), თავის კანი და თმები მსუბუქად მასირებადი მოძრაობით დაბანეთ (გამაცოცხლებელი ან დამამშვიდებელი მოქმედება)
- თუ საჭიროა, გაიმეორეთ შამპუნი. საფუძვლიანად ჩამობანეთ
- დავარცხნეთ, ფენით გააშრეთ (შეამოწმეთ ხელით, ფენი ცხელი ხომ არაა)
- ბოლოს გადაამოწმეთ დაწვევის გეგმა და მოხერხებულად დააწვინეთ

## დასუფთავება

ნიჟარა/აბაზანა სველი წესით დაამუშავეთ, სავარცხელი და ჯაგრისი გაასუფთავეთ (ან გაასუფთავებინეთ), საჭიროებისას ლოგინი გამოცვალეთ და გამოყენებული თეთრეული მისთვის განკუთვნილ ტომარაში ჩადეთ

## ხარისხის უზრუნველყოფა

- სრული მომზადება წინასწარ, პროცედურის უწყვეტად ჩატარება
- კომუნიკაცია და მზრუნველობა ამცირებს საფრთხის შეგრძნებას და აქრობს შესაძლო შიშს.
- თმების დამოუკიდებელი დავარცხნა და ფენით გაშრობა აძლიერებს საკუთარი პასუხისმგებლობის შეგრძნებას (ნათლად აისახება მოვლის მიმდინარეობის ანგარიშში)

## საყურადღებო!

- დაბანის საშუალების არჩევანი დამოკიდებულია კლიენტზე
- თავის კანის ცვლილება ან თმის ძლიერი ცვენა შეატყობინეთ ექიმს
- ოთახის დატოვების შემდეგ კლიენტისთვის საჭირო და აუცილებელი საგნები მის სიახლოვეს უნდა იყოს

### 1.2.4.1. თმის შეჭრა

შემსრულებელი	ტმ
ექთანთა/მომვლელთა რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანქ.)	15 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

## მომზადება

### მასალა:

- ბასრი მაკრატელი
- 1 პოლიეთილენის საფენი მხრების დასაცავად
- 2 პირსახოცი (1 მხრებზე დასაფენად).
- სავარცხელი (სასურველია სახელურით) ან ჯაგრისი და სარკე.
- თმის მოსავლელი საშუალებები სურვილის მიხედვით
- ნაგვის პარკი

### კლიენტი

- სიარულში დამხმ. საშ-ება, ეტლი (გადაადგილება აბაზანისკენ)
- საგნები მოამზადებინეთ თვითონ ან მიეხმარეთ

### აბაზანა

- იზრუნეთ აბაზანაში საჭირო ტემპერატურის შექმნაზე
- გამოყავით ადგილი ნიუთების დასალაგებლად

### მომვლელი პერსონალი

- სამუშაო ტანსაცმელი და პოლიეთილენის წინსაფარი,

- ერთჯერადი ხელთათმანები

**ჩატარება**

- პროცედურა უნდა ჩატარდეს ნიჟარასთან ან აბაზანასთან (მჯდომარე მდგომარეობაში).
- წინასწარ შეატყობინეთ პროცედურის თაობაზე
- საჭიროებისას წინასწარ დაბანეთ თავი ან დაუსველეთ თმები
- მიეცით მითითებები
- კლიენტი პერიოდულად ჩაახედეთ სარკეში
- გამოიყენეთ თმის მოსავლელი საშუალებები სურვილის მიხედვით
- გაითვალისწინეთ კლიენტის სურვილები თმის სიგრძესთან დაკავშირებით

**დასუფთავება**

- უხელმძღვანელო კლიენტებს დასუფთავებისას
- პარაზიტების არსებობისას დეზინფექცია გაუკეთეთ გამოყენებულ ინსტრუმენტებს
- მოჭრილი თმა ცალკე პარკში ჩაყარეთ, თავი კარგად მოუკარიოთ და ისე ჩააგდეთ ნაგვის ყუთში

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- თმის მოსავლელი საშ-ბა უნდა შეესაბამებოდეს თავის კანის ტიპს,
- დამხმარე საშუალებები დასაფარცხნად, შესაჭრელად ჩართული უნდა იყოს საჭიროებისამებრ.

**საყურადღებოა!**

- თმაში პარაზიტების არსებობის/აღმოჩენისას გააკეთეთ ჩანაწერი დოკუმენტაციაში
- სასურველი შედეგის მისაღწევად იყავით თანამიმდევრული და იმოქმედეთ სტანდარტის შესაბამისად. სიტუაციის სწორი შეფასება თავიდან აგაცილებთ ზედმეტ დატვირთვას.

**1.2.4.2. თმის ღაწარცხნა**

შემსრულებელი	ტმ
ექთანთა/მომვლელთა რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვ.)	5 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა:**

- სავარცხელი (სასურველია სახელურით) ან ჯაგრისი და სარკე.
- სურვილის მიხედვით: თმის მოსავლელი საშუალება
- საჭიროების დროს სხვადასხვა სადეზინფექციო და ანტიპარაზიტული საშუალებები

**კლიენტი**

- საგნები მოამზადებინეთ თვითონ ან მიეხმარეთ

**აბაზანა**

- რაიმე სპეციალური მომზადება არ სჭირდება, ისე, როგორც სხვა სტანდარტების დროს
- გამოყავით ადგილი ნივთების დასაღებებლად
- ნაგვის პარკი

**მომვლელი პერსონალი**

- სამუშაო ტანსაცმელი,
- ერთჯერადი ხელთათმანები, თავსაბურავი და ნიღაბი საჭიროების დროს

**ჩატარება**

- პროცედურა ჩატარეთ ნიჟარასთან, კლიენტი სასურველია იმყოფებოდეს დამჯდარ მდგომარეობაში
- მიეცით მითითებები და პერიოდულად ჩაახედეთ სარკეში
- გამოიყენეთ თმის მოსავლელი საშუალებები კლიენტის სურვილის მიხედვით

**დასუფთავება**

- უხელმძღვანელო კლიენტებს დასუფთავებისას
- თმებში პარაზიტების არსებობისას ყოველდღე გამოცვალოთ თეთრეული.

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- დამხმარე საშუალება დასაფარცხნად ჩართული უნდა იყოს საჭიროებისამებრ.
- სისუფთავე და პერიოდული დაკვირვება თავიდან აგაცილებთ თმის პარაზიტების გაჩენას.

**საყურადღებოა!**

- ინფექციის დროს დაფარცხნით ფრთხილად და დაზიანებული ადგილები დაამუშავეთ
- წინასწარ გაარკვიეთ, აღერგიულია თუ არა თქვენი კლიენტი ამა თუ იმ საშუალებაზე
- თმაზე დიდი ხნით არ დატოვოთ ანტიპარაზიტული საშუალებები.
- ყურადსაღებია გამოყენებული საშუალებების სწორი დოზირება.
- არ დაუშვათ ამ საშუალებების თვალში მოხვედრა
- პარაზიტების აღმოჩენის შემთხვევაში გააკეთეთ ჩანაწერი დოკუმენტაციაში
- სასურველი შედეგის მისაღწევად იყავით თანამიმდევრული და იმოქმედეთ სტანდარტის შესაბამისად. სიტუაციის სწორი შეფასება თავიდან აგაცილებთ ზედმეტ დატვირთვას.

**12.5. ზმის აბაზანა**

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვ.)	20 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა:**

- თირკმლისებური ჯამი
- პირსახოცი და ქისები
- რეიტუზი/წინდები
- ქაღალდის პირსახოცი და ხელსახოცები
- თასი ფეხის აბაზანისთვის
- ჩაიდანის თბილი წყლით
- დასაბანი ღოსიონი
- სოკოს საწინააღმდეგო საშუალებები ექიმის დანიშნულებით
- ფრჩხილების მაკრატელი/საკვნეტი, ქლიბი და პემზა (გამოიყენეთ მხოლოდ კლიენტის საკუთარი საგნები)

**საწოლში:**

- ბალიშები (მუხლებისთვის/ხელებისთვის)
- საფენი (საწოლის დასაცავად)
- მარლა, ბამბიანი წკირები
- ლეიკოპლასტირი (საჭიროების დროს)

**კლიენტი**

- მჯდომარე ან საწოლში მწოლიარე.

**ოთახი**

- სახელურებიანი სკამი (კლიენტისთვის), და დაბალი ტაბურეტი ან სკამი და მაგიდა (მომვლელისთვის)

**მომვლელი პერსონალი**

- იტარებს ხელების ჰიგიენურ დეზინფექციას
- იყენებს დამცავ ხელთათმანებს და წინსაფარს

**ჩატარება**

- ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით შეიძლება სხვადასხვა სამკურნალო აბაზანების შეთავაზება

- 10-15 წუთის განმავლობაში გაუკეთეთ თბილი წყლის აბაზანა (წყალში ჩასამატებელი სამკურნალო საშუალება ექიმის მიერ უნდა შეირჩეს)
- ფეხის/ხელის ფრჩხილები ძალიან ფრთხილად მოაჭერით (ფრჩხილისა და კანის იოლად დაზიანების საშიშროებაა! კუთხეები ქლიბით გაასწორეთ, კანის სქელი წარმონაქმნები პემზით ფრთხილად მოაშორეთ
- დეფორმირებული ფეხები/ხელები მარლით დაბანეთ და გაამშრალეთ
- პროცედურის შემდეგ კარგად გაამშრალეთ. ფეხებზე/ხელებზე და თითებზე ექიმის დანიშნული სამკურნალო მაღამო წაუსვით
- პროცედურა ექიმის დანიშნულებისამებრ ყოველდღე ან დღეში 2-ჯერ ჩატარეთ.
- დიბეტით დაავადებულებთან: ზომიერად თბილი წყალი (ისინი ცუდად ან საერთოდ ვერ გრძნობენ ტემპერატურის ცვალებადობას), აბაზანა გრძელდება ცოტა ხნით, არავითარი სათბურა, დაზიანებისას არავითარი ელასტიური ნახვევი (შეგრძნებების დარღვევა)

**დასუფთავება**

- გამოყენებული მასალა სველი წესით დაამუშავეთ, ჩაატარეთ შესაბამისი დეზინფექცია,
- ინსტრუმენტები აუცილებლად გაასტერილეთ
- მწოლიარებთან ყურადღება მიაქციეთ სწორ წოლას (დაწვევის გეგმა),
- ჩაატარეთ თითის წვერების დაზიანების პროფილაქტიკა და ყურადღება გაამახვილეთ კლიენტის სხვა საჭიროებებზე.

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- კომპეტენტური, პროფესიონალური მოვლა სხეულის ზოგად მოვლასთან ერთად (განსაკუთრებულად დიაბეტით დაავადებულებში) აუცილებელია!
- აღწერილი ღონისძიებებით კლიენტს დაიცავთ და თავიდან ააცილებთ ჯვარედინ იფექციას
- მოვლილი ფეხები იწვევენ კარგ შეგრძნებებს და მიუთითებენ ცხოვრების კარგ ხარისხზე.

**საყურადღებოა!**

- საუღლდაგულოდ დაიცავით ასეპტიურობა
- აბაზანების დროს პირველ რიგში ზოგადი მდგ-ბა (ვიტალური მაჩვენებლები) გადაამოწმეთ
- კლიენტს მიეცით წყალში ფეხების/ხელების ვარჯიშის საშუალება
- დაზიანების შემთხვევაში მაშინვე მოახდინეთ რეაგირება (სტერილური სახვევის დადება) და ინფორმაცია მიაწოდეთ ექიმს
- ყოველი პროცედურის ჩატარების შემდეგ მოახდინეთ დოკუმენტირება
- დიაბეტით დაავადებულთათვის გაითვალისწინეთ სხვა სტანდარტებიც.

**12.6. ხელეპი/სახე**

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთანთა/მომვლელთა რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვ.)	10 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა:**

- დასაბანი თასი (უნდა ეწეროს სახელი/გვარი).
- დასაბანი საშ-ბა, კანის მოსავლელი საშუალება (კანის ტიპის გათვალისწინებით), სურვილის მიხედვით: სახის კრემი, საპარსი წყალი ან ოდეკოლონი, ტუნების საცხი.
- 2 პირსახოცი (ერთი დასაჯდომად).
- 1 ქისა
- სავარცხელი (სასურველია სახელურით) ან ჯაგრისი და სარკე.
- მასალა კბილების ან კბილის პროთეზების და პირის დრუს მოსავლელად.

**კლიენტი**

- საჭიროების დროს საწოლის თავი ან ბოლო გაამაგრეთ.
- ქისა (სასურველია ხელში ადვილად დასაჭერი),

- სიარულში და დგომაში დამხმ. საშ-ები, ეტლი (გადაადგილება ნიჟარისკენ)
- საგნები მოამზადებინეთ თვითონ ან მიეხმარეთ

**ოთახი**

- იზრუნეთ ოთახში საჭირო ტემპერატურის შექმნაზე
- თეჯირი
- პირსახოცი დააფინეთ სკამზე (ნიჟარასთან)
- გამოყავით ადგილი პირსახოცების და ტუალეტის ნივთების დასაღვებლად

**მომვლელი პერსონალი**

- სამუშაო ტანსაცმელი,
- ხელების დაბანა

**ჩატარება**

- პროცედურა უნდა ჩატარდეს ნიჟარასთან (თასი შიგ ჩაიდგას) ან საწოლში (სხეულის ზედა ნაწილის მაღლა მდებარეობისას).
- მიეცით მითითებები
- გამოიყენეთ კოსმეტიკა სურვილის მიხედვით: სახის კრემი, ტუნების საცხი და ა. შ.
- კონტრაქტურების დროს ხელები საგულდაგულოდ გაამშრალეთ
- დამხმ. საშ-ები (სასმენი აპარატი, სათვალე) შეამოწმეთ სისუფთავესა და ფუნქციონირებაზე

**დასუფთავება**

- უხელმძღვანელო კლიენტებს დასუფთავებისას
- წყალი გადაღვარეთ ტუალეტში. თასს გაუკეთეთ დეზინფექცია სველი წესით. ყოველდღე გამოცვალეთ პირსახოცი.

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- კანის მოსაველეი საშ-ბა უნდა შეესაბამებოდეს კანის ტიპს, დაუშვებელია კანის დაზიანება.
- დამხმარე საშუალებები (დასაბანად, დასავარცხნად, მობილიზაციისთვის) ჩართული უნდა იყოს საჭიროებისამებრ.

**საყურადღებო!**

- გადაადგილება საწოლიდან ნიჟარისკენ განახორციელოთ ბობათის/კინესთეტიკის მეთოდით (მარტო არ დატოვოთ – კოლაფსის საშიშროების გამო)
- ჰემიპლეჯის დროს არ გამოიყენოთ ისეთი საშუალებები, რომლებიც აძლიერებენ სპასტიკას და იწვევენ სხეულის ასიმეტრიულობას.
- ლოკალური ინფექციის დროს ან ბევრი საპნის გამოყენების შემდეგ შეცვალეთ წყალი.
- კანზე არ უნდა დარჩეს დასაბანი საშუალებები.
- ყურადსაღებია დასაბანი საშუალების სწორი დოზირება.
- სასურველი შედეგის მისაღწევად იყავით თანამიმდევრული და იმოქმედეთ სტანდარტის შესაბამისად. სიტუაციის სწორი შეფასება თავიდან აგაცილებთ ზედმეტ დატვირთვას.

**1.3. სახის მოვლა**

**1.3.1. პირის ღრუს, კბილების, პროთეზისა და ტუნების მოვლა**

შემსრულებელი	დმ (ადვილად მოსაველეი პირის ღრუს შემთხვევ. ტმ)
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვ.)	20 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა**

- პირის ღრუს მოსაველეი მასალის დასაწყობი დაფა;
- თირკმლისებური ჯამი;
- ჯაგრისი და კბილის პასტა

- კბილების გასასუფთავებელი მასალის ჩასაწყოი ჭიქა
- პროთეზის ჩასადები ქილა თავსახურით (უნდა ეწეროს სახელი/გვარი) და პროთეზის ჯაგრისი
- შპადელი, კლემა
- პროთეზის გასასუფთავებელი სადებიფექციო საშუალება სურვილის მიხედვით
- ქილა პირის ღრუს საველები სითხისთვის, თუ საჭიროა საწრუპიც
- ხელთათმანები
- ხსნარი პირის ღრუსა და ენის გასასუფთავებლად
- ჯიბის ფანარი
- პირსახოცი
- ქაღალდის ხელსახოცები/პირსახოცები, მარლის ტამპონები
- ტუჩების საცხი, თუ საჭიროა, სახის კრემი
- ნაგვის პარკი

### **კლიენტი**

- ლოგინში მაღალი ან გვერდითი მდებარეობა ან ნიჟარასთან ჯდომა (ჯანმრთელობის მდგ-ის მიხედვით)

### **ოთახი**

- გამოყენების ადგილას დააღაგეთ საჭირო მასალა
- დასაჯდომი საშუალება ნიჟარასთან დადგით

### **მომვლელი პერსონალი**

- ხელების ჰიგიენური დებიფექცია (ინფექციის გადადებისა და გავრცელების პროფილაქტიკა, განსაკუთრებით ლაქწასმული ფრხილების შემთხვევაში)
- პროთეზის გაწმენდის დროს გამოიყენეთ ხელთათმანები

### **ჩატარება**

#### **კბილების მოვლა**

- კბილებისა და ღრძილების მონაცვლეობით გახეხვა (მასაჟის ეფექტი)

#### **პროთეზის მოვლა**

- პროთეზები ირეცხება გამდინარე წყლის ქვეშ ან თირკმლისებურ ჯამში ივლება თბილი წყლით და იდება ქილაში

#### **პირის ღრუს მოვლა**

- ლოყების ლორწოვანის გასუფთავება ხდება შიგნიდან, საჭიროების დროს გამოიყენება ჯიბის ფარანი
- პირის ღრუს გასუფთავება და გამოვლება ტარდება მაღალი ან გვერდითი მდებარეობისას საწოლში ან ნიჟარასთან (საველები შეირჩევა კლიენტის სურვილით)

### **დასუფთავება**

- მიეცეს კლიენტს მითითებები თავისი პირადი საგნების მოწესრიგებისთვის
- შემოწმდეს კლიენტის მდებარეობა საწოლში (დაწვევის გეგმის მიხედვით), გათვალისწინებულ იქნეს საჭირო ნივთების ახლომდებარეობა,
- პირის ღრუს მოვლის დროს გამოიყენებულ ნივთებს ჩაუტარდეს დებიფექცია და სტერილიზაცია

### **ხარისხის უზრუნველყოფა**

- გამააქტივირებელი ღონისძიებების გამოყენებით გაძლიერდება კლიენტის დამოუკიდებლობა (კლიენტი თავს უსაფრთხოდ და კომპეტენტურად თვლის)
- მოვლილი პირის ღრუ და კბილები კლიენტის კარგ შეგრძნებებს უზრუნველყოფს და თავიდან აგვაცილებს შესაძლო დაზიანებებს
- პროცედურების თანამიმდევრობის დაცვა - ყოველთვის ერთი და იგივე საქმიანობა გამორიცხავს კლიენტის გაღიზიანებასა და აგზნებას
- მოვლის მიმდინარეობის ზუსტი აღწერილობა გვეხმარება სწორ ორიენტირებაში და შედეგის შეფასებაში (პაციენტის მდგომარეობის აღწერა - უნდა იყოს! არის! მათი შედარება)

### **საყურადღებო!**

- გამოიყენეთ მხოლოდ ხელოვნური კბილის ჯაგრისები

- გაწმინდეთ პროთეზების ჩასაწყობი ქილა რეგულარულად
- თუ პროთეზი კარგად არაა მორგებული, არ გამოიყენოთ. დაგეგმეთ ექიმთან შეხვედრა
- აუცილებელია პროთეზის ჩასაწყობ ქილას დააწეროთ კლიენტის სახელი/გვარი
- პირის ღრუს გასუფთავების ან ყელში გამოვლებისას აუცილებელია საწოლში მაღალი ან გვერდითი მდებარეობა (ასპირაციის საშიშროება)
- სასურველია ელექტროჯაგრისი ან პირის ღრუს შხაპი
- განაახლეთ კბილის ჯაგრისი ყოველ 4-6 კვირაში

**1.3.2. ცხვირის მოვლა**

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანძ.)	10 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა:**

- საჭირო მასალის დასალაგებელი დაფა
- ქილა თბილი წყლით, მოსავლელი ზეთი (ან სხვა საშუალება ექიმის დანიშნულებით)
- თირკმლისებური ჯამი
- ცხვირის წვეთები და/ან მაღამო (ექიმის დანიშნულება)
- 4-6 სტერილური ბამბიანი წკირი
- პირსახოცი
- ნაგვის პარკი

**ცხვირის ზონდის შემთხვევაში დამატებით საჭიროა:**

- ლეიკოპლასტირი, რომელიც კანს არ გააღიზიანებს
- მაკრატელი
- 2-3 ბინტის არასტერილური ბურთულა
- გასაწმენდი ხსნარი (ეთერზეთი)

**კლიენტი**

- სხეულის ზედა ნაწილის მაღალი მდებარეობა, 30 გრადუსიანი დაწვენა

**ოთახი**

- მხედველობის არედან დაცვა (თეჯირი)

**მომვლელი პერსონალი**

- ხელების ჰიგიენური დეზინფექცია
- დამცავი ხელთათმანები

**ჩატარება**

- შეძლებისდაგვარად შექმენით სხეულის ზედა ნაწილის მაღალი მდებარეობა
- ფრთხილად მოაცილეთ ფიქსაცია (გამწმენდი სითხით ან ეთერით გაუდენთილი ბურთულებით), ჩაიცვით დამც. ხელთათმანები, კანზე მოაცილეთ ლეიკოპლასტირის ნარჩენები
- ზონდი 1 სმ-ით ამოწიეთ, ყოველი ნესტოსთვის ერთი დასველებული ბამბიანი წკირი გამოიყენეთ, ცხვირი შეძლებისდაგვარად გაათავისუფლეთ და გამოწმინდეთ
- ზონდი უკან ჩაწიეთ, ცხვირთან დააფიქსირეთ, გამოიყენეთ ცხვირის წვეთები და მაღამო, ზონდის მდებარეობა შეამოწმეთ

**დასუფთავება**

- კლიენტის მდებარეობა გადაამოწმეთ, ოთახი გაანიავეთ, გაასტერილეთ თირკმლისებური ჯამი
- დაბინძურება თავიდან რომ აიცილოთ, ხელების ჰიგიენური დეზინფექცია საჭიროა მანამდეც და მერც

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- ცხვირის რეგულარული მოვლით მიიღწევა თავისუფალი ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა, ზონდის შემთხვევაშიც კი
- მუდმივი ვერბალური კომუნიკაცია ჩატარების დროს და ფრთხილი მოპყრობა კლიენტს აძლევს უსაფრთხოების შეგრძნებას და შიშის გრძნობას უქრობს
- ცხვირის პროფესიონალური მოვლა და ყველა რელევანტური ნიშნების სიტუაციური აღწერილობა ხარისხის ევალუაციის და უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა

**საყურადღებოა!**

- პირით სუნთქვისას პირის დრუს ლორწოვანის გამოშრობა
- მოულოდნელი გართულება: ცხვირიდან სისხლის ან გამჭვირვალე სითხის დენა (მაშინვე ექიმს შეატყობინეთ)
  - მოვლა ცხვირიდან სისხლდენის დროს: შეინარჩუნეთ სიმშვიდე, სკამზე მჯდომარე პოზიციაში ორივე ნესტოში ჩადეთ ტამპონები დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში (თუ შესაძლებელია, ტამპონები კლიენტმა თვითონ გაიკეთოს). ცხვირი არ გაასუფთავოთ, კეფაზე ყინულები დაადეთ, პულსი და წნევა გაზომეთ და ექიმის მითითებებს დაელოდეთ
  - მოვლითი ღონისძიება სითხის დენისას (როგორც თავის ქალის დაზიანების შედეგი): კლიენტი მსუბუქად გადახრილია წინ, დააფინეთ სტერილური ტამპონები ცხვირთან (ცხვირი არ დაატამპონოთ) და ლეიკოპლასტიკით დაამაგრეთ.

**1.3.3. ყურების მოვლა**

შემსრულებელი	ტმ (ყურების წვეთები ან მაღამო დმ-ის მიერ)
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვ.)	10 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

განსაკუთრებული მასალის მომზადება საჭირო არაა. კლიენტს უნდა შეატყობინოთ მოსალოდნელი ღონისძიების შესახებ. ოთახის ან პირადი მომზადება ხდება ისევე, როგორც სხეულის ზოგადი მოვლისას.

**ჩატარება**

- გაწმენდისას ყურის ნიჟარა ზემოთ აწიეთ, ქისის რბილი ნაწილით ყურის უკანა მხარეც დაბანეთ და გაამშრალეთ (ბამბადახვეული ჩხირები არ გამოიყენოთ)
- ყურის გასუფთავება გოგირდის ნარჩენებისაგან (შუა გამორეცხვა) წარმოებს ყურის ექიმის მიერ
- საჭიროა თუ არა ყურის გამორეცხვა ანთების დროს, წყვეტს ექიმი
- ჩასაწვეთებლად გამოიყენეთ მხოლოდ სხეულის ტემპერატურის წვეთები ან მაღამო. ჩაწვეთება ხდება გვერდზე მწოლიარე მდგ-ში. კლიენტი ამ პოზაში 15 წუთის განმ-ში დატოვებთ (წამლის ვარგისიანობა შეამოწმეთ)
- ყურის აპარატის მოვლა: იხილეთ ინსტრუქცია

**დასუფთავება**

- ყურის წვეთები და მაღამო მათთვის განკუთვნილ კარადაში შეინახეთ

**ხარისხის უზრუნველყოფა**

კლიენტის ცხოვრების ხარისხი უზრუნველყოფილი იქნება, თუ დაიცავთ მოვლის სახელმძღვანელო პრინციპებს, ყურადღებას მიაქცევთ დაზიანებებს და უზრუნველყოფთ პროფესიონალურ კონსულტაციებს.

**საყურადღებოა!**

**როგორ უნდა მოიქცეთ სმენის დაქვეითებისას**

- კლიენტებს მიმართეთ ნელა, ესაუბრეთ გამოკვეთილად, კესტების გამოყენებით, საჭიროებისას გაიმეორეთ ან დაწერეთ.
- სისხლდენის ან ლიქვორის დენისას ყურში სტერილური მშრალი ბინტი ჩადეთ (სასწრაფო ღონისძიება) და პასუხისმგებელ ექიმს მიმართეთ.

**სასმენ აპარატებთან ურთიერთობა**

- მთლიანი აპარატი არასოდეს ჩადოთ გამასუფთავებელ ხსნარში
- არ შეიძლება აპარატების შეცვლა (სხვა ყურში ჩადგმა) და არც სხვისთვის მიცემა
- ყურადღება მიექცეს აპარატის სწორ მდებარეობას, ზეწოლის შემთხვევაში ნაწოლის საშიშროებაა
- მკურნალობის დროს სასმენი აპარატი არ უნდა ატაროთ და შეინახოთ სხვა ელექტროთერაპიულ აპარატებთან ერთად
- კარგად გაერკვიეთ მოხმარებისა და შენახვის წესებში (ფუნქციონირება)
- ცარიელი ბატარეები ნაგვის სპეც. ბუნკერში ჩააგდეთ

**13.4. თვალების მოვლა**

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანჯ.)	10 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

განსაკუთრებული მასალის მომზადება საჭირო არაა. კლიენტს უნდა შეატყობინოთ მოსალოდნელი ღონისძიების შესახებ. ოთახის ან პირადი მომზადება ხდება ისევე, როგორც სხეულის ზოგადი მოვლისას.

**ჩატარება**

**თვალების მოვლა:** გაწმინდეთ ქუთუთოები გარედან შიგნითა მიმართულებით

**სათვალის მოვლა:** რეგულარულად გაასუფთავეთ სათვალის მინები

**კონტაქტური ლინზების მოვლა:** გაითვალისწინე სპეციალური წესები

**თვალის პროთეზის მოვლა:** გაითვალისწინეთ სპეციალური წესები

**თვალის წვეთები:** გადაამოწმეთ (რა? – რამდენი?);

**თვალის მალამო:** გადაამოწმეთ (რა? – რამდენი?); წაუსვით ქუთუთოს შიდა მხრიდან გარეთა მიმართულებით

**თვალების მოვლა არსაკმარისი ან არასრული დახუჭვისას და თვალის დაზიანებისას:**

- მასალის დასაწყობი დაფა
- ხელების დეზინფექცია
- გამოსაყენებელი პრეპარატის სახელი, ჩატარების დრო და დოზირება გადაამოწმეთ
- თვალის მალამო (ექიმის დანიშნულებისამებრ)
- თვალის სინოტივის შემანარჩუნებელი დამხმარე საშუალება – სპეციალური სახვევი მინის გამოყენებით
- საჭიროების დროს ლეიკოპლასტირის ნარჩენების მოსაცილებელი ეთერზეთი
- 2-3 მარლის ბურთულა
- თირკმლისებური ჯამი

პროცედურის დასრულების შემდეგ წაუსვით თვალის მალამო, გამოიყენეთ სპეციალური სახვევი. მინა თვალის კიდეებზე მოარგეთ, დაამაგრეთ ისე, რომ წარბებსა და წამწამებს არ დააწვეს.

**დასუფთავება**

გამოყენებული პინცეტები, დამჭერები და თირკმლისებური ჯამი დეზინფექციის შემდეგ გაასტერილეთ; კლიენტის მდებარეობა და მდგომარეობა გადაამოწმეთ.

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- დამხმ. საშუალებების და ტექნიკური აპარატების მდგომარეობა ფუნქციონირებამდე გადაამოწმეთ
- აუხსენით თითოეული აპარატისა თუ დამხმარე და ტექნიკური საშუალების ფუნქციონირების წესები
- პაციენტსა და/ან მისი ოჯახის წევრებს მიეცით საშ-ება ისინი რამდენჯერმე გამოიყენონ დამოუკიდებლად

**დასუფთავება**

- გამოყენებული დამხმ. საშ-ები და ტექნიკ. აპარატები საჭიროების შემთხვევაში გაასუფთავეთ და ისევ თავის ადგილზე დააბრუნეთ
- კლიენტის მდებარეობა საწოლში გადაამოწმეთ და მისი სურვილები გაითვალისწინეთ

### **ხარისხის უზრუნველყოფა**

- მოვლის პროცესის სწორად შევსებული დოკუმენტაციის, ადეკვატური გადაბარებისა და ევალუაციის საშუალებით მოვლის ხარისხის უზრუნველყოფა შესაძლებელია
- გამოკითხვის საშუალებით (კმაყოფილება, კეთილდღეობა, პროცედურის გაგება, მოლოდინები ან დეფექტი/ნაკლოვანება) შესაძლებელი იქნება პროცესის ხარისხის შეფასება და შედეგის ხარისხის განსაზღვრა

### **საყურადღებოა!**

- დარწმუნდით, რომ კლიენტმა და/ან მისი ოჯახის წევრმა სწორად გაიგო ახსნილი
- ტექნიკური დამხმ. საშ-ის შემთხვევაში საჭიროა რეგულარული ზედამხედველობა, მოხმარების წესები აპარატზე დაკიდეთ

### 3. გამოყოფა

#### 3.1. კონტროლი მიღებულ და გამოყოფილ საკვებსა და სითხეებზე

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვ.)	5 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება:**

**მასალა:**

- დოკუმენტაცია
- გამოყოფისათვის საჭირო საგნები

**მომვლელი პერსონალი**

- ერთჯერადი ხელთათმანები
- წინსაფარი
- ნიღაბი

**პერსონალის რაოდენობა – 1**

**ჩატარება**

- ჩაიხედეთ დოკუმენტაციაში და ბოლო მონაცემები შეამოწმეთ
- ჰკითხეთ კლიენტს ან მისი ოჯახის წევრებს (თუ ეს შესაძლებელია) ხომ არ ჰქონდა ადგილი რაიმე ცვლილებებს განვლილი დღის განმავლობაში
- აღწერეთ გამოყოფილი მასის შემადგენლობა, სუნი, ფერი, კონსისტენცია და ა. შ. ყველა საყურადღებო დეტალი და შეიტანეთ დოკუმენტაციაში.
- საჭიროების დროს გამონაყოფი მასის ნაწილი შეინახეთ სპეციალურ თავდახურულ ჭურჭელში, დააწერეთ კლიენტის გვარი და გაგზავნეთ ლაბორატორიაში
- თუ კლიენტს დაეხმარეთ ნაწლავების დაცლის და მოშარდვის დროს, ნახეთ, რა რაოდენობის გამონაყოფია და ჩაწერეთ დოკუმენტაციაში
- ჭარბი ოფლიანობა დააფიქსირეთ დოკუმენტაციაში და შეატყობინეთ ექიმს

**დასუფთავება**

- ჩაატარეთ პროცედურის შესაბამისად
- ერთჯერადი საგნები გადაყარეთ,
- შარდმიმღებს, "სუნდოს", ჭურჭელს ან ქილას (რაც კი გამოიყენეთ) – ჩაუტარეთ დეზინფექცია.
- ჩაიტარეთ ხელების საბოლოო დეზინფექცია.

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- ნებისმიერი საეჭვო ცვლილების დაფიქსირება დოკუმენტაციაში და ექიმისთვის შეტყობინება თავიდან აგაცილებთ შესაძლო გართულებებს.

**საყურადღებოა**

- ხშირი დებინების დროს შეამოწმეთ ელექტროლიტური ბალანსი
- კუჭიდან სისხლდენის დროს დაადეთ ყინული კუჭის საპროექციო არეში და გამოიძახეთ ექიმი

**3.1.1. გამოყოფილი სითხეებისა და მასების რაოდენობრივ-თვისობრივი კონტროლი/შეფასება**

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვ.)	10 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება:**

**მასალა:**

- დოკუმენტაცია
- გამოყოფისათვის საჭირო საგნები

**მომვლელი პერსონალი**

- ერთჯერადი ხელთათმანები
- წინსაფარი
- ნიღაბი

**პერსონალის რაოდენობა – 1**

**ჩატარება**

- ჩაიხედეთ დოკუმენტაციაში და ბოლო მონაცემები შეამოწმეთ
- ჰკითხეთ კლიენტს ან მისი ოჯახის წევრებს (თუ ეს შესაძლებელია) ხომ არ ჰქონდა ადგილი რაიმე ცვლილებებს განვლილი დღის განმავლობაში
- აღწერეთ გამოყოფილი მასის შემადგენლობა, სუნი, ფერი, კონსისტენცია და ა. შ. ყველა საყურადღებო დეტალი და შეიტანეთ დოკუმენტაციაში.
- საჭიროების დროს გამონაყოფი მასის ნაწილი შეინახეთ სპეციალურ თავდახურულ ჭურჭელში, დააწერეთ კლიენტის გვარი და გაგზავნეთ ლაბორატორიაში
- თუ კლიენტს დაეხმარეთ ნაწლავების დაცლის და მოშარდვის დროს, ნახეთ, რა რაოდენობის გამონაყოფია და ჩაწერეთ დოკუმენტაციაში
- ჭარბი ოფლიანობა დააფიქსირეთ დოკუმენტაციაში და შეატყობინეთ ექიმს

**დასუფთავება**

- ჩატარეთ პროცედურის შესაბამისად
- ერთჯერადი საგნები გადაყარეთ,
- შარდმიმღებს, "სუდნოს", ჭურჭელს ან ქილას (რაც კი გამოიყენეთ) – ჩაუტარეთ დეზინფექცია.
- ჩაიტარეთ ხელების საბოლოო დეზინფექცია,

**დაკვირვება გამონაყოფ სითხეებსა და მასებზე:**

- ღებინების შემთხვევაში: ღებინების დრო (საკვების მიღების შემდეგ, ემოციურ დატვირთვასთან, სტრესთან, რაიმე დაავადებასთან, რომელ სააათზე), კონსისტენცია (სისხლის შემცველობა – მიანიშნებს სისხლდენაზე და დაზიანებაზე საყლაპავ მილში), მუქი წითელი – შავი (ყავის ნალექის მსგავსი – მიანიშნებს კუჭიდან სისხლდენაზე), მწვანე და ლორწოს შემცველი (მიანიშნებს ცარიელ კუჭზე, ლორწო ნაღველთანაა შერეული). დაკვირვება – შეიცავს თუ არა საკვების ნარჩენს, ან წამლის ნარჩენებს.
- დაკვირვება ღებინების რაოდენობაზე (მცირე - სავსე პირის ღრუს ოდენობის, დიდი – სავსე თირკმლისებრი ჯამი). როგორ ხდებოდა – უცრად, ტალღისებრი ამოხეთქვით – მიანიშნებს პილორუსის სტენოზზე). ინტერვალებით, უცარი, ტალღისებრი ამოხეთქვით მოხრილ მდგომარეობაში (მიანიშნებს თავის ტვინის ანთებაზე). სპაზმური ღებინება( მოწამვლების, სისხლძარღვოვანი სპაზმების, ვეგეტატიური გუნების შაკიკის დროს).
- განავლის მასებზე დაკვირვებისას – შეიმჩნევა გადაუმუშავებელი პროდუქტები, კონსისტენციის, ფერის, სუნის და შემადგენლობის ცვლილებები (ლორწო, სისხლი, ნაწლავის მეტეორიზმი).
- ობსტუპაციის დროს არის შებერვა, ტკივილები, გულისრევის შეგრძნება,
- ფორმა – ფანქრის ფორმა – მიანიშნებს სიმსივნის ან სხვა რაიმე დაავადების არსებობაზე, ნორმაში კი - იგი შეესაბამება რექტუმის ფორმას.
- ცხიმების გადაუმუშავებლობის შემთხვევაში – მინარევი არის გაცივებული ქონის სახით, ბარდის ფორმის არის – ტიფის დროს, ბრინჯის ნახარშის (ქოლერის დროს).
- ფერის ცვლილებები – მუქი ყავისფერი - ბევრი ხორცის მიღების შემთხვევაში. სრული გაშავება (გამოწვეულია – რკინის შემცველი მედიკამენტების მიღების დროს, მელენა – კუჭნაწლავში სისხლდენა – კუჭის წვენიში არსებული მარილმჟავა აძლევს შავ შეფერილობას). მოწითალო, როცა ცოტა ქვემოთ არის სისხლდენა; წითელი ფერის - რექტალურ ნაწილშია სისხლდენა – სისხლი განავალს ზემოდან აძლევს; მოყვითალო-მოთეთრო შეფერილობისაა - აქილიური – როცა ნაღვლის პიგმენტი წვრილ ნაწლავში აღარ ჩადის; მომწვანო – როცა ბევრ ბალახს მიირთმევს;
- სუნზე დაკვირვება – ძველი, გაფუჭებული კვერცხის სუნი(ცილის გადამუშავების პრობლემაა), მჟავე სუნი – ნახშირწყლების გადამუშავების დაბრკოლება; მერალისუნი – მიანიშნებს გაზების დაგროვებაზე;

- ლორწო, ჩირქი, სისხლი და პარაზიტები – მიანიშნებს ინფექციურ დაავადებებზე (დიზენტერია).
- შარდზე დაკვირვება – ფერი, სუნი, ქიმიური რეაქცია, რაოდენობა, სისშირე (დღეღამეში), ნაკადი. ფერი ნორმაში ქარვისფერია. ამღვრეული – შეიცავს დაშლილ უჯრედებს; სისხლიანი – თირკმელში კენჭის, ქვიშის, სიმსივნის დროს; მუქი ლუდის ფერი და ქაფიანი - ჰეპატიტის დროს, სისხლიანი – ქიმიოთერაპიის დროს;
- სუნი – დამდგარ შარდს – ამიაკის, აცეტონის – დიაბეტიკებთან; მყრალი სუნი – საშარდე სისტემაში ანთებითი პროცესებისას; ხრწნადის – სიმსივნის დროს;
- ქიმიური რეაქცია - მუავე - საკვებზეა დამოკიდებული – ცილის შემცველობაზე.
- რაოდენობა – 1-2 ლ. დიდი რაოდენობა – 20 ლ დღეღამეში – უმაქრო დიაბეტის დროს; მცირე რაოდენობა – 0,5 ლ ნაკლები – მაღალი სიციხის ან ხანგრძლივი დიარეის შემთხვევაში; სრული არ ქონა – შარდვის მექანიკური დაბრკოლები, თირკმლის ფუნქციის დარღვევის, პროსტატიტის და ტრავმის დროს (ტრავმული შოკი).

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- ნებისმიერი საექვო ცვლილების დაფიქსირება დოკუმენტაციაში და ექიმისთვის შეტყობინება თავიდან აგაცილებთ შესაძლო გართულებებს.

**საყურადღებოა**

- ხშირი ღებინების დროს შეამოწმეთ ელექტროლიტური ბალანსი
- კუჭიდან სისხლდენის დროს დაადეთ ყინული კუჭის საპროექციო არეში და გამოიძახეთ ექიმი
- სისხლიანი ან სუნიანი ნახველის, ჰემატურიის ან ჭარბი ოფლიანობის არსებობის შემთხვევაში მაშინვე შეატყობინეთ ექიმს

**3.2. ტუალეტაჟე მიყვანა**

შემსრულებელი	ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვ.)	10 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა:**

- დამხმარე და ტექნიკური საშუალებები საჭიროებისამებრ

**კლიენტი**

- წამოაყენეთ, ჩააცვით და მიაცილეთ ტუალეტამდე

**ოთახი**

- შესაფერისი ტემპერატურა ოთახსა და/ან ტუალეტში

**მომვლელი პერსონალი**

- სამუშაო ტანსაცმელი

**ჩატარება**

- მხარდაჭერა და/ან დახმარება სიარულში ან გადაადგილებაში (მხოლოდ იმდენი, რამდენიც სინამდვილეშია საჭირო)

**დასუფთავება**

- გამოყენებულ ნივთებს მიუჩინეთ თავისი ადგილი
- ტუალეტი ჩარეცხეთ

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- კლიენტმა თავი უსაფრთხოდ უნდა იგრძნოს და შიშის გრძნობა არ ჰქონდეს
- გაითვალისწინეთ სტანდარტი – რისკ-ფაქტორების/დაცემის პროფილაქტიკა

**საყურადღებოა!**

- ყოველთვის შეამოწმეთ კლიენტის ვიტალური მაჩვენებლები და დაადგინეთ, შეუძლია თუ არა მას გადაადგილება

### 3.3. სკამ-ტუალეტზე გადმოსმა

შემსრულებელი	დმ ან ტმ;
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვ.)	10 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მომზადება

##### მასალა:

- საფენები, ტუალეტის ქაღალდი
- სკამი-ტუალეტი
- მასალა ინტიმ. ადგ. მოვლისთვის
- ლოგინის თეთრეული, საცვლები და/ან პამპერსი საჭიროების მიხედვით
- ნაგვის პარკი

##### კლიენტი

- მიიღეთ თანხმობა, პროცედურის მსვლელობა აუხსენით
- გაზომეთ სასიცოცხლო მაჩვენებლები

##### ოთახი

- თეჯირი
- ოთახის შესაფერისი ტემპერატურა

##### მომვლელი პერსონალი

- ხელების ჰიგიენური დეზინფექცია
- წინსაფარი
- ხელთათმანები

##### პერსონალის რაოდენობა

- როგორც წესი, 1 მომვლელი, კონტრაქტურების, სპასტიკების, სიმსუქნის დროს, აგზნებული და ფსიქიური პაციენტებისთვის მეორე მომვლელის ჩართვა

#### ჩატარება

- კლიენტი გააფრთხილეთ მოსალოდნელი ღონისძიების ჩატარების თაობაზე და მიიღეთ მისგან თანხმობა
- საწოლში წამოსვით, გახადეთ პამპერსი (თუ აცვია), ჩააცვით ოთახის ფეხსაცმელი, მოახურეთ რაიმე ბეჭებზე და დაეხმარეთ სკამ-ტუალეტზე გადმოჯდომაში
- ლოგინის თეთრეული განაახლეთ (თუ საჭიროა), ოთახი გაანიავეთ, ლოგინში დააბრუნეთ და მისთვის სასურველ პოზაში დააწვინეთ

#### დასუფთავება

- სკამის ქოთანს გადაღვარეთ, გარეცხეთ, სტერილიზაცია გაუკეთეთ და თავის ადგილას დააბრუნეთ.
- საწოლის გამოცვლილი თეთრეული და საცვლები სარეცხისთვის განკუთვნილ ტომარაში მოათავსეთ.
- პამპერსი გადააგდეთ.
- ჩაიტარეთ ხელების საბოლოო დეზინფექცია.

#### ხარისხის უზრუნველყოფა

- კლიენტმა თავი უსაფრთხოდ უნდა იგრძნოს და შიშის გრძნობა არ ჰქონდეს
- გაითვალისწინეთ სტანდარტი – რისკ-ფაქტორების/დაცემის პროფილაქტიკა
- კლიენტების ნდობის მოპოვება და მათთვის უსაფრთხოების გარანტიის შექმნა შესაძლებელია პროფესიონალიზმით
- მიღწეულია თუ არა მოვლის მიზანი და პროცედურის ეფექტურობა შეთანხმებულ დროში, გამოჩნდება მოვლის მიმდინარეობის ანგარიშში.

#### საყურადღებოა!

- ყოველთვის შეამოწმეთ კლიენტის ვიტალური მაჩვენებლები და დაადგინეთ, შეუძლია თუ არა მას გადაადგილება
- კუჭის დაცლისთვის სხვადასხვა საშუალებების გამოყენება ნაკლებ დროს მოითხოვს
- კუჭ-ნაწლავის დაცლის ყველა ღონისძიება (ორალური ან რექტალური) გამომდინარეობს ექიმის წერილობითი დანიშნულებისგან და პაციენტის სურვილისგან.

### 3.4. სუნოს (იხვის) მინოღება

შემსრულებელი	დმ ან ტმ;
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვ.)	5-10 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მომზადება

##### მასალა:

- საფენები, ტუალეტის ქაღალდი
- სუნო/იხვი
- მასალა ინტიმ. ადგ. მოვლისთვის
- საფენი ლოგინის დასაცავად, საცვლები და/ან პამპერსი საჭიროების მიხედვით
- პატარა ბალიში
- ნაგვის პარკი

##### კლიენტი

- მიიღეთ თანხმობა, პროცედურის მსვლელობა აუხსენით
- გაზომეთ სასიცოცხლო მაჩვენებლები

##### ოთახი

- თეჯირი
- ოთახის შესაფერისი ტემპერატურა

##### მომვლელი პერსონალი

- ხელების ჰიგიენური დეზინფექცია
- წინსაფარი
- ხელთათმანები

##### პერსონალის რაოდენობა

- როგორც წესი, 1 მომვლელი, კონტრაქტურების, სპასტიკების, სიმსუქნის დროს, აგზნებული და ფსიქიური პაციენტებისთვის მეორე მომვლელის ჩართვა

#### ჩატარება

- კლიენტი გააფრთხილეთ მოსალოდნელი ღონისძიების ჩატარების თაობაზე და მიიღეთ მისგან თანხმობა
- საწოლში წამოსვით, გახადეთ პამპერსი (თუ აცვია) და გვერდზე გადააბრუნეთ
- დაუფინეთ საფენი, ზურგის ქვეშ დაუდეთ პატარა ბალიში, თქოს ქვეშ შეაცურეთ “სუნო” და დაეხმარეთ მასზე გადმოჯდომაში.
- “იხვის” შემთხვევაშიც დაუფინეთ საფენი და ისე მიაწოდეთ
- “სუნოს” გამოღებისას ისევ გვერდზე ვაბრუნებთ კლიენტს და “სუნოს” ფრთხილად გამოვაცლით
- ლოგინის თეთრეული განაახლეთ (თუ საჭიროა), ოთახი გაანიავეთ და მისთვის სასურველ პოზაში დააწვინეთ

#### დასუფთავება

- სუნო/იხვი გადაღვარეთ, გარეცხეთ, სტერილიზაცია გაუკეთეთ და თავის ადგილას დააბრუნეთ.
- საწოლის გამოცვლილი თეთრეული და საცვლები სარეცხისთვის განკუთვნილ ტომარაში მოათავსეთ.

- პამპერსი გადააგდეთ.
- ჩაიტარეთ ხელების საბოლოო დეზინფექცია.

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- ყველა პროფილაქტიკური ღონისძიების ამოწურვით და/ან ადეკვატური ინტერვენციით დაუზიანებელი კანით შესაძლებელია ცხოვრების უკეთესი ხარისხის და კმაყოფილების მიღწევა
- კლიენტების ნდობის მოპოვება და მათთვის უსაფრთხოების გარანტიის შექმნა შესაძლებელია პროფესიონალიზმით
- მიღწეულია თუ არა მოვლის მიზანი და პროცედურის ეფექტურობა შეთანხმებულ დროში, გამომჩნდება მოვლის მიმდინარეობის ანგარიშში.
- პროფესიონალური ურთიერთობით (აქცეპტირება, ყურადღება, მოთმინება) და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით შესაძლებელია შეკავების უნარის აღდგენა
- განავლის ხანგრძლივი შეუკავებლობის დროს, ანალური ტამპონების გამოყენება მაღლა სწევს ცხოვრების ხარისხს და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალებას იძლევა.
- კლიენტს შეუძლია მოვლაზე პასუხისმგებელი პირის არჩევა
- შეკავების უნარს უნდა მიაღწიოთ და ხანგრძლივი მოვლა თავიდან აირიდოთ
- ყურადღება ექცევა ჰიგიენას, არ არის უსიამოვნო სუნის და კანის დაზიანება არ ხდება
- თვითკმაყოფილება და სისუფთავის შეგრძნება მიღწევადია

**საყურადღებო!**

- ყოველ კლიენტს აქვს საკუთარი შარდმიმღები და „სუნო“ (იატაკზე არ უნდა იდგეს)
- “სუნო” და “იხვი” თბილი უნდა იყოს
- ქალებთან: სიმფიზიდან ქვედა მიმართულებით დაბანა, სხვანაირად ინფექციის გადატანის საშიშროებაა
- შეუკავებლობის საშუალებებზე ზრუნვისას ყურადღება მიაქციეთ გაკეთების სწორ ტექნიკას
- შეკავებისთვის გამიზნული ვარჯიშების ჩატარება დაგეხმარებათ შედეგის მიღწევაში
- იმ შემთხვევაში, თუ გაზგამყვანის შეყვანის დროს იგრძნობა წინააღმდეგობა, პროცედურა მაშინვე შეწყვიტეთ და ექიმს აცნობეთ
- ასეპტიკა იცავს დაზიანებებისგან და თავიდან გვაცილებს ჯვარედინ ინფექციას
- კუჭის დაცლისთვის ერთჯერადი მზა საშუალებები გამოყენებისას ნაკლებ დროს მოითხოვს და ალაგების თვალსაზრისით უფრო ჰიგიენურია
- კუჭ-ნაწლავის დაცლის ყველა ღონისძიება (ორალური ან რექტალური) გამომდინარეობს ექიმის წერილობითი დანიშნულებისგან და პაციენტის სურვილისგან.

**3.5. ოყნა**

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვენებელი)	1 სთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

მასალა:

გამწმენდი და სხვადასხვა სახის ოყნისთვის

- დაფა
- ერთჯერადი ბუნიკი (მაღალი ოყნისთვის უფრო წვრილი, გრელი ბუნიკი)
- საცხი და მარლა
- სხვა საჭირო საგნები: მილი, წყლის რეზერვუარი...
- წყლის რაოდენობა და დანამატი ექიმის დანიშნულების შესაბამისად
- საფენები, ქაღალდი (ან ტუალეტის ქაღალდი), თირკმლისებური ჯამი და ნაგვის პარკი

- სკამი-ტუალეტი ან „სუნდო“
- მასალა ინტიმ. ადგ. მოვლისთვის, სუფთა თეთრეული საწოლისთვის, საცვლები და/ან პამპერსი

**კლიენტი**

- მიიღეთ თანხმობა, პროცედურის და წინა მოსამზადებელი პერიოდის მსვლელობა აუხსენით
- დაწვენა გამწმენდი ოყნის დროს: მარცხენა გვერდითი პოზიცია მოხრილი ფეხებით ან ზურგზე წოლა მუხლში მოხრილი ფეხებით;
- დაწვენა მაღალი ოყნის დროს: მუხლებზე და იდაყვებზე დგომა ან ზურგზე წოლა უკან გადაწეული თავით მუხლებში მოხრილი ფეხებით
- გადაამოწმეთ სასიცოცხლო მაჩვენებლები

**ოთახი**

- თეჯირი
- ოთახის შესაფერისი ტემპერატურა

**მომვლელი პერსონალი**

- ხელების ჰიგიენური დეზინფექცია
- წინსაფარი
- ხელთათმანები

**პერსონალის რაოდენობა**

- როგორც წესი, 1 მომვლელი, კონტრაქტურების, სპასტიკების, სიმსუქნის დროს, აგზნებული და ფსიქიური პაციენტებისთვის მეორე მომვლელის ჩართვა

**ჩატარება**

- აიხსნას ობსტიპაციის, დიარეის ან განავლის შეუკავებლობის მიზეზები (მოვლის ანამნეზი: საკუთარი ან სხვათა მონაცემები, ექიმის ჩანაწერი და დასკვნა)
- ყველა პროფილაქტიკური ღონისძიებები ტარდება ინდივიდუალური მიდგომით
- ჩატარდეს მონაცემებთან ერთად ინვაზიური ღონისძიებები დანიშნულების მიხედვით – რა ღონისძიებას ატარებთ ან რა ნივთიერებას იყენებთ? რითი - ოყნით? რამდენი – ოყნა რამდენჯერ უნდა გააკეთოთ და რა რაოდენობის ნივთიერებას იყენებთ?
- ოყნები: მიადებინეთ შესაფერისი მდებარეობა საწოლში, საჭიროების შემთხვევაში ჩართეთ მეორე მომვლელი, ოყნის მილი ჰაერისგან დაცალეთ. აწარმოეთ არტ. წნევის კონტროლი და ჩაუტარეთ სუნთქვითი ვარჯიში, იმუშავეთ ასეპტიურად. კლიენტმა შეძლებისდაგვარად უნდა შეაკავოს სითხე ნაწლავებში, მოამზადეთ სკამი-ტუალეტი ან „სუნდო“. ჩაატარეთ ინტიმ. ადგ. მოვლა. საჭიროების მიხედვით ტანსაცმელი და საწოლის თეთრეული განაახლეთ, ოთახი გაანიავეთ და მისთვის სასურველ პოზაში დააწვინეთ
- ერთჯ. სხვადასხვა სახის ოყნები ან სანთლები კარგად მოქმედი, მოსახერხებელი და კლიენტისთვის იოლად ასატანია
- მეტეორიზმის დროს გამოიყენეთ გაზგამყვანი მილი
- ჰემოროიდების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია დაზიანებები, ამიტომ ასეთ დროს მხოლოდ დიპლ. მომვლელი მუშაობს.
- რექტალური წვეთოვანი ოყნის დროს არანაირი დაზიანების საშიშროება არ არის, ის მოქმედებს სრულად და არც ისე ინვაზიურად, როგორც ენტერალური ან პარენტერალური სუბსტიტუციური თერაპია.

**დასუფთავება**

- ერთჯერადი საგნები გადაყარეთ, ირიგატორს დეზინფექცია გაუკეთეთ, გაასუფთავეთ და გასაშრობად დაკიდეთ. რეზინის მილი გაწმინდეთ, გაამშრალეთ და გაასტერილეთ. ნებისმიერის სახის ოყნის შემდეგ ირიგატორი უნდა გასტერილდეს (თუ სტერილიზაციას ექვემდებარება); ტანსაცმელი, საწოლის თეთრეული გამოცვალეთ და პაციენტი სასურველ პოზაში დააწვინეთ, ოთახი გაანიავეთ და ჩაატარეთ ხელების საბოლოო დეზინფექცია.

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- ყველა პროფილაქტიკური ღონისძიების ამოწურვით და/ან ადეკვატური ინტერვენციით, დაუზიანებელი კანით შესაძლებელია ცხოვრების უკეთესი ხარისხის და კმაყოფილების მიღწევა
- კლიენტების ნდობის მოპოვება და მათთვის უსაფრთხოების გარანტიის შექმნა შესაძლებელია პროფესიონალიზმით

- მიღწეულია თუ არა მოვლის მიზანი და პროცედურის ეფექტურობა შეთანხმებულ დროში, გამომწვევები მოვლის მიმდინარეობის ანგარიშში.
- პროფესიონალური ურთიერთობით (აქცეპტირება, ყურადღება, მოთმინება) და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით შესაძლებელია შეკავების უნარის აღდგენა
- განავლის ხანგრძლივი შეუკავებლობის დროს, ანალური ტამპონების გამოყენება მაღლა სწევს ცხოვრების ხარისხს და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალებას იძლევა.

**საყურადღებოა!**

- ინვაზიური ღონისძიებების ჩატარების განმავლობაში საჭიროა სისხლის მიმოქცევის სისტემაზე დაკვირვება, ხუნთქვითი ვარჯიშები.
- იმ შემთხვევაში, თუ გაზგამყვანის შეყვანის დროს იგრძნობა წინააღმდეგობა, პროცედურა მაშინვე შეწყვიტეთ და ექიმს აცნობეთ
- ასეპტიკა იცავს დაზიანებებისგან და თავიდან გვაცილებს ჯვარედინ ინფექციას
- კუჭ-ნაწლავის დაცლის ყველა ღონისძიება (ორალური ან რექტალური) გამომდინარეობს ექიმის წერილობითი დანიშნულებისგან და პაციენტის სურვილისგან.

**3.6. პამპერსის ან საფენის გამოცვლა**

შემსრულებელი	ტმ; რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევაში დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანქ.)	10 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა**

- ტუალეტის საგნები
- დაფა მასალის დასაწყობად
- მასალა ინტ. სფეროს მოსაველეად (იხ. სტანდარტი ინტ. ადგ. მოვლა)
- პამპერსი და/ან საფენი
- ხელთათმანი
- ხელების სადეზინფექციო საშუალება
- მარლის ტამპონები და ხელსახოცები
- პინცეტი
- პირსახოცები
- ნაგვის პარკი
- "სუნდო" საჭიროების შემთხვევაში

**კლიენტი**

- გადაამოწმეთ სასიცოცხლო მაჩვენებლები საჭიროებისას დროს
- ინფორმაცია მოსალოდნელი პროცედურის შესახებ ღირსების შეუღლებად მიაწოდეთ და შესთავაზეთ აუცილებელი დახმარება

**ოთახი**

- დაიცავით ინტიმური სფერო გარეშე თვალისგან (გამოიყენეთ თეჯირი),
- იზრუნეთ საკმარისი განათებისთვის და ოთახის სასიამოვნო ტემპერატურისთვის
- არავითარი ორპირი.
- საწოლთან ხელმისაწვდომ მანძილზე დაილაგეთ საჭირო მასალა და პამპერსი/საფენი

**მომვლელი პერსონალი**

- აუცილებელია დამცავი ხელთათმანების ჩაცმა, რათა გამოირიცხოს ხელების ბაქტერიებით და სოკოთი დაინფიცირება, ასევე წინსაფრის ხმარება (ჰიგიენური ღონისძიება) და ხელების წინასწარი დეზინფექცია.

**პერსონალის რაოდენობა**

- როგორც წესი, საჭიროა 1 მომვლელი, მეორე პირის ჩართვა ხდება პაციენტის მდგომარეობის გათვალისწინებით

### **ჩატარება**

- მიაწოდეთ ინფორმაცია პროცედურის თაობაზე
- მითითებები და დახმარება პროცედურის დამოუკიდებელი ჩატარებისთვის
- დააწინეთ ზურგზე (რეზინის საფენი პირსახოცის ქვეშ დააფინეთ)
- დაბანეთ საფუძვლიანად წყლით (არავითარი დასაბანი საშუალება), მხოლოდ ძლიერი დაბინძურებისას ან გამოხატული სურვილის შემთხვევაში მინიმალურად იქნეს გამოყენებული დასაბანი საშუალება
- მუცლის მიდამო იბანება საათის ისრის მიმართულებით მასაჟის თანხლებით (აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას)
- ქალთან: ჩაბანა ხდება სასირცხო ბაგეებიდან ქვევით ანუსის მიმართულებით. შემდეგ გვერდზე მწოლიარე მდგ-ში ხდება საჯდომი და ანუსის მიდამოების დაბანა
- კაცთან: კანი გადაწოიეთ, სასქესო ასო გაასუფთავეთ გარეთა მიმართულებით, გაამშრალეთ და კანი ისევ გადმოწიეთ. სასქესო ორგანო მთლიანად კარგად დაბანეთ და გაამშრალეთ. საჯდომი და ანუსი ისევე, როგორც ქალის შემთხვევაში
- თუ სიწითლე დაწებებულია, დააფინეთ მშრალი მარლის ხელსახოცები (არავითარი პუდრა) მუცლის ნაკეცებში ან საზარდულში
- ჩააცვით სუფთა საცვლები, საჭიროებისას პამპერსი (გვეგმის შესაბამისად!) და მოხერხებული მდებარეობა მიაღებინეთ

### **დასუფთავება**

- ჩაასხით წყალი ტუალეტში, თასს, სველი მეთოდით დამუშავების შემდეგ, დეზინფექცია გაუკეთეთ
- აალაგეთ მასალა, ჩატარეთ ხელების საბოლოო დეზინფექცია
- გამოცვლილი საფენები და პამპერსი ჩადეთ ნაგვის პარკში და მოუკარით პირი
- საჭიროების დროს გაავლეთ ქისა, გაფინეთ და მოგვიანებით მშრალი ჩააგდეთ სარეცხის ტომარაში
- დაამუშავეთ "სუნდო" სველი წესით და ჩაუტარეთ დეზინფექცია

### **ხარისხის უზრუნველყოფა**

- პროცედურას დაუთმეთ საჭირო დრო და გამოიჩინეთ მოთმინება გასუფთავებისა და დაბანის დროს
- დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა და მოვლის მიმდინარეობის გადამოწმება
- კლიენტს აქვს საკუთარი თასი (სახელით)
- განსაზღვრული უნდა იყოს მოვლაზე პასუხისმგებელი პირი
- აღარ გვხვდება კანის დაზიანებები და ცუდი სუნი
- თვითკმაყოფილება და სისუფთავე მიღწევადია
- კონსულტაციების, მითითებების და დახმარების შეთავაზებით კლიენტი გრძნობს მფარველობას და უსაფრთხოებას

### **საყურადღებოა!**

- გაძლიერებული სეკრეციის, კანის გაწითლების, გამონაყარის, დიარეისა ან ხშირი შარდვის და ბუასილის არსებობა დააფიქსირეთ დოკუმენტაციაში და აცნობეთ ექიმს
- მოსალოდნელი საშისრობების შეცნობა და პროფილაქტიკა
- დროულად მოხდეს პამპერსისა და საფენის გამოცვლა (კანის დაზიანების საშიშროება)
- კათეტერის გასუფთავება (მხოლოდ ექთან) ხდება შარდსაწვეთიდან გარე მიმართულებით
- შარდსავალი გზების ინფექციის პროფილაქტიკა: გამოიყენეთ სტ. საფენი ან ტამპონი იოდის შემცველი ხსნარით (გაითვალისწინეთ ალერგია იოდზე) კათეტერის ჩადგმის ადგილზე (მობილურ პაციენტებთან ღამით)
- თუ გამოყენებულია დასაბანი საშუალება, ზედმიწევნით საფუძვლიანად ჩამობანეთ სუფთა წყლით. საპნის ნარჩენები ვაგინის ფლორას შეცვლის (სოკოს საშიშროება!)
- საგულდაგულად გაამშრალეთ ჩამობანილი ადგილები
- დასაბანი საშუალება უნდა შეესაბამებოდეს კანის ტიპს

### 3.7. კათეტერიკისა და შარღმიფილუბის მოვლა

#### 3.7.1. სუპრარაპუბური კათეტერიკისა და შარღმიფილუბის გამოცვლა/მოვლა

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვ.)	30 – 45 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მომზადება

##### მასალა:

- დაფა
- სტერილური ხელთათმანები და პინცეტი
- 4-6 სტერილური ხელსახოცი
- 2 კომპრესსაფენი
- ალკოჰოლის შემცველი ხსნარი
- ხსნარი პლასტიკის ნარჩენების მოსაცილებლად
- ჰაერგამტარი პლასტიკი
- თირკმლისებური ჯამი
- ნაგვის პარკი

##### კლიენტი

- მოხერხებულია ზურგზე მწოლიარე მდგომარეობა
- გაათავისუფლეთ სამუშაო/საპროექციო არე

##### ოთახი

- შესაფერისი ტემპერატურა ოთახში
- თეჯირი

##### მომვლელი პერსონალი

- ხელების ჰიგიენური დეზინფექცია
- წინსაფარი (ექიმსაც)
- საჭიროების დროს ნიღაბი

#### ჩატარება

- სახვევის გამოცვლა
- მოუსვენარ/ადრეგებულ კლიენტებთან ადეკვატურად მუშაობა რომ შეძლოთ, ჩართეთ მეორე მომვლელიც
- მოვლის მიმდინარეობის დოკუმენტაციაში აღწერეთ მაკროსკოპულად, თვალით შესამჩნევი ცვლილებები შარდში და ჭრილობის მდგომარეობა
- სახვევის გამოცვლისას არ ილაპარაკოთ, გაციების შემთხვევაში გაიკეთეთ ნიღაბი

#### დასუფთავება

- თუ თქვენი საკუთარი ნაკრებით მუშაობთ, გარეცხეთ, დეზინფექცია და სტერილიზაცია ჩაუტარეთ. სხვა გამოყენებული მასალა გადაყარეთ. კლიენტს (თუ ვერ მოძრაობს) შეურჩიეთ მოხერხებული პოზა საწოლში. პროცედურის დამთავრების შემდეგ ჩაიტარეთ ხელების ჰიგიენური დეზინფექცია.

#### ხარისხის უზრუნველყოფა

- მოვლაში მიღწეული მიზნები წარმოადგენენ პროცედურების/მომსახურების შესრულების ხარისხის კრიტერიუმს.

#### საყურადღებოა!

- სუპრარაპუბური კათეტერის ჩადგმის აუცილებლობის თაობაზე ექიმი ამომწურავ ინფორმაციას აწვდის კლიენტს და მისგან ან მეურვისგან იღებს თანხმობას მის ჩადგმაზე.
- კათეტერი ყოველ 6-8 კვირაში უნდა გამოიცვალოს

- გამორეცხვა ან რაიმე ხსნარის შეშვება ხდება კათეტერის გაჭედვის შემთხვევაში ან თერაპიული მიზნით მხოლოდ ექიმის წერილობითი განკარგულების/დანიშნულების შემდეგ.
- კათეტერის მილი არ უნდა გადაიკეცოს (რათა არ შეფერხდეს სითხის დინება, აგრეთვე არ უნდა ახდენდეს სადმე ზეწოლას ნაწოლის გაჩენის საშიშროების გამო
- მასალის არჩევანი დამოკიდებულია ოჯახის ექიმზე. მხედველობაში მისაღებია ხარისხი და ფასი.
- მიკრო და/ან მაკროჰმატურიის (სისხლის არსებობა შარდში) არსებობა დაუყოვნებლივ აცნობეთ ექიმს
- ყურადღება მიაქციეთ, რომ კლიენტმა მიიღოს საკმარისი სითხე (სითხის დეფიციტი იწვევს დეჰიდრატაციას, თირკმლების დაზიანებას და გონებრივ დარღვევებს)
- სუპრაკუბური კათეტერით კლიენტი მოძრაობაში და გადაადგილებაში არ იზღუდება
- ყურადღება მიაქციეთ შესაძლო ალერგიას პლასტირზე.

**3.7.2. ტრანსურთერალური კათეტერის ჩაღმა/მოვლა**

შემსრულებელი	მხოლოდ დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანჯ.)	20-30 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა კათეტერის ჩასადგმელად:**

- ყველა საჭირო მასალა ინტიმ. ადგილების მოვლისთვის
- დაფა
- კათეტერის ნაკრები
- 3 სტერილური ხელთათმანი
- ლორწ. გარსის სადეზინფექციო ხსნარი
- 2 შესაბამისი ზომის კათეტერი (1 რეზერვში)
- ჩაკეტილი სისტემა შარდის მისაღებად
- 10 მლ-იანი შპრიცი გამოხდილი წყლით (ბუშტის გასაბერად საჭირო რაოდენობა მითითებულია კათეტერზე)
- ნაგვის პარკი
- 1 არასტერილური თირკმლისებური ჯამი
- ლეიკოპლასტირი

**კლიენტი**

- საწოლის საფენი საჯდომის ქვეშ
- გახდა/ჩაცმის დროს დახმარება (თუ საჭიროა)
- ჩაატარეთ ინტიმური ადგილის მოვლა (ჩაატარებინეთ)
- დააწვინეთ მოხერხებულ პოზაში

**ოთახი**

- უზრუნველყავით კარგი განათება
- შესაფერისი ტემპერატურა
- თეჯირი

**მომვლელი პერსონალი**

- ხელების ჰიგიენური დეზინფექცია
- ხალათი
- ნიღაბი

**ჩატარება**

- საჭირო მასალა ხელმისაწვდომ მანძილზე დაილაგეთ, რათა თავიდან აიცილოთ შემდგომი უსარგებლო სიარული აქეთ-იქით

- კლიენტს ისე გადააფარეთ, რომ მუშაობაში ხელი არ შეგეშალოთ
- მეორე მომვლელის დახმარება შემოიფარგლება მხოლოდ ისეთ საგნებზე ხელის მოკიდებით, რომლებიც სტერილობის დაცვას არ საჭიროებენ ან გულისხმობს კლიენტის დახმარებას, მასზე ზრუნვას პროცედურის განმავლობაში
- პროფილაქტიკური ჩარევები გაითვალისწინეთ და ჩაატარეთ

**დასუფთავება**

- კლიენტები, რომელთაც შეზღუდული აქვთ მოძრაობა, დააწვინეთ მათთვის მოსახერხებელ პოზაში (შეადარეთ დაწვევის გეგმას). გამოყენებული მასალა გადაყარეთ, თირკმლისებური გაასუფთავეთ, ჩაუტარეთ დეზინფექცია და სტერილიზაცია.

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- სტერილობისა და ჰიგიენური პირობების დაცვით კათეტერის ჩადგმა კლიენტის მდგომარეობას გააუმჯობესებს.

**საყურადღებო!**

- პატივი ეცით კლიენტის გადაწყვეტილებას უარის შემთხვევაში
- კათეტერი სწორად/პირდაპირ უნდა ჩაიდგას
- პროსტატის გადიდების დროს შესაძლებელია შარდსაწვეთის შევიწროება. წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში მაშინვე შეწყვიტეთ პროცედურა და ექიმს შეატყობინეთ
- შარდმიმღები ისე დაამაგრეთ, რომ მისი კონტროლი და შემოწმება ყოველ წუთში იყოს შესაძლებელი
- შხაპის მიღება ნებადართულია, მაგრამ აბაზანის მიღება არა, რადგან შესაძლებელია კლიენტს ჰქონდეს უკონტროლო კუჭის მოქმედება
- ყურადღება მიაქციეთ შესაძლო ალერგიას იოდსა და ლეიკოპლასტირზე
- კაცები წინასწარ შეამოწმეთ პარაფიმოზზე
- შარდმიმღების სწორი დამაგრება თავიდან აგაცილებთ მის აქეთ-იქით მოძრაობას და აღარ გამოიწვევს ურეთრის ლორწოვანის დაზიანებას/გაღიზიანებას
- დოკუმენტირებული უნდა იქნეს: კათეტერის ზომა, ბუშტის გასაბერად შეშვებული გამოსხილი წყლის რაოდენობა.

**3.7.3. სტომისა და ბანაჟის მიმღების მოვლა**

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვ.)	20 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა:**

- დაფა
- საფენი (ლოგინის დასაცავად)
- სტერილური მასალა
- ახალი მიმღები და მასთან დაკავშირებული საჭირო საგნები
- ნაგვის პარკი
- საჭიროებისას ქაღალდის ხელსახოცები/ტუალეტის ქაღალდი, მაკრატელი, საწმენდი საშუალება, პლასტირის მოსაცილებელი, კანის დამცავი დეზოდორი, სპეციალური მალამო, ელექტროსაპარსი.

**კლიენტი**

- პროცედურა შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ მდგომარეობაში (მწოლიარე, მდგომარე ან მჯდომარე)

**ოთახი**

- შესაფერისი ტემპერატურა ოთახში
- მშვიდი ატმოსფერო, თევზირი

**მომვლელი პერსონალი**

- ხელების ჰიგიენური დეზინფექცია
- წინსაფარი
- დამცავი ხელთათმანები

**ჩატარება**

- თქვენი მხარდაჭერა და/ან დახმარება მხოლოდ იმდენი, რამდენიც სინამდვილეშია საჭირო, დაგეგმეთ დრო და უზრუნველყავით სიმშვიდე
- გამოიყენეთ შარდმიმღები ჩამკეტით.
- მიმღების არჩევა ხდება სტომის ზომის მიხედვით, გაითვალისწინეთ სტომის ნაკეცები/ზომაში შემცირება (ასეთ შემთხვევაში ახალი მიმღები შეურჩიეთ)
- მიმღები კარგად მოარგეთ სტომას, ნაკეცები არ უნდა შეყვეს, შიგთავსი გარეთ არ უნდა გამოვიდეს.

**დასუფთავება**

- შარდმიმღები მთლიანად დაცალეთ და მერე გადააგდეთ
- გამოყენებული წყალი ტუალეტში ჩაასხით, დასაბანი თასი სველი წესით დაამუშავეთ და დეზინფექცია ჩატარეთ
- შეამოწმეთ კლიენტის მდგომარეობა
- ჩაიტარეთ ხელების საბოლოო დეზინფექცია

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- ზუსტად ჩატარებული სტომის მოვლა არის კანის გაღიზიანებისა და სხვა სახის დაზიანების თავიდან აცილების საშუალება, ეს კი მოვლითი პროცედურების ხარისხის გარანტიაა.
- ინტენსიური მზრუნველობისა და მოვლის საშუალებით კლიენტი კვლავ იძენს საკუთარი თავის რწმენას.
- კმაყოფილება, კარგი შეგრძნებები და სისუფთავე მიღწევადია.

**საყურადღებო!**

- გასასუფთავებლად არ გამოიყენოთ ქაფი, იგი შეიცავს ზეთოვან მინარევებს, კანი კარგად გამშრალებული უნდა იყოს, რათა მიმღების დამაგრება შეძლოს.
- ლეიკოპლასტირის ნარჩენების მოსაცილებლად არ გამოიყენოთ ბენზინი, ალკოჰოლი ან ეთერზეთები, ეს კანს აშრობს. გამოიყენეთ პლასტირის მოსაცილებელი სპეციალური სითხე.
- არ გამოიყენოთ თმის მოსაცილებელი კრემი (დეპილატორი), ამან შეიძლება ალერგიული რეაქცია გამოიწვიოს. გამოიყენეთ მხოლოდ ელექტროსაპარსი, კანი არ გაღიზიანდება და თმის ძირებისა და ჯირკვლების შესაძლო ანთებებსაც თავიდან აიცილებთ.
- სტომიდან სისხლდენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობეთ ოჯახის ექიმს
- შხაპი და აბაზანის მიღება უკუჩვენება არ არის
- ძლიერი შარდის სუნის შემთხვევაში იფიქრეთ შესაძლო ინფექციაზე
- ფანტომური ტკივილების შეგრძნება შესაძლებელია
- გააცანით სხვა ადამიანები ამავე პრობლემებით (სტომის მქონე კლიენტები)

**3.7.4. სპეციალური ვარჯიშები გამოყოფასთან დაკავშირებული დასრულების დროს**

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვ.)	10 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება:**

**მასალა**

- პატარა ბალიში
- საფენი,
- პირსახოცი ან ხელსახოცები
- სამკურნალო მალამო ან ზეთი (ვარჯიშის შემდეგ)

**კლიენტი**

- საჭიროებისას დაეხმარეთ წამოჯდომაში
- საწოლის ფეხებთან ან თავთან ქვედა/ზედა ნახევარი ასწიეთ
- კლიენტს შესაფერისი პოზიცია მიადებინეთ ან დახმარება შესთავაზეთ
- არ უნდა იყოს ახალი ნასადილევი
- შარდის ბუშტი დაცლილი

**ოთახი**

- ოთახის ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად
- გაანიავეთ და შექმენით მშვიდი გარემო
- თეჯირი
- გამოყავით საჭირო მასალის დასაწყობი ადგილი საწოლთან/სკამთან ახლოს

**მომვლელი პერსონალი**

- დაიბანეთ ხელები
- ჩაიცვით ხალათი

**ჩატარება**

- თუ პაციენტი ზის ლოგინში ან სკამზე და ჯდომისას საწოლის საზურგე ან სკამის ზურგი ვერ უზრუნველყოფს მისთვის საკმარის საყრდენს სწორი პოზის მისაღწევად (ყური, მხარი და ბარძაყის თავი უნდა იყოს ერთხაზზე), ზურგისა და წელის არეში მოათავსეთ პატარა ბალიში ან დაგორგლილი პირსახოცი, ხოლო წოლისას იგივეს ჩავედებთ მუხლების ქვეშ, რათა საყრდენს წარმოადგენდეს ზურგის ქვედა ნაწილისთვის.
- მუცლის კუნთების ვარჯიშები, წრიული მასაჟი კოლინჯის მიმართულებით – ხელს უწყობს პერისტალტიკის გაძლიერებას
- შარდის ბუშტის სპინქტერის ვარჯიში – “მოჭერისა და მოშვების” პრინციპით - არის შეუკავებლობის თავიდან აცილების ერთ-ერთი პროფილაქტიკა
- შარდის ბუშტის საპროექციო არეში “დაკაკუნება” შარდის გამოყოფას უწყობს ხელს

**დასუფთავება**

- გამოყენებულ ნივთებს მიუჩინეთ თავისი ადგილი

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- მაღალი პროფესიონალური და კომპეტენტური მიდგომა და ქმედება პაციენტს უქმნის ამაღლებულ განწყობას და ჯანმრთელობისა და სიცოცხლისუნარიანობას.

**საყურადღებოა**

- რომ ყველა ვარჯიში და პროცედურა აღნიშნული იყოს დოკუმენტაციაში, რათა ხელმისაწვდომი იყოს კონტროლის და შეფასებისათვის.
- პროცედურა არ უნდა იყოს მტკივნეული, ეს მიუთითებს სერიოზულ პრობლემებზე.
- მუცელი თუ ძლიერ დაჭიმულია, შეატყობინეთ ექიმს

**3.7.5. დაკვირვება და დახმარება ღებინებისას**

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანვ.)	15 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა:**

- ქაღალდის ხელსახოცები
- თირკმლისებური ჯამი
- ჭურჭელი თავსახურით(ანალიზის გასაკეთებლად)
- ერთჯერადი ხელთათმანები (წყალგამძლე)
- ლოგინის საფენი
- სუფთა თეთრეული

- სახისა და ხელების დასაბანი თასი და მასალა
- პირის ღრუს მოსაფლელი საშუალებები

**კლიენტი**

- თუ შესაძლებელია, ნიჟარასთან მიიყვანეთ ან აბაზანამდე მიაცილეთ

**ოთახი**

- რაიმე სპეციალური მომზადება საჭირო არაა.

**მომვლელი პერსონალი**

- ერთჯერადი ხელთათმანები
- ცელოფანის (ან რაიმე წყალგაუმტარი ქსოვილის/მასალის) წინსაფარი
- ნიღაბი

**ჩატარება**

- კლიენტი წამოსვით. თუ ამის საშუალება არ არის, შეძლებისდაგვარად სხეულის ზედა ნაწილის აღმართული პოზა მიადებინეთ
- კბილის პროთეზი მოხსენით
- კლიენტს თავი დაუჭირეთ შუბლზე და თირკმლისებური ჯამი მიუმარჯვეთ
- ღებინებისას დაამშვიდეთ, დაუშვებელია კლიენტს თქვენი რეაქცია აჩვენოთ (მაგ.: ზიზღი)

**ღებინების შემდეგ:**

- კლიენტს პირი მოწმინდეთ
- პირის ღრუში გვირილის ან პიტნის ჩაი გამოავლებინეთ
- პირის ღრუს სპეციალური მოვლა ჩაუტარეთ
- კლიენტს სახე და ხელები დაბანეთ
- მოახდინეთ დოკუმენტირება და პროცესის შეფასება შემდეგნაირად:

**ღებინების დრო**

- საკვების მიღების შემდეგ?
- მედიკამენტის მიღების შემდეგ?
- ღებინება დაკავშირებული იყო გაღიზიანებასთან, გაბრაზებასთან თუ სტრესთან?
- ღებინება დაკავშირებულია თუა არა რაიმე დაავადებასთან?
- რომელ საათზე?

**ნაღებინები მასის ფერი/კონსისტენცია**

- სისხლის შემცველობა, ალისფერი? (მიანიშნებს სისხლდენაზე და დაზიანებაზე საყლაპავ მილში)
- მუქი წითელი - შავი (ყავის ნაღვექის მსგავსი მიანიშნებს კუჭიდან სისხლდენაზე)?
- მწვანე და ლორწოს შემცველი? (მიანიშნებს ცარიელ კუჭზე, ლორწო ნაღველთანაა შერეული)
- საკვების მოუნელებელ ნარჩენს შეიცავს თუ არა?
- არის თუ არა წამლები ან მათი ნარჩენები მასაში?

**რაოდენობა:**

- მცირე რაოდენობა (სავსე პირის ღრუს ოდენობის)?
- დიდი რაოდენობა (სავსე თირკმლისებური ჯამი)?

**როგორ ხდებოდა ღებინება**

- უეცარი, ტალღისებური ამოხეთქვით (მიანიშნებს პილორუსის სტენოზზე)
- ინტერვალებით
- უეცარი, ტალღისებური ამოხეთქვით მოხრილ მდგომარეობაში (მიანიშნებს თავის ტვინის ანთებაზე)
- სპაზმური ღებინება (მაგ.: მოწამვლების, სისხლძარღვოვანი სპაზმების, ვეგეტატიური გენეზის შაკიკის დროს)

**სუნი**

- მჟავე (საკვების ნარჩენები კუჭის წვენიტ გაჯერებულია)
- დამპალი საკვების (ქრონიკული ანთებების/ნაწლავების ჩირქოვანი დაავადებების დროს)

- განავლის (გაუვალობისას)

**დასუფთავება**

- დასვრილი თეთრეული გამოუცვალეთ (მათ შორის ლოგინის თეთრეულიც მთლიანად, თუ ეს საჭიროა)
- ოთახი გაანიავეთ
- მისი მდგომარეობა გადაამოწმეთ
- ვიტალური მანქანებლები გაზომეთ
- ნაღებინები მასა სპეციალურ თავდახურულ ჭურჭელში (ქილა ნახველისთვის) შეინახეთ, ან თირკმლისებურ ჯამს დააფარეთ
- ჭურჭელს კლიენტის გვარი დააწერეთ
- ექიმს შეატყობინეთ
- ჭურჭელს/ქილას (რაც კი გამოიყენეთ) დეზინფექცია ჩაუტარეთ

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- შესაძლებელია კლიენტის ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და მისი მდგომარეობის შეფასება
- შესაძლებელია დაკვირვებების შედეგად მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილება
- დროული, პროფესიონალური ჩარევით ხდება ასპირაციული პნევმონიის თავიდან აცილება

**საყურადღებო!**

- უგონოდ მყოფი კლიენტი გვერდზე დააწვინეთ და თავი შექლებისდაგვარად წინ გადმოუხარეთ(ასპირაციის საშიშროება)
- ყავის ნაღების მსგავსი ნაღებინების დროს კუჭზე ყინული დაადეთ და სასწრაფო გამოიძახეთ
- ხშირი ნაღებინებისას გააკონტროლეთ ელექტროლიტური ბალანსი და სითხის კარგვა (საჭიროების დროს ინტრავენური ინფუზია)
- ნაღებინების შემდეგ პირის ღრუს სპეციალური მოვლა ჩაატარეთ

**3.7.6. შარდისა და განავლის აღება ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის**

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანქ.)	10 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა:**

- დაფა სტერილური ხელსახოცით საჭირო მასალის დასაწყობად
- ტუალეტის საგნები
- 6 ც. სტერ. ტამპონი ჩასაბანად
- სტერ. ხელთათმანი
- სტერ. ხელსახოცი
- სტერ ჭურჭელი
- კათეტერი საჭ. დროს
- სადეზინფექციო ხსნარი
- ჯამი
- სპეც. მაღამო
- "სუდნო"
- შპადელი
- ნაგვის პარკი

**კლიენტი**

- მიაწოდეთ ინფორმაცია პროცედურის თაობაზე
- დააწვინეთ შესაბამის მდგომარეობაში

## **ოთახი**

- ოთახის ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად
- თავიდან აიცილეთ ორპირი ქარი
- საჭირო მასალა მოამზადეთ სამუშაო ადგილთან ახლოს

## **მომვლელი პერსონალი**

- წინსაფარი
- ხელების დაბანა და დეზინფექცია
- სტერილური ხელთათმანები

## **პერსონალის რაოდენობა**

- როგორც წესი, სჭირდება 1 მომვლელი, ზოგიერთ შემთხვევაში ჩართეთ მეორეც.

## **ჩატარება**

- კლიენტს ყოველთვის მიაწოდეთ ინფორმაცია პროცედურის თაობაზე
- მოამზადეთ კლიენტი, დააწინეთ შესაფერის მდგომარეობაში
- ჩაბანა ხდება ზემოდან ქვემოთ (იხ. სტანდარტი)
- ანალიზი აიღეთ ასეპტიკის წესების დაცვით, მოათავსეთ სტერ. ჭურჭელში და დაახურეთ თავსახური
- დროულად გაგზავნეთ ჭურჭელი გამოსაკვლევეად

## **დასუფთავება**

- გადაყარეთ გამოყენებული მასალა
- "სუდნოს" დეზინფექცია ჩატარეთ და გაასტერილეთ

## **ხარისხის უზრუნველყოფა**

- პროცედურის მიმდინარეობის (წესების) მაქსიმალურად დაცვა და საქმიანობის დროული და პროფესიონალური ჩატარება მოვლის გეგმის მიხედვით თავიდან აგაცილებთ ინფექციასა და სოკოს წარმოქმნას

## **საყურადღებოა!**

- მოსალოდნელი საშიშროების შეცნობა და დროული პროფილაქტიკა
- მაქსიმალურად დაიცავით სტერილურობა
- გამორიცხეთ აღმავალი ინფექციის საშიშროება

## 4. კვება

### 4.1. საკვების მიწოდება (კლიენტის ეფექტური კონტროლის გარეშე)

#### 4.1.1. დანერგვა კვებისას

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანძ.)	20 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მომზადება:

##### მასალა

- სპეციალური მაგიდა საწოლში დასადგმელი (შესადგმელი)
- დიდი და პატარა ბალიშები (საწოლში კლიენტის დასაჯდომად)
- საკვები

##### კლიენტი

- წინსაფარი

##### ოთახი

- წლის დროის შესაბამისად

##### მომვლელი პერსონალი

- ერთი

#### ჩატარება

- საკვების მიცემამდე უნდა დავრწმუნდეთ, რომ კლიენტს შეუძლია ნერწყვის გადაყლაპვა
- შესამოწმებლად ვაძლევთ მეოთხედ ჩაის კოვზ წყალს, შეიძლება ხორხზე ჩამოვუსვათ ხელი, ყლაპვის დროს მოძრაობს თუ არა
- კვების დროს სასუნთქი გზები თავისუფალი უნდა იყოს, ამიტომ საჭიროა ბეჭების გათავისუფლება, არაფერი არ უნდა აწვებოდეს.
- ვთხოვთ კლიენტს (როცა მჯდომარეს ვაჭმევთ), მხრები დაუშვას და თავი ოდნავ დახაროს
- კლიენტი ლოგინში მოხერხებულად დავსვათ, ამისთვის გამოვიყენოთ სკამი, ბალიშები და ა. შ.
- როცა კლიენტი პირს ბოლომდე ვერ ხურავს, და საკვებს ვერ გზავნის საყლაპავისკენ, ჯდომის დროს წელთან და კუდუსუნთან ჩაუდეთ პატარა ბალიშები
- დაჯექით კლიენტის პირისპირ
- ცერა თითი იდებთ ქვედა ტუჩის დაბლა, საჩვენებელი თითი ყბათაშორის სახსარზეა მოთავსებული, შუა თითი ნიკაპის ქვეშ (ამ ვარიანტს ვიყენებთ, როცა კლიენტს არ შეუძლია პირის დახურვა) ან ვდგევართ გვერდიდან, ცერა თითი დევს ყბათაშორის სახსარში, საჩვენებელი თითი ქვედა ტუჩის ქვემოთ, შუა ნიკაპის ქვეშ
- ბევრი კლიენტი საკვებს ინახავს დამბლიან მხარეს, ლოყის ჯიბეში და ამას ვერ ამჩნევს, ამიტომ ჭამის დროს დაზიანებულ მხარეს ხელი უნდა დაიდოს ლოყაზე ან ღეჭვის დროს ხელსმა გააკეთო.

#### დასუფთავება

- ნახშირი ჭურჭელი აალაგეთ და გარეცხეთ
- სამუშაო ადგილი მოაწესრიგეთ

#### ხარისხის უზრუნველყოფა

- კითხვა, კმაყოფილია თუ არა კლიენტი საჭმელით, საშუალებას ვაძლევთ ისე შეცვალოთ კვების გეგმა, რომ საკვების ხარისხი კლიენტის მოთხოვნილებებს შეესაბამებოდეს
- შესთავაზეთ დასვენების დრო მისი სურვილის გათვალისწინებით
- კვების დროები (დაცილება სხვადასხვა ჭამის შორის) ისე უნდა დაიგეგმოს, რომ დრო ვახშამსა და საუზმეს შორის არც ისე დიდი იყოს
- შესთავაზეთ დმ-ს ან დიეტოლოგის მოხსენებები ან კერძო საუბრები და რჩევები საკვებთან დაკავშირებით

- კლიენტის თვითკმაყოფილება და ცხოვრების შესაფერისი ხარისხი შესაძლებელია მიღწეულ იქნეს მხოლოდ მისი ინდივიდუალური სურვილებისა და თვითგანსაზღვრის გათვალისწინებით
- მოვლის მიმდინარეობის ანგარიშში ჩაწერეთ დაკვირვებები, შეგრძნებები, მიღებული საკვების რაოდენობა, პროგრესი/რეგრესი. ეს საშუალებას მოგცემთ მოახდინოთ შედარება დასახულ მიზნებსა და არსებულ მდგომარეობას შორის.

**საყურადღებოა**

- მნიშვნელოვანია, ლოგინში იჯდეს კარგად, მენჯის სახსარში 90 გრადუსიანი კუთხით მოხრილი
- სასურველია ჭამის შემდეგაც მჯდომარე მდგომარეობაში დარჩეს ცოტა ხანი, მაშინე არ დაწვეს, რომ საკვები კუჭში ბოლომდე კარგად ჩავიდეს
- თუ საკვები სასულეში გადასცდა, წინ გადახარეთ, ხელები განზე გააწვეინეთ, ღრმად ასუნთქეთ და ამოახველებინეთ

**4.2. კვება (ზოგადად)**

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანვ.)	30 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა:**

- კვების გეგმა გარკვეულ ფორმატში, ყველასთვის ხელმისაწვდომი (კლიენტს შეუძლია 2 სხვადასხვა კვებას შორის გააკეთოს არჩევანი)
- კვება: საუზმის ან ვახშმის ბუფეტი, სხვადასხვა ჭურჭლითა და ულუფებით შეთავაზება,
- ხარჯთაღრიცხვა წარმოებს კვების ბარათის საფუძველზე. შესაძლებელია ერთი ცვლილება ბარათზე (ფანქრით)
- მაგიდის გაწყობისას ლაგდება მთლიანი ჭურჭელი, გათვალისწინებულია დამხმარე საშუალებები ყველა სახის დაზიანებისას: გაცურების საწინააღმდეგო საფენი მაგიდაზე, ასეთივე დაფა, სპეციალური დანა - ჩანგალი ხელის მოსაკიდებელი და სითხის მისაღებად – სპეციალური ჭიქა
- გამოიყენეთ ძირითადად დიდი თევშები, სასმელები ჭიქაში/ფინჯანში ჩაასხით, მხოლოდ გამონაკლისის სახით იქნება შეთავაზებული სპეციალური ჭიქა და საწრუპი ჩხირი
- ჭურჭელი მიზნობრივად და მადისაღმძვრელად უნდა გამოიყურებოდეს (სითბოს შემანარჩუნებელი ჭურჭელი, თეფში - ამადლებული კიდევებით და ჭიქა -იზოლირებული სადგამით და სახელურით)
- დალევისა და ჭამის ტრენინგს ერგოთერაპევტები შემოგთავაზებენ

**კლიენტი**

- ინფორმაცია მიაწოდეთ კვების აქტუალური გეგმის თაობაზე
- საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერა, თანხლება (ტუალეტში გასვლისას) სასადილო დარბაზში/ოთახში, დასაჯდომი ადგილის შერჩევა სურვილის მიხედვით
- შეამოწმეთ ადგილზეა თუ არა პროთეზები, სათვალე (სუფთაა?) და სასმენი აპარატი (ფუნქციონირებს?),
- შესთავაზეთ ხელსახოცი
- მწოლიარეს ჭამის წინ და შემდეგ შესთავაზეთ ტუალეტის მოთავება (შარდმიმღები ან „სუდნო“), ხელები დააბანინეთ, მიაღებინეთ მოხერხებული, ამადლებული პოზა (დახმარება ბალიშებით), გაითვალისწინეთ დაავადებები და დაზიანებები, მაგიდა ახლოს მიუწიეთ შესაბამის სიმაღლეზე და მასზე გაცურების საწინააღმდეგო საფენი დაუდეთ

**ოთახი**

- სასადილო დარბაზის განიავება (მიექცეს ყურადღება ტემპერატურას და განათებას)
- მაგიდის დეკორაცია (ყვავილები)
- ყოველ კლიენტს აქვს მაგიდის ბარათი, სახელითა და გვარით (დახმარება ორიენტირებაში)

- სურვილის მიხედვით ჩართეთ მუსიკა (მაგნიტოფონი ან რადიო) ოთახის სიდიდის შესაბამის ხმაზე (არავითარი ტელევიზორი!)
- დასაჯდომი საშუალება სკამისა ან ტაბურეტის სახით

**მომვლელი პერსონალი**

- დაიბანეთ ხელები
- ჩაიცვით დამცავი ტანსაცმელი

**ჩატარება**

- კლიენტს მიეცით საკვების მიღების წინ მისთვის ჩვეული რიტუალის (მაგ.: ლოცვა) ჩატარების საშუალება
- კლიენტი განსაზღვრავს საჭმელის რაოდენობას და აკეთებს არჩევანს
- საკვები მოამზადებინეთ დამოუკიდებლად (არსებული უნარების გათვალისწინებით მიღწეული იქნება დამოუკიდებელი ქმედება) ან დაეხმარეთ (დაუქუცმაცეთ)
- ჭმევისას მომვლელი ზის კლიენტის გვერდით იგივე სიმაღლეზე
- დაიცავით საკვების მისაღებად საჭირო დრო (არანაირი დაჩქარება და ზეწოლა)
- ენტერალური (ზონდით კვება) ან პარენტერალური (ინფუზია) კვება მოამზადეთ, დადგით და ყურადღება მიაქციეთ (დმ)
- მედიკამენტები/წვეთები მიეცით (წამლების მიღების დროს ყურადღება მიაქციეთ)

**დასუფთავება**

- მიეცით ხელების დაბანის, პირის ღრუსა და პროთეზების მოვლის შესაძლებლობა
- განაახლეთ დასვრილი ტანსაცმელი
- ტუალეტის საჭიროების დროს: დაცალეთ მწოლიარესთან შარდმიმღები ჭურჭელი/„სუნო“ და მუდმივი შარდმიმღები
- კლიენტს ჭამის შემდეგ შეუძლია წამოწვევს, მწოლიარე კლიენტს შეურჩიეთ მისთვის სასურველი პოზა

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- კითხვა, კმაყოფილია თუ არა კლიენტი საჭმელით, საშუალებას გაძლევთ ისე შეცვალოთ კვების გეგმა, რომ საკვების ხარისხი კლიენტის მოთხოვნილებებს შეესაბამებოდეს
- შესთავაზეთ დასვენების დრო მისი სურვილის გათვალისწინებით
- კვების დროები (დაცილება სხვადასხვა ჭამის შორის) ისე უნდა დაიგეგმოს, რომ დრო ვახშამსა და საუზმეს შორის არც ისე დიდი იყოს
- შესთავაზეთ დმ-ს ან დიეტოლოგის მოხსენებები ან კერძო საუბრები და რჩევები საკვებთან დაკავშირებით
- კლიენტის თვითკმაყოფილება და ცხოვრების შესაფერისი ხარისხი შესაძლებელია მიღწეული იქნეს მხოლოდ მისი ინდივიდუალური სურვილებისა და თვითგანსაზღვრის გათვალისწინებით
- მოვლის მიმდინარეობის ანგარიშში ჩაწერეთ დაკვირვებები, შეგრძნებები, მიღებული საკვების რაოდენობა, პროგრესი/რეგრესი. ეს საშუალებას მოგცემთ მოახდინოთ შედარება დასახულ მიზნებსა და არსებულ მდგომარეობას შორის.

**საყურადღებოა!**

- ყლაპვის დარღვევების შემთხვევაში წარმოიშობა ასპირაციის საშიშროება (საკვები შეიძლება სასულეში გადასცდეს): ყურადღება მიექცეს წოლას, დროის ფაქტორსა და საკმარის ღეჭვას
- საჭმელი ჰემიპლეგიან კლიენტს დაზიანებული მხრიდან უნდა აჭამოთ
- შესთავაზეთ სითხეები ნერწყვის სიმცირის დროს
- იმუშავეთ ასეპტიკის დაცვით ხელოვნური კვებისას, თავიდან აიცილეთ დაბინძურება
- საკვების მიღების დარღვევების დროს მოახდინეთ წონის კონტროლი და ყურადღება მიაქციეთ სითხეების ბალანსს

**4.3. კონტროლი მიღებულ საკვებსა და სითხეებზე (დეჰიდრატაციის კროფილქტიკა)**

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1

დრო (საშუალო მანძი.)	20 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა:**

- დამხმ. საშ-ები და საჭიროებისას ხელსახოცები/დამც. წინსაფარი
- სითხე

**კლიენტი**

- მდგომარეობა იმ წუთისთვის გამოკითხეთ/გადაამოწმეთ
- შეუჩინეთ შესაფერისი წოლითი პოზა
- შეუჩინეთ დამც. წინსაფარი ან ხელსახოცი

**ოთახი**

- დასაჯდომი საშუალება (სკამი/ტაბურეტი)

**მომვლელი პერსონალი**

- დაიბანეთ ხელები

**ჩატარება**

- სითხის ტემპერატურა შეამოწმეთ
- კლიენტს შეატყობინეთ პროცედურის შესახებ, მისი მდგ-ბა შეამოწმეთ
- კლიენტი ისე დააწვინეთ, რომ მას შეთავაზებული სითხის დანახვა და დაღვევა შეეძლოს
- მიღებული სითხის რაოდენობა მოვლის დოკუმენტაციაში შეიტანეთ (სითხეების მიღების კონტროლი)
- სითხის დაღვევებისას მომვლელი უნდა იმყოფებოდეს კლიენტის გვერდით მისივე სიმაღლეზე

**დასუფთავება**

- თუ საჭიროა, პირის ღრუში გამოავლენინეთ
- ახლოს დაუდგით ახალი ბოთლი/სასმისი
- საჭირო ნივთები ხელმისაწვდომ მანძილზე მოათავსეთ
- პოზა და მდგ-ბა შეამოწმეთ
- ხელები დაიბანეთ

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- მოვლითი საქმიანობები ყველა შეიცავს ინდივიდუალურად დადგენილ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რომელთა ინტეგრირება მოვლის გეგმაში შეუძლია მხოლოდ მომვლელთა გუნდს
- კომპეტენტური ქმედებით ხარისხი გარანტირებული და გადამოწმებული იქნება.
- კლიენტის კმაყოფილების და კეთილდღეობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მისი ჩვეულებების (მიდრეკილებების) და თვითგანსახდერის გათვალისწინებით
- მოვლის მიმდინარეობის ანგარიშებიდან და მოვლის გეგმის რეგულარული შეფასებებიდან გამომდინარე პროგრესი და რეგრესი. ამის საშუალებით შესაძლებელი იქნება გეგმების შედარება მიზნებთან.

**საყურადღებოა!**

- ყოველდღიურად იზრუნეთ ახალ-ახალ სითხეებზე და სასმისებზე
- რეგულარულად შეამოწმეთ ბოთლები ვადიანობაზე
- პირის ღრუს საგულდაგულო ჰიგიენა დაღვევისთვისაც მნიშვნელოვანია
- გაითვალისწინეთ კლიენტის ჩვეულებები სითხეების მიღებასთან დაკავშირებით, დაიცავით შეთანხმებული დრო
- კლიენტის სურვილები და მოთხოვნები გაითვალისწინეთ, მისი სურვილების წინააღმდეგი არ წახვიდეთ
- სპეციალური ჭიქა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენეთ, თუ კლიენტი ამას სახელშიც მიჩვეული იყო
- არსებული შეუკავებლობის დროს გამოყოფის სრული კონტროლი შეუძლებელია

- ყლაპვის პრობლემების დროს ასპირაციის საშიშროებაა
- თირკმელებისა და გულის ზოგიერთი დაავადების დროს სითხის ყოველდღიური რაოდენობა შესამცირებელია. შესაძლოა გართულებები. დაელაპარაკეთ ოჯახის ექიმს.
- სითხის რექტალურად მიწოდება კლიენტებისთვის უფრო სასურველია

#### 4.4. ზონლით კვება

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვ.)	10 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მომზადება:

##### მასალა

- სითხე
- ბლენდერი
- თხევადი საკვები
- დიდი შპრიცი
- პირსახოცი, მარლის ტამპონები
- ლეიკოპლასტირი
- ერთჯერადი ხელსახოცები

##### კლიენტი

- დააწვინეთ მოხერხებულ პოზაში
- გადაამოწმეთ სასიცოცხლო მაჩვენებლები
- შეამოწმეთ ზონდი

##### ოთახი

- შესაფერისი განათება

##### მომვლელი პერსონალი

- იკეთებს წინსაფარს
- იკეთებს ერთჯერად ხელთათმანებს

#### ჩატარება

- საკვები მოამზადეთ უშუალოდ კვების წინ, დააქუცმაცეთ ბლენდერის საშუალებით და შეათბეთ
- თუ პაციენტს შეუძლია, სასურველია ზონლით კვების წინ ცოტაოდენი სითხე მაინც მიიღოს პირის ღრუდან
- მომზადებული თხევადი საკვები ამოიღეთ შპრიცით
- შპრიცი კარგად მოარგეთ ზონდს და საკვები ჩაუშვით ნელ-ნელა მცირე ულუფებით
- საკვების მერე ზონდი ჩარეცხეთ თბილი წყლით
- მოახდინეთ პირის ღრუს სპეციალური მოვლა
- შეამოწმეთ, როგორ დგას ზონდი, დაამაგრეთ ცხვირზე ლეიკოპლასტირით, ზონდის ბოლოს დააფარეთ საფენი და დაამაგრეთ ისე, რომ კლიენტს მოძრაობაში ხელი არ შეუშალოს

#### დასუფთავება

- ყველა ნივთი წესრიგში მოიყვანეთ,
- გარეცხეთ ბლენდერი, გაამშრალეთ და შეინახეთ

#### ხარისხის უზრუნველყოფა

- ერთსა და იმავე დროს კვება კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს
- გაითვალისწინეთ კლიენტის კვების რეჟიმი და საყვარელი საკვები

#### საყურადღებოა

- ზონდის ჩადგმის სიღრმე ინდივიდუალურია
- კვების წინ და შემდეგ შეამოწმეთ, სწორად დგას თუ არა ზონდი, ანუ როგორ ფუნქციონირებს
- საკვების კონსისტენცია უნდა შეესაბამებოდეს შპრიცისა და ზონდის გამტარუნარიანობას
- არ შეგყვით მსხვილი, დაუქუცმაცებელი ნაწილები
- თუ კლიენტს ყლაპვის რეფლექსი შენარჩუნებული აქვს, ეცადეთ ყოველდღიურად გააქტიუროთ რეფლექსი სპეციალური ვარჯიშებით

#### 4.5. ჰიგიენური ღონისძიებები ჭამაზე და ჭამის შემდეგ

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანძ.)	15 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მომზადება:

##### მასალა

- ხელთათმანი
- ტამპონი
- სპეციალური ხსნარი
- სალბის, გვირილის ნაყენი ან ლიმონის წვენი
- ნაგვის პარკი

##### კლიენტი

- მიაღებინეთ მოხერხებული პოზა

##### ოთახი

- წლის დროის შესაბამისად

##### მომვლელი პერსონალი

- ჩაიცვით ხელთათმანი და ხალათი

#### ჩატარება

##### კომაში მყოფ ან მძიმე მოსაველელ პაციენტთან:

- ტამპონს ასველებთ ხსნარში
- თავიდან შეეცადეთ თავისი ხელით შეიგრძნოს ლოყები, ზედა და ქვედა ტუჩი
- უთხარით ყოველი მოძრაობისას, რას აკეთებთ და სად ხართ, მაგ.: ზედა ტუჩზე
- საჩვენებელი თითით დაამუშავეთ პირის ღრუ, ლოყების შიგნითა ლორწოვანი, ღრძილები და ენა
- ზედა ყბის ზემოთა კიდიდან იწყებთ, მიუყვებით ყბას
- იგივეს აკეთებთ ქვედა ყბაზეც
- შემდეგ გადადით მეორე მხარეს
- კარგია ხელსმა ღრძილებზე, ენასაც შეეხეთ ტამპონით, კბილებსაც
- ანთების დროს გამოიყენეთ სალბისა და გვირილის ნაყენი, ჩვეულებრივ კი ლიმონის წვენი

##### მოძრავ პაციენტთან:

- დააბანინეთ ხელები ნიჟარასთან, თასში ან
- გაუსუფთავეთ სველი ჰიგიენური ხელსახოცით
- გამოავლენინეთ პირის ღრუში რაიმე სავლები ან გაახეხინეთ კბილები

#### დასუფთავება

- აალაგეთ სამუშაო ადგილი,
- გამოყენებული ტამპონები ჩაყარეთ ნაგვის პარკში

#### ხარისხის უზრუნველყოფა

- მოვლილი პირის ღრუ და კბილები კლიენტის კარგ შეგრძნებებს უზრუნველყოფს და თავიდან აგვაცილებს შესაძლო დაზიანებებს

- პროცედურების თანამიმდევრობის დაცვა - ყოველთვის ერთი და იგივე საქმიანობა გამორიცხავს კლიენტის გაღიზიანებასა და აგზნებას

#### **საყურადღებოა**

- გამოიყენეთ მხოლოდ ხელოვნური კბილის ჯაგრისები
- ინფექციის არსებობის შემთხვევაში იმუშავეთ სტერილური მასალით
- პირის ღრუს გასუფთავების ან ყელში გამოვლებისას აუცილებელია საწოლში მაღალი ან გვერდითი მდებარეობა (ასპირაციის საშიშროება)

## 5. პროფილაქტიკა

### 5.1. პირის ღრუს სოკოვანი დაავადების

შემსრულებელი	ტმ (დაზიანებული პირის ღრუს შემთხვევაში – დმ)
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანძ.)	20 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მომზადება

მომზადება პირისა და კბილების მოვლის სტანდარტის მიხედვით.

მასალა:

- კარაქი, მაწონი ან ფიზიოლოგიური ხსნარი (0,9% 100 მლ)
- შპადელი

იხ. პირისა და კბილების მოვლის სტანდარტი.

პირის ღრუს მოვლა

- პირის ღრუს ლორწოვანისა და ღრძილების ყოველდღიური დათვალიერება ჯიბის ფარნით, მოსახსნელი პროთეზის შედეგად ზეწოლის ადგილები ხომ არ განჩნდა.
- პირის ღრუში ყოველი მანიპულაციის წინ კლიენტებს განუმარტეთ პროცედურის მიმდინარეობა, გაითვალისწინეთ მათი სურვილები და წეს-ჩვეულებები
- თუ კლიენტი პირს არ გიღებთ, ამაში შეიძლება პირის ღრუს კავის გამოყენება და ტუნებზე მისი საყვარელი სასმელის რამდენიმე წვეთის წასმა დაგეხმაროთ. ბაზალური სტიმულაციის მეთოდის გამოყენებით ზედა ტუნის შუა ნაწილიდან ტუნის კუთხეებისკენ უსვით თითები, ან წაუსვით სველი თითი წრიული მოძრაობით ტუნის გარშემო.
- დაუზიანებელი პირის ღრუს ლორწოვანის შემთხვევაში კლიენტს მისი არჩეული ხსნარი გამოავლენინეთ
- თუ კლიენტი პლასტმასის ინსტრუმენტების გამოყენებაზე უარს ამბობს, პირის ღრუს გამოსაწმენდად გამოიყენეთ ბამბის დიდი ტამპონი, ან თუ კლიენტი ამაზე თანახმაა, ჩაიცვით ერთჯერადი ხელთათმანი, საჩვენებელ თითზე დაიხვიეთ მარლის სალფეტკი, ერთი ხელით დააფიქსირეთ პირის ღრუ, საჩვენებელი თითით კი ტუნის ერთი კუთხიდან წრიული მოძრაობით ღრუ მთლიანად გამოასუფთავეთ.
- ნერწყვის დენის გამოსაწვევად/გასაძლიერებლად ყურის წინ სანერწყვე ჯირკვლებზე დღეში სამჯერ გაუკეთეთ მსუბუქი მასაჟი
- ქერქების წარმოქმნის შემთხვევაში: პირის ღრუში წაუსვით კარაქი ან მაწონი ან ფიზიოლოგიური ხსნარი, 20 წუთი აცალეთ მოქმედება და შპადელითა და ბამბის ტამპონით ფრთხილად გამოწმინდეთ
- ტუნების მოვლა აწარმოეთ კლიენტთან შეთანხმებითა და მისი სურვილის/ჩვევის გათვალისწინებით (საცხი, კარაქი)
- ყველა გამოყენებული საგანი განაახლეთ ყოველდღიურად (დილის ტუალეტის დროს)

#### დასუფთავება

- რამდენადაც ეს შესაძლებელია, კლიენტები დასუფთავების პროცესში ჩართეთ
- პირის ღრუს დამჭერი და კავი გამოყენების შემდეგ გარეცხეთ, დეზინფექცია ჩაუტარეთ და გაასტერილეთ

#### ხარისხის უზრუნველყოფა

- საქმიანობის დროული და პროფესიონალური ჩატარება მოვლის გეგმის მიხედვით თავიდან აგაცილებთ ინფექციასა და სოკოს წარმოქმნას
- კონსულტაციებითა და გამააქტივირებელი ღონისძიებებით შენარჩუნებული იქნება კლიენტის დამოუკიდებლობა.
- ყველა რელევანტური კრიტერიუმებისა და კლიენტის სურვილების პატივისცემით ხარისხი გარანტირებული იქნება

#### საყურადღებო!

- გამოიყენეთ მხოლოდ ხელოვნური კბილის ჯაგრისები და ყოველ 4-6 კვირაში ცვალეთ

- სითხე შპრიცით არ ჩაასხათ
- პირის ღრუს სავლები სხვადასხვა სითხეების, რომლებიც აფთიაქებში იყიდება, ან სადეზინფექციო საშუალებების გამოყენება პროფილაქტიკის მიზნით მიზანშეწონილი არ არის (რეზისტენტულობამდე მიყვავართ).
- ჩაი 3 წუთზე მეტი არ დააყენოთ, თორემ მთრიმლავი ნივთიერებები გამოიყოფა, ყოველდღე ახალი დააყენეთ.
- მწოლიარე კლიენტის პირის ღრუს მოვლისას ან ყლაპვის რეფლექსის დაქვეითებისას არასწორმა ქმედებამ შეიძლება ასპირაცია გამოიწვიოს.
- პირის ღრუში არსებული ანთებები ექიმის დანიშნულებით მედიკამენტოზურად უნდა იქნეს ნამკურნალები.
- სანერწყვე ჯირკვლების შემუშება შეიძლება სიმსივნით იყოს გამოწვეული.

## 5.2. კონტრაქტურების

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანვ.)	30 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

### მომზადება

#### მასალა:

- წოლის დროს დამხმარე საშუალებები (გრძელი მუთაქა, ბალიშები, დახვეული პირსახოცები)
- საჭიროების დროს ანაღგეტიკები
- სიარულის და ჭამის დროს დამხმ. საშ-ები, ორთოპედიული ფეხსაცმელები,

#### კლიენტი

- დაელაპარაკეთ პროცედურაზე
- მოახდინეთ მისი მოტივირება თქვენთან ერთად ივარჯიშოს
- ზურგზე დააწვინეთ
- მოამზადეთ სახსარი სავარჯიშოდ
- სიარულისას შესთავაზეთ დახმარება

#### ოთახი

- შესაბამისი ტემპერატურა ოთახში
- თეჯირი

#### მომვლელი პერსონალი

- კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს საჭიროებებს
- შეინარჩუნეთ დათქმული დრო
- დაიბანეთ ხელები

#### პერსონალის რაოდენობა

- კლიენტის დაწვევისთვის პროცედურაში ჩართეთ მეორე მომვლელიც

### ჩატარება

- გააკონტროლეთ, არის თუ არა ხელმისაწვდომ ადგილას საჭირო დამხმარე საშუალებები
- პოზის შეცვლის წინ უნდა მოხდეს კლიენტის ინფორმირება
- დაზიანებული სახსრები პირდაპირი მოვლის დროს და პოზის ყოველი ცვლილებისას ამოძრავეთ. ამის შემდეგ ყურადღება მიაქციეთ სახსრის ფიზიოლოგიურ მდებარეობას
- სახსრები გარეთა მხარეს არ უნდა ამოძრავდეს
- კლიენტთან ყოველთვის ინტერაქციაში დარჩით
- ტვივლების გაჩენისას მაშინვე შეწყვიტეთ პროცედურა
- სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალისტთან მოლაპარაკებით მიაღწიეთ დასახულ მიზანს

- იმუშავეთ ორივე ხელით, არ დატოვოთ სახსრები ჰაერში დაკიდებული, სახსრის კაფსულის დაზიანების საშიშროების გამო
- ორიენტირებულ კლიენტებთან შესაძლებელია იზომეტრიული, დაძაბვის გამომწვევი ვარჯიშების ჩატარება (აძლიერებს კუნთის ძალას)

**დასუფთავება**

- ყველა დამხმარე საშუალება გამოყენების შემდეგ თავის ადგილზე დააბრუნეთ
- ყურადღება მიაქციეთ პაციენტისთვის მოსახერხებელ პოზას
- ხელები დაიბანეთ. თუ საჭიროა, ჩაიტარეთ ხელების დეზინფექცია

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- მხოლოდ კომპეტენტური ქმედებითაა შესაძლებელი დაზიანებების/დანაკარგების თავიდან აცილება და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება
- ადეკვატური ქმედებითა და მოთხოვნილებების შესაბამისი მოვლის საშუალებების გამოყენებით შესაძლებელია მოვლის ხარისხის უზრუნველყოფა და მოვლის გეგმისა და პროცესის მიმდინარეობის ანგარიშის გადამოწმება

**საყურადღებო!**

- უკუნაჩვენებია სწრაფი მასიური მოძრაობები, რათა არ გამოიწვიოთ სახსრების დაზიანებები
- აქტიური და პასიური ვარჯიშები ოჯახის ექიმთან და სამკ. ფიზკულტურის სპეციალისტთან შეთანხმებით უნდა დაინიშნოს
- ნევროლოგიური დაავადებების დროს არ შეიძლება ფეხისგულზე ზეწოლითი ვარჯიშები, რადგან ამ დროს სპასტიკა ძლიერდება. ნევროლოგიური დაავადების არარსებობისას პირიქითაა: ზეწოლა დადებითად მოქმედებს და აძლიერებს სისხლის ნაკადის გულისკენ დინებას.
- დაზიანებული სახსარი მთელი ვარჯიშის განმავლობაში ერთი ხელით უნდა გეჭიროთ
- რბილი ლეიბები უკუნაჩვენებია
- მხრების ქვეშ საჭიროა საყრდენი. მაგ: დახვეული პირსახოცი
- კონტრაქტურების პროფილაქტიკა, თუ ის დოკუმენტაციაში აღრიცხული და დადასტურებული არაა, შეიძლება მოვლის შეცდომად შეფასდეს

**5.3. თრომბოზოზის**

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანძ.)	30 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა:**

- თრომბოზების საწინააღმდეგო წინდები, კომპრესწინდები და ელასტიური ბინტები 10 სმ და 12 სმ (ზოგჯერ 14 სმ)
- კანის ლოსიონი
- მწებავი პლასტიკი ან კლანჭები
- დამხმარე და ტექნიკური საშუალებები
- მყარი, ღრმა ფეხსაცმელი

**კლიენტი**

- შესთავაზეთ სითხე
- სასიცოცხლო მანევრებლები გააკონტროლეთ
- მოათავებინეთ ტუალეტი
- კლიენტს მდგომარეობა გამოკითხეთ/შეამოწმეთ
- პროცედურა აუხსენით

**ოთახი**

- შესაფერისი ტემპერატურა ოთახში და ტანსაცმელი
- თევზირი

### მომვლელი პერსონალი

- ხელების ჰიგიენური დეზინფექცია

### ჩატარება

- გაუწიეთ კონსულტაცია: მიუთითეთ გართულებებზე/საშიშროებებზე/აუხსენით უსაფრთხოების წესები, თანამშრომლობაზე დაითანხმეთ, ყურადღება მიაქციეთ აცვია თუ არა შესაფერისი ფეხსაცმელი.
- მაქსიმალურად ეცადეთ ხელი არაფერმა შეუშალოს ვენური სისხლის თავისუფალ მდინარებას
- ურჩიეთ იაროს ან იწვეს (იმისდა მიხედვით, იმ წუთას რა უფრო სჭირდება)
- კომპრესსახვევები და ყველა მსგავსი საშუალება: თრომბოზების საწინააღმდეგო წინდები, კომპრესწინდები და ელასტიური ბინტები გახადეთ და გამოუცვალეთ მხოლოდ სხეულის მოვლისას, მუდმივად შეამოწმეთ კანის მდგომარეობა.
- აქტიური (დაძაბვის ვარჯიშები) და პასიური ვარჯიშები საწოლში ჩატარეთ
- კლიენტებს, საწოლიდან აყენებამდე, მიეცით დრო აქანაონ ფეხები ჰაერში საწოლის კიდეზე ჩამომსხდრებმა (სისხლის მიმოქცევის სტაბილიზირება).
- კლიენტები კიბეებზე სასიარულოდ „მიიწვიეთ“ (შეეცადეთ არ გამოიყენოთ ლიფტი)
- დაადგინეთ ტკივილის საზღვრები და შეიცანით გადატვირთვა
- დააკვირდით არ შეყვეს ნაკეცები ნებისმიერი სახის კომპრესსახვევებს და ყოველთვის იზრუნეთ მათ თავიდან აცილებაზე, ამიტომ დღეში ორჯერ შეამოწმეთ
- კლიენტებს წოლისას ფეხები 20 გრადუსით ზემოთ დააწყობინეთ
- საჭიროების დროს დაგეგმეთ წონაში დასაკლები ღონისძიებები

### დასუფთავება

- ჩააბარეთ კომპრესსახვევები და წინდები გასარეცხად
- დააბრუნეთ ტექნიკური საშუალებები თავის ადგილას
- გადაამოწმეთ, მოხერხებულად წვეს თუ არა კლიენტი
- ჩაიტარეთ ხელების ჰიგიენური დეზინფექცია

### ხარისხის უზრუნველყოფა

- საქმიანობების კომბინაცია მხოლოდ ინდივიდუალურად შეარჩიეთ, პროფილაქტიკურ ფიზიკური ღონისძიებები ინტერდისციპლინარულ გუნდთან შეთანხმეთ, ასევე ანტიკოაგულანტების მიცემაც. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება შედეგი თქვენს მუშაობას და თავიდან აიცილებთ თრომბოზებს. მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებით, მოვლის სპეციალური გეგმის შემუშავებით და შესრულებული საქმიანობის დოკუმენტაციაში აღწერით/ანგარიშით ხარისხი უზრუნველყოფილი იქნება.

### საყურადღებოა!

- მხოლოდ ზუსტად შერჩეული და კარგად მორგებული კომპრესსახვევებითა და წინდებითაა შესაძლებელი საჭირო შედეგების მიღწევა. საფუძვლიანად შეამოწმეთ დღეში ორჯერ როგორაა მორგებული სახვევი/წინდა. ფეხის მთლიანი სახვევის შემთხვევაში აუცილებლად დაიწყეთ ტერფიდან და ქუსლიც მასთან ერთად შეახვიეთ. ნაკეცები თავიდან აიცილეთ.
- მასალის ელასტიურობა რეცხვის შემდეგ შეამოწმეთ (ჩვეულებრივ, კარგმა მასალამ 15-ჯერ მაღალ ტემპერატურაზე გარეცხვას უნდა გაუძლოს)
- ფეხის თითების ციანოზი მიუთითებს სახვევის ზედმეტად მოჭერაზე, მოხსნის შემდეგ მან შეიძლება თრომბოზის საშიშროების გაძლიერება და ვენების გაჭედვა გამოიწვიოს
- ფეხების მაღლა მდებარეობისას (თუ ეს 20 გრადუსზე მეტია) გაითვალისწინეთ გაძლიერებული ზეწოლა საჯდომზე/მენჯზე, განსაკუთრებით მაშინ, თუ კლიენტს ბარძაყის სახსრის დისპლაზია ან არტერიების შევიწროება აქვს, ამან შეიძლება ძლიერი ტკივილები გამოიწვიოს.
- ფეხების ძლიერი დაზედვა ახლად დაწყებული თრომბოზის შემთხვევაში არ ჩატაროთ! ასეთი პროცედურები ოჯახის ექიმთან ერთად დაგეგმეთ.
- თბილი წყლის აბაზანა ანელებს სისხლის მოძრაობას ვენებში და აღრმავებს არსებულ მდგომარეობას

- ელასტიური წინდები (არ შეაფასოთ როგორც მკურნალი საშუალება) მხოლოდ მაშინაა ნებადართული, როცა ღრმა ვენების რაიმე სხვა სერიოზული დაზიანება არაა დადასტურებული. კომპრესწინდები გამოიყენება როგორც ოპტიმალური თერაპია. ისინი საკმაოდ ძლიერად აწვებიან ვენებს, ამიტომ აუცილებელია მათი გახდა ღამით.
- ფეხები მუხლამდე, მუხლებს ზემოთ ან ბარძაყებამდე უნდა იყოს შეხვეული, თუ სხვა ელასტიური საშუალებაა საჭირო კლიენტისთვის, ეს უნდა განსაზღვროს ოჯახის ექიმმა ვენების არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.
- ყველა მწოლიარე კლიენტთან ნაჩვენებია ანტიკოაგულაცია და კომპრესსახვევები (ოღონდ საშიშროების/გართულების გამორიცხვის შემდეგ)
- ლაბორატორიული დიაგნოსტიკა ადვილად ადგენს თრომბოზებისკენ მიდრეკილებას.

#### 5.4. ნაწილები

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანძ.)	30 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მომზადება

##### მასალა:

- სხეულის მოსავლელი საშუალებები
- საჭიროების დროს პამპერსი
- დაწვენი და ტექნიკური დამხმ. საშ-ები

##### კლიენტი

- მიაწოდეთ ინფორმაცია დაგეგმილი პროცედურის შესახებ
- მისი საჭირო დამხმ. საშ-ებით უზრუნველყოფა

##### ოთახი

- თავიდან აიცილეთ ორპირი, დაკეტეთ ფანჯრები, შეინარჩუნეთ ოთახის სასურველი ტემპერატურა
- თეჯირი (თუ საჭიროა)

##### მომვლელი პერსონალი

- დაიბანეთ ხელები,
- აიფარეთ წინსაფარი

#### ჩატარება

- მობილიზაცია - შეინარჩუნეთ, შესაძლებელი გახადეთ ან გააუმჯობესეთ.
- ნაწოლის საშიშროება ნორტონის სკალის მიხედვით დაადგინეთ
- ყოველი მოვლითი ინტერვენცია ტკივილის გარეშე ჩატარეთ
- დაწვენი ინდივიდუალური გეგმა შეიმუშავეთ (ყოველ 2 საათში პოზის შეცვლა)
- დამხმ. საშ-ები ინდივიდუალურად შეურჩიეთ
- ზეწოლისგან გათავისუფლებას პოზისთვის შესაფერისი, დაწოლაში დამხმარე და სხვა ტექნიკური საშუალებებით მიაღწიეთ
- პოზის ყოველი ცვლილებისას ყურადღება მიაქციეთ სხეულის ფიზიოლოგიურ მდებარეობას
- ბობათის მეთოდის, კინესთეტიკის და ბაზალური სტიმულაციის ცოდნა დიდად დაგეხმარებათ
- კანის ყოველი ფენის ინსპექცია საშუალებას მოგცემთ ადრეულ ეტაპზე აღმოაჩინოთ კანის ცვლილებები
- როცა კლიენტს დაუდგინდება კანის ცვლილებები, ან უკვე არსებული მდგომარეობა გაუუარესდება, დაზიანებული ადგილების ფოტოგრაფირება და დოკუმენტაციაში შეტანა მაშინვე უნდა მოახდინოთ და კანის ექიმს აცნობოთ. გამოიყენეთ ნორტონის სკალა

#### დასუფთავება

- ყოველი საშუალება, რაც გამოყენებული იქნება, ფუნქციონირებასა და სისუფთავეზე უნდა შემოწმდეს, განაახლოთ ან უზრუნველყოთ მისი შეკეთება

- დამხმ. საშ-ები გამოყენების შემდეგ თავის ადგილზე დააბრუნეთ
- ხელები დაიბანეთ, ჩაიტარეთ ჰიგიენური დეზინფექცია
- ცელოფნის წინსაფარი ხმარების შემდეგ გადააგდეთ

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- წერილობით დადგენილი, ჩატარებული და დოკუმენტირებული ღონისძიებები ყველასთვის გამჭვირვალე უნდა იყოს და უნდა ექვემდებარებოდეს შესწორებებს. დაგეგმილი მოვლა ამის საშუალებით შეფასდება.
- საჭირო ხარისხი და წარმატება გაზომვადია, შესაძლო დაზიანებები თავიდან აცილებადი
- მოვლითი ინტერვენციების შეცნობა და დაგეგმვა, ჩატარება და დოკუმენტაციის წარმოება განსაზღვრავს ხარისხს
- მნიშვნელოვანი ნაბიჯია: პერსონალის შემდგომი რეგულარული განათლება. სიახლეებისა და საჭირო ლიტერატურის გაცნობა, რათა კლიენტების ჯანმრთელობის კარგი მდგ-ბა შეინარჩუნოთ.

**საყურადღებოა!**

- ყოველი ჩარევა ნაწოლის პროფილაქტიკისთვის უნდა იქნეს ზუსტად დოკუმენტირებული (იურიდიული ასპექტი).
- არ სცადოთ 90 გრადუსიანი დაწვენა (ზეწოლები სხვადასხვა ადგილებში)
- რბილი ღოგინი იწვევს იმობილიზაციას, ამცირებს სხეულის აღქმას და აფერხებს მოძრაობის უნარს
- რეზინის რგოლის გამოყენება სხეულის გარკვეული ნაწილებისთვის იწვევს ამ ნაწილებზე ზეწოლას, ამიტომ არასასურველია
- დაწვენის გეგმის შემუშავებისას გაითვალისწინეთ კვების დროები და პოზა ძილის დროს (პიროვნული ჩვევები)
- შეუკავებლობის მქონე კლიენტებთან გამოიყენეთ მუშაბაგადაკრული ლეები და ბალიში და ზევიდან გადააკარით თეთრეული
- იოდის შემცველი პრეპარატები მხოლოდ იმ შემთხვევებში გამოიყენეთ, როცა კლიენტს აღერგია არა აქვს

**5.5. პნევმონიის**

შემსრულებელი	ტმ; დმ ნებისმ. სამედ. პროცედურის ჩატარებისას, სუნთქვის მასტიმულირებელი შეხელებების, ბაზალური სტიმულაციის, ჟანგბადის მიწოდების, ამოქაჩვის და დასხივებისას
ექტნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანჯ.)	30 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

- მასალის, კლიენტის და ოთახის მომზადება დამოკიდებულია ინტერვენციის ფორმაზე.

**მომვლელი პერსონალი**

- დაიცავით ჰიგიენური წესები (დაუშვებელია სამკაული, საათი, გრძელი ფრჩხილები და ლაქი)
- ხელები თბილი წყლით დაიბანეთ
- ჯდომისას შეარჩიეთ შესაფერისი პოზიცია, რომელიც ზურგს არ დაძაბავს

**პერსონალის რაოდენობა**

- როგორც წესი, ერთი პერსონა, სხვადასხვა დაწვენისას ჩაერთვება მეორე მომვლელი

**ჩატარება**

- შეაფასეთ სუნთქვითი ფუნქცია (შკალის მიხედვით)
- ჩატარეთ სუნთქვის მასტიმულირებელი პასიური და აქტიური ღონისძიებები (დაწვენა, ბაზალური სტიმულაცია), საჭიროა კლიენტის მოტივირება დამოუკიდებლად შეასრულოს ვარჯიშები.

**დასუფთავება**

- ჩატარებული პროცედურის მიხედვით

### **ხარისხის უზრუნველყოფა**

- სწორად ჩატარებული პროცედურა განსაზღვრავს მის ხარისხს
- სათანადო კვალიფიკაციასა და სპეციალურ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს შეუძლიათ პნევმონიის თავიდან არიდება და ხარისხის უზრუნველყოფა
- ანგარიშში მითითებულ უნდა იქნეს დაკვირვებების შედეგი და კლიენტის მდგომარეობა. პროგრესი/რეგრესი შეიძლება მოვლის გეგმას შეადაროთ და ამის მიხედვით შეაფასოთ (უნდა იყოს – არის – შედარება)
- კვალიფიკაციის რეგულარული ამოღებით მომვლელთა პროფესიული კომპეტენცია უნდა გაიზარდოს.

### **საყურადღებო!**

- ზურგზე ვიბრაციული მასაჟის გაუფრთხილებლად ჩატარებამ შეიძლება კლიენტი შეაშინოს და მან რეფლექტორულად სუნთქვა შეაკავოს. ასეთი ქმედება ღრმა სუნთქვას ხელს შეუშლის
- სუნთქვის დამორგუნველი ანალგეტიკური საშუალებები პნევმონიის საშიშროების დროს არ გამოიყენოთ
- 30 გრადუსიანი კუთხით დაწვენა პრაქტიკული, ჰიგიენური და ეკონომიურია
- დასხივება, ჟანგბადის მიწოდება ან ამოქაჩვა ექიმის მიერ ინიშნება. საჭმელი მარილის (NaCl) ინჰალაცია უკეთ ათხიერებს ღორწოს, ვიდრე გამოსდილი წყლის. ყურადღება უნდა მიექცეს ყოველი გამოყენების შემდეგ აპარატების გასუფთავება/დეზინფექციას და აპარატის გარკვეული ნაწილების სტერილიზაციას.

## 6. პროცედურები

### 6.1. ჭრილობის მოვლა

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანძ.)	30 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მომზადება:

##### მასალა

- დაფა მასალის დასაღებებლად
- სტერილური მასალა
- სტერილური და არასტერილური ინსტრუმენტები
- საფენები
- ბინტები
- ტამპონები
- ბამბა
- მარლის ბურთულები
- სადეზინფექციო ხსნარები
- ლეიკოპლასტირი
- სამკ. საშ-ებები
- შპადელი მალამოს წასასმელად
- ერთჯ. ხელთათმანები – სტერილური და არასტერილური
- პირბადე
- ნაგვის პარკი

##### კლიენტი

- წინასწარ უთხარით პროცედურის თაობაზე
- მოამზადეთ პროცედურისთვის
- საჭიროებისას თეჯირი

##### ოთახი

- ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად
- თავიდან აიცილეთ ორპირი
- იზრუნეთ კარგ განათებაზე

##### მომვლელი პერსონალი

- ჩაიცვით ხალათი
- ჩაიტარეთ ხელების დეზინფექცია
- იმუშავეთ ხელთათმანებით

#### ჩატარება

- ჩაიცვით არასტერილური ხელთათმანები, ჭრილობა გარედან დაასველეთ სადეზინფექციო ხსნარით და მოაცილეთ სახვევი
- ჩაიტარეთ ხელების დეზინფექცია თავიდან, ჩაიცვით სტერილური ხელთათმანები
- კარგად დაათვალიერეთ ჭრილობა
- ჯერ ჭრილობის გარშემო დაამუშავეთ რამდენჯერმე მოცემული სადეზინფექციო ხსნარით, იმუშავეთ პინცეტით და საჭირო ინსტრუმენტებით
- ყოველ ჯერზე ახალი მასალა გამოიყენეთ
- შემდეგ უშუალოდ ჭრილობა დაამუშავეთ, ჩამობანეთ რამდენჯერმე
- ყოველ ჯერზე კვლავ ახალი მასალა გამოიყენეთ
- წაუსვით მალამო (შეასრულეთ ექიმის დანიშნულება)

- შეახვიეთ სტერილური მასალით
- ჩაიტარეთ ხელების დეზინფექცია
- პროცედურის თაობაზე გააკეთეთ ჩანაწერი დოკუმენტაციაში

**დასუფთავება**

- სამუშაო ადგილი აალაგეთ და დეზინფექცია ჩაუტარეთ
- გამოყენებული მასალა გადაყარეთ
- ინსტრუმენტებს დეზინფექცია ჩაუტარეთ და გაასტერილეთ

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- წესების დაცვითა და საჭირო ღონისძიებების ჩატარებით თავიდან იქნება აცილებული ინფექციები და მიღწეული იქნება კლიენტების უსაფრთხოება
- დაინფიცირების რისკი მინიმუმამდე შემცირდება, თუ შესაბამისი წესები, ჰიგიენა და დეზინფექცია დაცული იქნება

**საყურადღებოა**

- ყველა სადეზინფექციო და დასასუფთავებელი საშუალებებისთვის უნდა არსებობდეს წერილობითი მითითებები/განაწესი და დაურიგდეს გამოყენებებს/დეზინფექციის ჩამტარებლებს. აქედან დასკვნა: თვალსაჩინო უნდა იყოს პროდუქციის სახელი, გამოყენების სფერო, პირველადი დახმარების ღონისძიებები, პროდუქციის შენახვა და მათთან მოპყრობა, აგრეთვე დამცავი და ჰიგიენური ღონისძიებები. ეს განაწესი ყველასთვის გამოსაჩენ ადგილას უნდა ეკიდოს.
- ამ ყველაფერთან ერთად გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონები გადამდები დაავადებებით დაავადებულ ადამიანებთან მიმართებაში, აგრეთვე კანონები (თუ ასეთი არსებობს) ინფექციების პრევენციასა და ჰიგიენასთან მიმართებაში
- სახვევის გამოცვლისას ჯერ მოემსახურეთ კლიენტებს ასეპტიური ჭრილობებით, შემდეგ სეპტიური ჭრილობებით
- საჭიროების შემთხვევაში სახვევი ყოველ 2 სთ-ში ერთხელ უნდა გამოცვალოთ და ყოველი პროცედურა დოკუმენტაციაში აღწეროთ
- ყურადღება მიაქციეთ შესაძლო ალერგიულ რეაქციას ლატექსის სამედიცინო დამცავ ხელთათმანებზე, ჭრილობის დასამუშავებელ ხსნარებზე და მედიკამენტებზე
- ალკოჰოლური სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებისას საგულდაგულოდ უნდა იყოს დაცული წესები ხანძრისა და აფეთქების საშიშროების თავიდან ასაცილებლად
- სადეზინფექციო საშ-ები არ შეუიროთ დასასუფთავებელ სუბსტანციებს (მაგ.: საპონის ნარჩენებს), რადგან ამითი შესაძლოა მათი მოქმედება განეიტრალებს

**6.2. ინექცია**

**6.2.1. კანკვეუ**

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანჯ.)	5 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება:**

**მასალა**

- დაფა
- შპრიცი სპეციალური ნემსით
- შპრიცების ჩასაყრელი ვედრო
- ხელების სადეზინფექციო ხსნარი
- კანის სადეზინფექციო ხსნარი
- ერთჯ. ხელთათმანები
- ბამბა
- მედიკამენტი

- ამჟღის ხერხი
- დოკუმენტაცია
- ნავის პარკი

**კლიენტი**

- წინასწარ შეატყობინეთ პროცედურის თაობაზე
- დააწვინეთ შესაფერის პოზაში

**ოთახი**

- ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად
- თავიდან აიცილეთ ორპირი

**მომვლელი პერსონალი**

- ჩაიცვით ხალათი
- ჩაიტარეთ ხელების დეზინფექცია
- გაიკეთეთ ხელთათმანები

**პერსონალის რაოდენობა**

- ერთი

**ჩატარება**

- წინასწარ ჩაიხედეთ დოკუმენტაციაში
- შეამოწმეთ, ამჟღა ისაა თუ არა, რაც გჭირდებათ და მისი ვარგისიანობა
- შპრიცი შეამოწმეთ ვარგისიანობაზე და მერე გახსენით. წამოაცვით ნემსი
- ამჟღის შიგთავსი ქვემოთა, ფართო ნაწილში მოაქციეთ წკიპურტის დარტყმით
- ამჟღას წაატეხეთ თავი ან გამოიყენეთ ხერხი
- ამჟღიდან საჭირო რაოდენობის მედიკამენტი ამოიღეთ
- გამზადებული შპრიცი დაფაზე დადეთ და პაციენტს საინექციო არე გაუთავისუფლეთ
- საინექციო არე სადეზინფექციო ხსნარით გაწმინდეთ, აიღეთ შპრიცი, მოაცალეთ თავსახური, კანის ნაწილი ზემოთ ასწიეთ და ნემსი 45 გრადუსიანი კუთხით უჩხვლიტეთ. მედიკამენტი შეიყვანეთ. ბამბა ნახვლეტზე დააჭირეთ, ნემსი ფრთხილად ამოაძრეთ და ნახვლეტი ადგილი კიდევ ერთხელ დაამუშავეთ

**დასუფთავება**

- შპრიცი მისთვის განკუთვნილ სპეციალურ ვედროში ჩააგდეთ
- გამოყენებული მასალა გადაყარეთ
- სამუშაო ადგილი ააღაგეთ,
- ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინეთ
- პროცედურის ჩატარება დოკუმენტაციაში მიუთითეთ

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- პროცედურის წესების სრული დაცვით ჩატარება თავიდან აგაცილებთ გართულებებს

**საყურადღებოა**

- არ უჩხვლიტოთ:
- შემუშავებულ, ანთებად ადგილებში
- ნაწიბურებში, კვამატომებში
- პარეზიან კიდურებში
- თუ კლიენტი შოკშია

**6.2.2. კუნთში**

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვ.)	10 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

## **მომზადება:**

### **მასალა**

- დაფა
- შპრიცი ორი ნემსით
- შპრიცების ჩასაყრელი ვედრო
- ხელების სადუზინფექციო ხსნარი
- კანის სადუზინფექციო ხსნარი
- ერთჯ. ხელთათმანები
- ბამბა
- მედიკამენტი
- ამპულის ხერხი
- დოკუმენტაცია
- ნაგვის პარკი

### **კლიენტი**

- წინასწარ შეატყობინეთ პროცედურის თაობაზე
- დააწვინეთ შესაფერის პოზაში

### **ოთახი**

- ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად
- თავიდან აიცილეთ ორპირი

### **მომვლელი პერსონალი**

- ჩაიცვით ხალათი
- ჩაიტარეთ ხელების დუზინფექცია
- გაიკეთეთ ხელთათმანები

### **პერსონალის რაოდენობა**

- ერთი

## **ჩატარება**

- წინასწარ ჩაიხედეთ დოკუმენტაციაში
- შემოწმეთ, ამჟამად ისაა თუ არა, რაც გჭირდებათ და მისი ვარგისიანობა
- შპრიცი შემოწმეთ ვარგისიანობაზე და მერე გახსენით. წამოაცვით ნემსი
- ამპულის შიგთავსი ქვემოთა, ფართო ნაწილში მოაქციეთ წკიპურტის დარტყმით
- ამპულას წაატეხეთ თავი ან გამოიყენეთ ხერხი
- ამპულიდან საჭირო რაოდენობის მედიკამენტი ამოიღეთ და შპრიცს ნემსი გამოუცვალეთ
- გამზადებული შპრიცი დაფაზე დადეთ და პაციენტს საინექციო არე (დუნდულოს ზედა, გარეთა კვადრანტი) გაუთავისუფლეთ
- საინექციო არე სადუზინფექციო ხსნარით გაწმინდეთ, აიღეთ შპრიცი, მოაცალეთ თავსახური, კანის ნაწილი გაჭიმეთ და ნემსი 90 გრადუსიანი კუთხით უჩხვლიტეთ. მედიკამენტი შეიყვანეთ. ბამბა ნაჩხვლეტზე მაგრად დააჭირეთ, ნემსი სწრაფად ამოაძრეთ და ნაჩხვლეტი ადგილი კიდევ ერთხელ დახილეთ და დაამუშავეთ

## **დასუფთავება**

- შპრიცი მისთვის განკუთვნილ სპეციალურ ვედროში ჩააგდეთ
- გამოყენებული მასალა გადაყარეთ
- სამუშაო ადგილი ააღაგეთ,
- ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინეთ
- პროცედურის ჩატარება დოკუმენტაციაში მიუთითეთ

## **ხარისხის უზრუნველყოფა**

- პროცედურის წესების სრული დაცვით ჩატარება თავიდან აგაცილებთ გართულებებს

## **საყურადღებოა**

- როგორ წვეს კლიენტი

- გააკონტროლეთ კლიენტის თვითშეგრძნება ინექციის შემდეგ! (გვერდითი მოვლენები)

**არ უნხვლიტოთ:**

- შეშუპებულ, ანთებად ადგილებში
- ნაწიბურებში, ჰემატომებში
- პარეზიან კიდურებში
- თუ კლიენტი შოკშია
- თუ კლიენტი ანტიკოაგულაციურ თერაპიას იტარებს
- თუ კლიენტს სისხლდენისკენ აქვს მიდრეკილება

**6.2.3. მენაში**

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანვ.)	15 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება:**

**მასალა**

- დაფა
- შპრიცი ორი ნემსით
- შპრიცების ჩასაყრელი ვედრო
- ლეიკოპლასტირი
- ხელების სადეზინფექციო ხსნარი
- კანის სადეზინფექციო ხსნარი
- ერთჯ. ხელთათმანები
- სტერილური ბურთულები
- მედიკამენტი
- ამპულის ხერხი
- რეზინი
- დოკუმენტაცია
- ნაგვის პარკი

**კლიენტი**

- წინასწარ შეატყობინეთ პროცედურის თაობაზე
- დააწვინეთ შესაფერის პოზაში

**ოთახი**

- ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად
- თავიდან აიცილეთ ორპირი

**მომვლელი პერსონალი**

- ჩაიცვით ხალათი
- ჩაიტარეთ ხელების დეზინფექცია
- გაიკეთეთ ხელთათმანები

**პერსონალის რაოდენობა**

- ერთი

**ჩატარება**

- წინასწარ ჩაიხედეთ დოკუმენტაციაში
- შეამოწმეთ, ამპულა ისაა თუ არა, რაც გჭირდებათ და მისი ვარგისიანობა
- შპრიცი შეამოწმეთ ვარგისიანობაზე და მერე გახსენით. წამოაცვით ნემსი
- ამპულის შიგთავსი ქვემოთა, ფართო ნაწილში მოაქციეთ წკიპურტის დარტყმით

- ამჟღავნებს წაატეხეთ თავი ხელით ან ხერხით
- ამჟღავნებს საჭირო რაოდენობის მედიკამენტი ამოიღეთ და შპრიცს ნემსი გამოუცვალეთ
- გამზადებული შპრიცი დაფაზე დადეთ და პაციენტს საინექციო არე გაუთავისუფლეთ
- მოუჭირეთ რეზინი მკლავზე ისე, რომ ვენა კანის ზედაპირზე ამოიბურცოს. საინექციო არე სადუზინფექციო ხსნარით გაწმინდეთ, აიღეთ შპრიცი, მოაცალეთ თავსახური, კანის ნაწილი გაჭიმეთ და ნემსი ჯერ კანში უჩხვლიტეთ. როცა დარწმუნდებით, რომ ნემსმა კანი გაჩხვლიტა, მეორე მკვეთრი მოძრაობით უჩხვლიტეთ ვენაში. დგუშის უკან გამოქანვით შეამოწმეთ, ვენაში მოხვდით თუ არა - სისხლის ნაკადის შპრიცში შემოსვლით. შემდეგ რეზინი მოუშვით და მედიკამენტი ნელა შეიყვანეთ. ამ პროცესის დროს ნემსი უძრავად უნდა გააჩეროთ, ვენის კედელი მეორე მხარეს რომ არ გაჩხვლიტოთ და კანქვეშ სისხლის ჩაქცევა რომ არ გამოიწვიოს. დამთავრების შემდეგ სტ. ბურთულა ნახვლეტზე მაგრად დააჭირეთ, ნემსი სწრაფად გამოადრეთ და ხელი იდაყვში მოახრევეინეთ. მოგვიანებით (5 წთ-ში) ბურთულა გამოცვალეთ და ნახვლეტზე ლეიკოპლასტიკური დააკარით.

**დასუფთავება**

- შპრიცი მისთვის განკუთვნილ სპეციალურ ვედროში ჩააგდეთ
- გამოყენებული მასალა გადაყარეთ
- სამუშაო ადგილი ააღაგეთ,
- ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინეთ
- პროცედურის ჩატარება დოკუმენტაციაში მიუთითეთ

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- პროცედურის წესების სრული დაცვით ჩატარება თავიდან აგაცილებთ გართულებებს

**საყურადღებოა**

- როგორ წევს კლიენტი
- გააკონტროლეთ კლიენტის თვითშეგრძნება ინექციის შემდეგ! (გვერდითი მოვლენები)
- წინასწარ შეამოწმეთ აღერგიულია თუ არა კლიენტი ამა თუ იმ მედიკამენტზე

**არ უჩხვლიტოთ:**

- შეშუპებულ, ანთებად ადგილებში
- ნაწიბურებში, ჰემატომებში
- პარეზიან კიდურებში
- თუ კლიენტი შოკშია
- თუ კლიენტი ანტიკოაგულაციურ თერაპიას იტარებს
- თუ კლიენტს სისხლდენისკენ აქვს მიდრეკილება

**6.24. ინტრავენური ბაღასხმა**

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანჯ.)	2 სთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება:**

**მასალა**

- დაფა
- სპეციალური ნემსი/ვენის კათეტერი/პეპელა
- ნემსების ჩასაყრელი ვედრო
- ლეიკოპლასტიკური
- ხელების სადუზინფექციო ხსნარი
- კანის სადუზინფექციო ხსნარი
- ერთჯ. ხელთათმანები
- სტერილური ბურთულები
- საწოლის დამცავი საფენი

- გადასასხმელი ხსნარი
- სისტემა გადასხმისთვის
- ვენის კათეტერი
- მედიკამენტი
- ამპულის ხერხი
- რეზინი
- პატარა ბალიში მკლავისთვის
- შტატივი
- დოკუმენტაცია
- ნავის პარკი

### კლიენტი

- შეატყობინეთ პროცედურის თაობაზე, მიზანზე და ხანგრძლივობაზე
- მიიღეთ მისგან თანხმობა
- გადასხმამდე ტუალეტი მოათავებინეთ
- მოხერხებულად დააწვინეთ, მკლავი ბალიშზე დაადებინეთ
- მკლავი გაუთავისუფლეთ და ვენებზე სათბურა დაადეთ

### ოთახი

- ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად
- თავიდან აიცილეთ ორპირი
- იზრუნეთ კარგ განათებაზე

### მომვლელი პერსონალი

- - იცვამს ხალათს და ერთჯ. ხელთათმანებს, იკეთებს პირბადეს

### ჩატარება

- წინასწარ ჩაიხედეთ დოკუმენტაციაში
- შეამოწმეთ, მედიკამენტები და გადასასხმელები ისაა თუ არა, რაც გჭირდებათ და მისი ვარგისიანობა
- სისტემა შეამოწმეთ ვარგისიანობაზე და მერე გახსენით. ააწვეეთ, წამოაცვით ნემსი
- გადასასხმელ ბოთლის თავსახური მოაცალეთ, რეზინი სადუზინფექციო ხსნარით დაამუშავეთ და სისტემის მსხვილი ნემსი შეარჭეთ
- სისტემა აავსეთ ისე, რომ ჰაერის ბუშტუკები არ შეგყვით და შტატივზე ჩამოკიდეთ
- პაციენტს საინექციო არე გაუთავისუფლეთ, სათბურა ააცალეთ. მოუჭირეთ რეზინი მკლავზე ისე, რომ ვენა კანის ზედაპირზე ამოიბურცოს. საინექციო არე სადუზინფექციო ხსნარით გაწმინდეთ, აიღეთ ვენის კათეტერი, მოაცალეთ თავსახური, კანის ნაწილი გაჭიმეთ და ნემსი ჯერ კანში უჩხვლიტეთ. როცა დარწმუნდებით, რომ ნემსმა კანი განხვლიტა, მერე მკვეთრი მოძრაობით უჩხვლიტეთ ვენაში. თუ სისხლი კათეტერში შემოვიდა, ესე იგი ვენაში მოხვდით. ნელა შეწიეთ კათეტერი ვენაში ღრმად, ნემსი გამოადრეთ, მკლავზე რეზინი მოუშვით და სისტემა მიუერთეთ. წვეთები ჯერ ნელ დინებაზე დაარეგულირეთ. თუ ყველაფერი წესრიგშია, კათეტერი ლეიკოპლასტიკით დაამაგრეთ.
- პირველი 10 წუთი კლიენტს დააკვირდით, როგორ არის, იტანს თუ არა გადასხმას
- პერიოდულად შეამოწმეთ სისტემის ფუნქციონირება, კათეტერის მდებარეობა, წვეთების სიჩქარე და კლიენტს ჰკითხეთ, მკლავი ხომ არ დაეღალა. საჭიროების დროს პოზა შეუცვალეთ.
- გადასხმის დამთავრების შემდეგ სისტემა ჩაკეტეთ, გამოადრეთ, კათეტერს რეზინის თავსახური მჭიდროდ დაახურეთ და ჰეპარინით ჩარეცხეთ

### დასუფთავება

- ნახმარი სისტემა მისთვის განკუთვნილ სპეციალურ ვედროში ჩააგდეთ
- გამოყენებული მასალა გადაყარეთ
- სამუშაო ადგილი ააღაგეთ
- ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინეთ
- პროცედურის ჩატარება დოკუმენტაციაში მიუთითეთ

## ხარისხის უზრუნველყოფა

- როცა კლიენტს გარკვეული მედიკამენტები აქვს მისაღები, ან სითხის დეფიციტი შესავსები, ინტრავენური გადასხმა ერთ-ერთი საშუალებაა
- ცილოვანი ნაკლოვანება, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, სისხლის შემადგენელი ნაწილების დეფიციტი გადასხმის შემდეგ მნიშვნელოვნად მცირდება

## საყურადღებოა

- ნახევრეტ ადგილას სიწითლის, ჩაქცევის, ტკივილის ან შეშუპების გაჩენის შემთხვევაში შეაჩერეთ გადასხმა და მაშინვე შეატყობინეთ ექიმს
- ზოგიერთი მედიკამენტისა თუ ხსნარის გადასხმა ძალიან ნელა უნდა მოხდეს, ყოველთვის შეამოწმეთ რას ასხამთ და რა გიწერიათ დოკუმენტაციაში
- კლიენტი არ უნდა დაიძაბოს, ხშირად უცვალებო პოზა, თუ ეს საჭიროა

## 6.2.5. მენის კათეტირის მოვლა

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანჯ.)	10 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

## მომზადება:

### მასალა

- დაფა
- ხელების სადეზინფექციო ხსნარი
- კანის სადეზინფექციო ხსნარი
- სტერ. ბურთულები
- ლეიკოპლასტირი
- ერთჯ. ხელთათმანები
- შპრიცი ნემსით
- ჰეპარინი
- ფიზიოლოგიური ხსნარი
- დოკუმენტაცია
- ნაგვის პარკი

### კლიენტი

- მიაწოდეთ ინფორმაცია მოსალოდნელი დონისძიების თაობაზე და მიიღეთ თანხმობა
- მწოლიარე ან მჯდომარე მდგომარეობაში

### ოთახი

- ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად
- თავიდან აიცილეთ ორპირი
- უზრუნველყავით კარგი განათება
- მოიწყვეთ სამუშაო ადგილი

### მომვლელი პერსონალი

- ჩაიცვით ხალათი
- გაიკეთეთ პირბადე და ჩაიცვით ერთჯ. ხელთათმანები

## ჩატარება

### ჩარეცხვა:

- თუ გადასხმა დაამთავრეთ, სისტემა გადააკეტეთ და კათეტერს რეზინის საცობი სწრაფად გაუკეთეთ (ჰაერის ბუშტუკები არ შეყვებს)
- შპრიცში ამოიღეთ ჰეპარინის ფიზიოლოგიურით გაზავებული ხსნარი (ექიმის დანიშნულებით), ნემსი რეზინში უჩხვლიტეთ და კათეტერი ჩარეცხეთ

- ეს პროცედურა დღეში რამდენჯერმე გაიმეორეთ

**ლეიკოპლასტირის გამოცვლა**

- წინასწარ დაჭრილი ლეიკოპლასტირი სამუშაო ადგილთან ახლოს იქონიეთ
- ძველი ლეიკოპლასტირი ფიზიოლოგიურის ხსნარით დაასველეთ და ფრთხილად მოაცილეთ კანს
- კანი სადეზინფექციო ხსნარში გაუღებთილი სტ. ბურთულებით რამდენჯერმე დაამუშავეთ, განსაკუთრებით ნაჩხვლეტ ადგილას
- კარგად გაამშრალეთ და ლეიკოპლასტირით დაამაგრეთ

**დასუფთავება**

- შპრიცი მისთვის განკუთვნილ სპეციალურ ვედროში ჩააგდეთ
- გამოყენებული მასალა გადაყარეთ
- სამუშაო ადგილი ააღაგეთ,
- ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინეთ
- პროცედურის ჩატარება დოკუმენტაციაში მიუთითეთ

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- კათეტერი საშუალებას იძლევა თავიდან ააცილოთ პაციენტს რამდენიმე უსიამოვნო ჩხვლეტა
- არ აზიანებს ვენის კედელს
- არ ზღუდავს პაციენტის მოძრაობასა და გადაადგილებას

**საყურადღებოა**

- წინასწარ შეამოწმეთ, აღერგიულია თუ არა კლიენტი სადეზინფექციო ხსნარზე
- კათეტერი ისე უნდა იყოს დამაგრებული, რომ კლიენტს ხელის მოძრაობაში არ უშლიდეს და არც კანს აწვებოდეს
- ზედმეტი არ მოვივიდეთ ჰეპარინის რაოდენობა განზავებისას!
- დოკუმენტაცია ყოველი პროცედურის წინ შეამოწმეთ!
- ლეიკოპლასტირის გამოცვლისას კათეტერი ვენიდან არ ამოაგვივარდეთ ან არ გადაგიტყდეთ
- ნაჩხვლეტთან კანის სიწითლის არსებობის, მკლავის ტკივილის ან კათეტერის უფუნქციობის შემთხვევაში მაშინვე აცნობეთ ექიმს

**6.3. შაქრის გაზოგვა სისხლში**

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანვ.)	5 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მიზანი:**

- ნახშირწყლების ნივთიერებათა ცვლაში მონაწილეობის დარღვევების დადგენა
- სისხლში შაქრის დონის დადგენა
- ზუსტი განსაზღვრა, ჰიპო- თუ ჰიპერგლიკემიასთან გვაქვს საქმე

**დანიშნულება:**

- შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზის არსებობისას
- კლიენტებთან, რომელთაც დიდი ხნის განმავლობაში აღენიშნებათ მაღალი ტემპერატურა
- ნივთიერებათა ცვლის რეგულარული კონტროლის დროს
- კლიენტებთან, რომელთაც შეიცვალეს ცხოვრების წესი

**პრინციპი:**

- შაქრის გასაზომი ჩხირები გრილად და თავდახურულ კოლოფში უნდა ინახებოდეს
- ვარგისიანობა და გამომშვები ფირმის სახელწოდება ყოველთვის შეამოწმეთ

**დაკვირვების კრიტერიუმები:**

- ეს ტესტი დაახლოებით მონაცემებს იძლევა

- კრიტიკული ზედა ან ქვედა ზღვრის დაფიქსირების შემთხვევაში მაშინვე მიიღეთ ზომები და დაურეკეთ ოჯახის ექიმს

**მასალა:**

- დაფა
- შაქრის გასაზომი ჩხირები (შეამოწმე ვარგისიანობა)
- ბამბა
- ლეიოკოპლასტირი
- ქაღალდის ერთჯერადი ხელსახოცი
- ხელების სადეზინფექციო ხსნარი
- სტერილური ალკოჰოლური საწმენდი
- ერთჯერადი სანახვლეტი
- ერთჯერადი ხელთათმანები
- საათი
- ნაგვის პარკი
- დოკუმენტაცია და საწერი მასალა

**ჩატარება:**

- პროცედურის დაწყებამდე ჩაიხედეთ დოკუმენტაციაში
- კლიენტს აცნობეთ მოსალოდნელი პროცედურის თაობაზე და მიიღეთ მისგან თანხმობა
- სისხლის აღებისას დაიცავით კლიენტის ტანსაცმელი დასვრისაგან
- სანახვლეტი ადგილი ჯერ დაზილეთ (თუ შესაძლებელია, კლიენტს თავად დააზილეთ და შემდეგ სპირტიანი საწმენდით გაუწმინდეთ
- ჩაიტარეთ ხელების დეზინფექცია
- სანახვლეტი და საზომი ჩხირი მოამზადეთ
- ერთჯერადი ხელთათმანები ჩაიცვით
- მოუჭირეთ თითზე და ღრმად უნხვლიტეთ
- სისხლის პირველი წვეთი მოწმინდეთ
- მომდევნო წვეთი ჩხირზე გადაიტანეთ ისე, რომ არ გაიდღაბნოს
- დაინიშნეთ დრო ზუსტად, რამდენიც პასუხის მისაღებადაა საჭირო
- შეადარეთ ფერები და დაადგინეთ შაქრის დონე სისხლში
- თუ პასუხი ახლოა კრიტიკულ ზღვართან (ზედა ან ქვედა), პროცედურა გაიმეორეთ
- ნახვლეტი ადგილი დაამუშავეთ, თუ საჭიროა, ლეიოკოპლასტირი დააკარით
- გამოყენებული მასალა გადაყარეთ
- ხელების დეზინფექცია ჩაიტარეთ
- ჩატარებული პროცედურა დოკუმენტაციაში დააფიქსირეთ

**მნიშვნელოვანია:**

- შაქრის გაზომვის წესები და დრო განსხვავებულია იმისდა მიხედვით, რომელი ფირმის გამოშვებულია ჩხირები, ამიტომ ყოველთვის ყურადღებით წაიკითხეთ ანოტაცია. ეს ეხება შაქრის დონის ელექტროაპარატურით გაზომვასაც, რადგან ეს აპარატებიც განსხვავდება მოხმარების წესით.

**6.4. ნაზომასტრალური ზონდის ჩაღება და მოვლა**

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანქ.)	30 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება:**

**მასალა**

- ნაზოგასტრალური ზონდი
- თასი
- ჭიქით წყალი
- შპრიცი
- პლასტირი
- მალამო
- სითხე

#### კლიენტი

- მჯდომარე მდგომარეობაში უნდა იყოს
- ავადმყოფს ვაცნობთ ჩვენს სამუშაო გეგმას

#### ოთახი

- ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად
- თავიდან აიცილეთ ორპირი
- უზრუნველყავით კარგი განათება
- მოიწვეთ სამუშაო ადგილი

#### მომვლელი პერსონალი

- იცვამს ხალათს
- იკეთებს ერთჯ. ხელთათმანებს
- ამზადებს წინასწარ ყველა მასალას და ავადმყოფს

#### ჩატარება

- მომზადებულ მასალას ვდებთ ჩვენთან ახლოს
- უკეთესია თუ ზონდი მაცივარშია ნამყოფი, რადგან სიმაგრის გამო უფრო ადვილი ჩასადგმელია
- ვთხოვთ პაციენტს, რომ კარგად ჩაისუნთქოს, ღებინება რომ არ დაეწყოს. ერთადერთი საშიში ადგილი ეზოფაგია, რადგან აქ რებინების რეფლექსია
- ზონდის ბოლოზე მიამაგრეთ რაიმე ჭურჭელი, კუჭიდან ამოსული შიგთავსისთვის
- თუ პაციენტი ვერ ახერხებს ზონდის გადაყლაპვას, სთხოვეთ, წყალი ჩაიგუბოს პირში, ყლაპვასთან ერთად ათავსებთ ზონდს, რაც უფრო ხშირად ჩაყლაპავს წყალს, უფრო მეტი საშუალება გექნებათ სწორად მიმართოთ ზონდი
- ყურადღება მიაქციეთ ნიშნულს ზონდზე, სადამდეც შეიძლება ზონდის ჩადგმა
- შპრიცით ვუშვებ ჰაერს ზონდში და ვადგენ მის ადგილმდებარეობას (კუჭშია თუ არა)
- ზონდი დაამაგრეთ ლეიკოპლასტირით ცხვირზე

#### დასუფთავება

- ნახმარი მასალა გადაყარეთ
- ყველა ნივთს თავისი ადგილი მიუჩინეთ
- ჩატარებული პროცედურა დააფიქსირეთ დოკუმენტაციაში

#### ხარისხის უზრუნველყოფა

- ერთსა და იმავე დროს კვება კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს
- გაითვალისწინეთ კლიენტის კვების რეჟიმი და საყვარელი საკვები

#### საყურადღებოა

- ზონდის ჩადგმის სიღრმე ინდივიდუალურია
- ჩადგმისას კლიენტს სითხე არ გადასცდეს სასულეში ან თქვენ არ მიმართოთ ზონდი იქითკენ
- კვების წინ და შემდეგ შეამოწმეთ, სწორად დგას თუ არა ზონდი, ანუ როგორ ფუნქციონირებს, ჩარეცხეთ წყლით
- საკვების კონსისტენცია უნდა შეესაბამებოდეს შპრიცისა და ზონდის გამტარუნარიანობას
- არ შეგყვეთ მსხვილი, დაუქუცმაცებელი ნაწილები
- თითოეული კვების პორცია არ უნდა აღემატებოდეს 300 მლ.
- კვების შემდეგ კლიენტი დატოვეთ ჯდომით მდგომარეობაში 20 წთ. მაინც

- არ შეგიყვეთ ჰაერი დიდი რაოდენობით
- თუ კლიენტს ყლაპვის რეფლექსი შენარჩუნებული აქვს, ეცადეთ ყოველდღიურად გააქტიუროთ რეფლექსი სპეციალური ვარჯიშებით
- არ გაჩნდეს ნაწოლი ცხვირზე, ცხვირისა და პირის ღრუს მოვლა ამ დროს განსაკუთრებით აქტიუალურია, 7-10 დღის მერე ზონდი მეორე ნესტოში გადაიტანეთ
- ხშირად ცვალოთ ლეიკოპლასტირი და სხვადასხვა ადგილზე დააწებეთ, რათა კანი არ გაღიზიანდეს
- მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ მედიკამენტები, რომელთა გახსნაც პირის ღრუში ხდება, შეიძლება სითხეში გაიხსნას და ზონდით მიეწოდოს, მაგრამ კაფსულა არა, მისი დანიშნულება კუჭში გახსნაა. სხვა მედიკამენტები ინექციის ან სანთლის სახით მიეცით

## 6.5. დაგროვილი სეკრეტისა და ლორწოს ამოქაჩვა

შემსრულებელი	მხოლოდ დმ-ის მიერ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანძ.)	15 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

### მომზადება

#### მასალა:

- ამოსაქაჩი აპარატი და 500 მლ. გამოხდილი წყალი
- ჭურჭელი გამოყოფილი სეკრეტისთვის (წყალი და სადებიზინფექციო საშუალება)
- რამდენიმე სტერილური ამოსაქაჩი კათეტერი ცენტრალური და გვერდითი შესასვლელით, გადაწყვანით, რომელზეც მონიშნულია თითის ადგილი
- პირის ღრუსა და ცხვირის მოსავლელი ნაკრები
- საჭიროების შემთხვევაში კორცანგი, სტეტოსკოპი
- ნაგვის პარკი

#### კლიენტი

- აუხსენით პროცედურის არსი. მიაღებინეთ სწორი, შესაფერისი პოზა
- ქაღალდის ხელსახოცები და ნაგვის პარკი
- ლოგინის საფენი (შესაძლებელია ღებინება)

#### ოთახი

- შესაფერისი ტემპერატურა ოთახში და საჭიროების დროს ოთახის განიავება
- როზეტი, დამაგრებელი
- საწოლთან ორივე მხრიდან უნდა იყოს მისადგომი

#### მომვლელი პერსონალი

- ერთი საკმარისია, მაგრამ თუ პაციენტი მოუსვენრდა ან დეზორიენტირებულია, შესაძლებელია პროცესში მეორე მომვლელის ჩართვაც.

### ჩატარება

- ამოსაქაჩი აპარატი წინასწარ შეამოწმეთ ფუნქციონირებაზე
- კათეტერი ფრთხილად, გაღიზიანების გარეშე ჩაუშვით და ამოქაჩვა რამდენჯერმე გაიმეორეთ, სანამ სასუნთქი გზები მთლიანად არ გათავისუფლდება (სტეტოსკოპით შეამოწმეთ)
- არ იაროთ აქეთ-იქით კათეტერით ხელში
- ამოქაჩვის პერიოდში გახსენით და ღიად დატოვეთ კუჭის ზონდი (ასპირაციის საშიშროება!)
- მოვლის სტანდარტების სიმბოლოები და ტერმინოლოგიის ამოქაჩვა ხდება ექიმის მიერ ან დიპლომირებული ექთნის მიერ, რომელსაც ექიმში წერილობითი ფორმით აძლევს ამის უფლებას
- ყოველი ამოქაჩვა გრძელდება არაუმეტეს 15 წამისა (შესაძლო ჰიპოქსია!)
- ყოველი ამოქაჩვის შემდეგ (იქნება ეს ორალური, ნაზალური თუ ტრაქეალური) განახორციელოთ პირის ღრუსა და ცხვირის ფრთხილი/საფუძვლიანი მოვლა

### დასუფთავება

- კათეტერი წრიული მოძრაობით ამოიღეთ უკან და გაავლეთ, ამოსაქაჩი აპარატი გამორთეთ და კათეტერი მისთვის განკუთვნილ ნაგვის პარკში ჩააგდეთ. ჭურჭელი სეკრეტისთვის დააცარიელეთ, ამოსაქაჩი მილთან და გადასართველთან/გადასაყვანთან ერთად კარგად გარეცხეთ, დეზინფექცია ჩაუტარეთ და გაასტერილეთ.
- სეკრეტის ჭურჭელი, მილი და გადასაყვანი უნდა უძღვებდეს ორთქლზე 134 °C-ზე სტერილიზაციას, ამის შემდეგ მოამზადეთ ხელახალი გამოყენებისთვის.

### ხარისხის უზრუნველყოფა

- კომპეტენტურად და ასექტიურად ჩატარებული ღონისძიებით, გადამოწმდება და უზრუნველყოფილი ხდება ხარისხი (ჰიგიენური ღონისძიებების დაცვით შესაძლო გართულებები თავიდან იქნება აცილებული)
- შეუფერხებელი და თავისუფალი სუნთქვის უზრუნველყოფით მიიღწევა კლიენტის კარგად ყოფნა. ეს ბევრადაა დამოკიდებული კლიენტის მომზადებაზე და მისი სიმშვიდის შენარჩუნებაზე.

### საყურადღებოა!

- აუცილებელია ჩატარებული სამუშაოს ზუსტი აღნუსხვა (დაწვება/დამთავრება, კათეტერის ზომა, დაკვირვებები სეკრეტზე)
- ყოველი გამოყენების წინ ამოსაქაჩი აპარატი უნდა შემოწმდეს ფუნქციონირებაზე. ახალ აპარატს აქვს გარანტია ერთი წელი
- ამოქაჩვის დროს მოულოდნელად წარმოშობილი სუნთქვის უკმარისობა მაშინვე აცნობეთ ექიმს. პროცედურის გაგრძელებამ შეიძლება უკმარისობა გააძლიეროს.
- ყურადღება მიაქციეთ რა სითხეების იღებს კლიენტი, რადგან ზოგიერთი მათგანი ხელს უწყობს ლორწოს წარმოქმნას (მაგ.: რძის პროდუქტები).
- სეკრეტის შესაგროვებელ ჭურჭელში გამოყენებამდე ჩაასხით 1%-იანი სადეზინფექციო ხსნარი (1. წყალი, 2. სადეზინფექციო საშუალება)
- სეკრეტის ჭურჭელი და ამოსაქაჩი შემაერთებული მილი, გადამყვანთან ერთად, ყოველდღე ცვალებ (ამიტომ იზრუნეთ მეორე კომპლექტზე).

## 6.6. ინჰალაცია

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანვ.)	20 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

### მომზადება:

#### მასალა

- საინჰალაციო აპარატი
- სტერილური ქუა დესტილატა
- მედიკამენტი ექიმის დანიშნულებით
- მუნდშტუკი
- ამოსახველებელი ჭურჭელი თავსახურით
- თირკმლისებური
- ქაღალდის ხელსახოცები
- ერთჯ. ხელთათმანები

#### კლიენტი

- მიაღებინეთ შესაფერისი პოზა – მოხერხებულად დასვით ლოგინში ან მაგიდასთან

#### ოთახი

- ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად
- გაანიავეთ კარგად
- თავიდან აიცილეთ ორპირი

**მომვლელი პერსონალი**

- ჩაიცვით ხალათი, გაიკეთეთ ნიღაბი

**ჩატარება**

- პროცედურის დაწყებამდე ჩაიხედეთ დოკუმენტაციაში
- სანიჰალაციო აპარატი ყოველი დაწყების წინ ფუნქციონირებაზე შემოწმეთ და მყარად დადგით მაგიდაზე ან ტუმბოზე
- კლიენტს პროცედურის თაობაზე შეატყობინეთ და მისგან თანხმობა მიიღეთ
- ჩაუტარეთ ცხვირისა და პირის ღრუს მოვლა
- წამალი და გამოხდილი წყალი ჩაასხით (დოზები დაიცავით)
- ჩართეთ აპარატი და მუნდშტუკი კლიენტს მიაწოდეთ
- ნახველის გაჩენის შემთხვევაში ჭურჭელი მიაწოდეთ
- პერიოდულად შემოწმეთ კლიენტის პულსი, სუნთქვა, წნევა, ცნობიერება
- დაიცავით პროცედურის ჩატარების ხანგრძლივობა და აპარატი საჭირო დროს გამორთეთ

**დასუფთავება**

- აპარატი დაშალეთ, ნაწილები გარეცხეთ და გაასტერილეთ
- გამშრალებული ისევე ააწყვეთ და შეინახეთ
- მოახდინეთ ნახველის დეზინფექცია ჭურჭელში, შიგთავსი ტუალეტში ჩაასხით, შემდეგ კი ეს ჭურჭელიც გაასტერილეთ
- გააკეთეთ ჩანაწერი დოკუმენტაციაში

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- სასუნთქი გზების მწვავე და/ან ქრონიკული დაავადებების შემთხვევაში ინჰალაცია დიდ ეფექტს იძლევა
- ეს არის პნემონიის პროფილაქტიკა დიდხანს მწოლიარე პაციენტებისთვის
- ამოსახველებლად, მედიკამენტების სასუნთქ გზებში შესაყვანად კლიენტების უმრავლესობას ეს პროცედურა ურჩევნია

**საყურადღებოა**

- პროცედურა გრძელდება 10-15 წუთი, ტარდება დღეში 2-ჯერ
- აუცილებლად გამოხდილი წყალი გამოიყენეთ!
- პერიოდულად შემოწმეთ აპარატის ფილტრი
- პროცედურის შემდეგ პირის ღრუ და ცხვირი დაათვალიერეთ

**6.7. ქანგბადის მიწოდება**

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანვ.)	45 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

მასალა (ჟანგბადის ბალონის აწყობა და მიწოდება):

- ჟანგბადის ბალონი (მოამზადეთ პირველადი დახმარების ჩანთა)
- დაფა
- 2 ჟანგბადის ზონდი, სათვალე/ნიღაბი
- წვრილი ლეიკოპლასტირი
- სამედიცინო ბენზინი ან ეთერზეთი პლასტირის ნარჩენების მოსაცილებლად
- არასტერილური ტამპონი
- თირკმლისებური ჯამი
- ამოსახველებელი ჭურჭელი წყლით, სადეზინფექციო ხსნარი და თავსახური
- ნავის პარკი ქაღალდის ხელსახოცებისთვის

- ცხვირისა და პირის ღრუს მოსავლელი კომპლექტი

### **კლიენტის**

- დაელაპარაკეთ ღონისძიების ჩატარების აუცილებლობაზე, გაითვალისწინეთ მისი შიში
- შეურჩიეთ მოხერხებული პოზა წოლისთვის, საჭიროების დროს ცხვირი გაუსუფთავეთ (გაასუფთავებინეთ)
- ქალაქის ხელსახოცები ხელმისაწვდომ ადგილას დაალაგეთ და ნაგვის პარკი რამეზე ჩამოკიდეთ

### **ოთახი**

- საწოლი ისე დადგით, რომ ორივე მხრიდან შესაძლებელი იყოს მიდგომა
- შეამოწმეთ ხარის მუშაობა, დაუდეთ კლიენტს ხელმისაწვდომ ადგილას

### **მომვლელი პერსონალი**

- ხელების ჰიგიენური დეზინფექცია
- ნიღაბი (გაცეებისას)

### **ჩატარება**

- განახორციელეთ ჟანგბადის მიწოდება ზუსტად ექიმის დანიშნულების მიხედვით
- დამატებითი ჰურჭელი, უშუალოდ ჟანგბადის მიწოდების წინ, 100 მლ გამოსდილი წყლით შეავსეთ
- გამოიჩინეთ მზრუნველობა პროცედურის განმავლობაში (დაამშვიდეთ, შეეხეთ)
- პროცედურის წინ და შემდეგ ჩაატარეთ ცხვირისა და პირის ღრუს მოვლა (ჩაატარებინეთ)
- მიაღებინეთ კლიენტს მისთვის სასურველი პოზა
- სუნთქვის გამააქტიურებელი ღონისძიებები შეურჩიეთ ინდივიდუალურად საჭიროებებიდან გამომდინარე
- აკონტროლეთ სასიცოცხლო მაჩვენებლები

### **დასუფთავება**

- პროცედურის დამთავრების შემდეგ ან ყოველდღიური გამოყენების შემთხვევაში გაასუფთავეთ დამანოტიოებელი ჰურჭელი, გაასტერილეთ და ისევ ჟანგბადის ბალონს მიამაგრეთ, ან მზადყოფნაში იქონიეთ.

### **ხარისხის უზრუნველყოფა**

- ხარისხი მიიღწევა ყველა შესაბამისი კრიტერიუმის დაცვით.

### **საყურადღებოა!**

- სასწრაფო დახმარების მიზნით, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ნებადართულია ჟანგბადის მიწოდება ექიმის დანიშნულებამდე. უნდა მიაწოდოთ ხანმოკლე დროით 2-3 ლ/წთ (შეამოწმეთ სასიცოცხლო მაჩვენებლები).
- უკუნაჩვენებია ჟანგბადის მიწოდება ემფიზემისა და ობსტრუქციული ბრონქიტის დროს
- ზედა სასუნთქი გზები თავისუფალი უნდა იყოს (თუ საჭიროა, ჩაატარეთ ცხვირის მოვლა), გაითვალისწინეთ ცხვირის ღრუს ლორწოვანის დაზიანების საშიშროება.
- ცხვირის ღრუს დაინფიცირება თავიდან რომ ავიცილოთ, აუცილებელია ჟანგბადის ზონდის, სათვალისა (ან ნიღაბის) და დამანოტიოებელის ცვლა ყოველდღიურად. სათადარიგო მასალა მზად უნდა გქონდეთ
- ცხვირში ძალიან ღრმად ჩადგმულმა ზონდმა, შეიძლება კუჭის შებერვა გამოიწვიოს
- ჟანგბადის მიწოდებისას თუ პაუზას აკეთებთ, ზონდი, სათვალე და ა. შ. ბუდეში შეინახეთ
- გამოყენების წესები ჟანგბადის ბალონზე დაამაგრეთ
- ჟანგბადის ბალონი ძალიან მაღალი წნევითაა დატუმბული, 100 ჯერ მეტი, ვიდრე საბურავი. ამიტომ ის შეიძლება ბომბადაც ჩაითვალოს. არ გაწმინდოთ იგი ზეთოვანი ჩვრებით! ცხიმის თითებით შეხებამაც კი შეიძლება აფეთქება გამოიწვიოს!
- დაუშვებელია ბალონის დავარდნა!
- აფეთქების საშიშროება მატულობს თუ ბალონი ახლოსაა გამათბობელთან, ოთახში სიგარეტის კვამლი ან მზის სხივები პირდაპირ ასხივებენ ბალონს.
- ყოველთვის შეამოწმეთ/იზრუნეთ ბალონის სისავსეზე. დაცლა აღნიშნულ დოკუმენტაციაში. მომზადებული გქონდეთ ახალი ბალონი გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის.

## 6.8. ბარეჟანი ზემოქველავები

### 6.8.1. შიშველვა

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანვ.)	15 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მომზადება:

##### მასალა

- სამკურნალო ზეთი (ექიმის დანიშნულებით)
- პირსახოცები (სხვადასხვა ზომის)

##### კლიენტი

- აცნობეთ პროცედურის თაობაზე
- მიადებინეთ შესაბამისი პოზა

##### ოთახი

- ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად
- გაანიავეთ კარგად
- თავიდან აიცილეთ ორპირი
- უზრუნველყავით სიმშვიდე

##### მომვლელი პერსონალი

- იცვამს ხალათს

#### ჩატარება

- კლიენტს გაუთავისუფლეთ ის ადგილი, რომელზეც შეზელვა უნდა გაუკეთოთ
- დაუფინეთ ერთი პირსახოცი ქვეშ, მეორე იქვე ახლოს იქონიეთ
- ზეთი ჯერ ხელში გაათბეთ და მხოლოდ ამის შემდეგ შეუზილეთ
- შეზელვა კეთდება წრიული მოძრაობებით, ორივე ხელის მონაცვლეობით
- დასრულების შემდეგ შეზელილი ადგილი კარგად შეფუთეთ პირსახოცით
- პაციენტი პროცედურის შემდეგ 30 წუთი მაინც უნდა იწვეს

#### დასუფთავება

- ზეთიან ფლაკონს თავსახური კარგად დაახურეთ და შეინახეთ
- პირსახოცები ცელოფნის პარკში შეინახეთ. ისინი პროცედურების დამთავრებამდე არ ირეცხება
- პროცედურა ჩაწერეთ დოკუმენტაციაში

#### ხარისხის უზრუნველყოფა

- სწორად შერჩეული პროცედურა და მისი ჩატარების დრო დიდ ეფექტს იძლევა

#### საყურადღებოა

- წინასწარ დაადგინეთ, კლიენტს აღერგია ხომ არ აქვს რომელიმე ზეთზე
- არ შეიძლება ორი ზეთის ერთდროულად გამოყენება

### 6.8.2. სამკურნალო აბაზანები

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანვ.)	30 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მომზადება:

##### მასალა

- ჭურჭელი: მაღალი, ღრმა; (მუხლამდე – ნაწილობრივი აბაზანის შემთხვევაში).
- მჯდომარე აბაზანა – ორთქლის აბაზანის დროს (შეიძლება ჭურჭელი უნიტაზში ჩაიდგას).
- ტალახი, ქვიშა; რიგი მცენარეული სუბსტანციები; პირსახოცები (გასამშრალელები ან შესახვევი).
- ლოგინი პაციენტის დასასვენებლად (ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სიმშვიდეა).
- დისპერსიული აპარატი (ზეთის გასაბნეველ აბაზანაში).

**კლიენტი**

- წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული ჩასატარებელი პროცედურის შესახებ; თუ პაციენტი არაცნობიერია, საუბარი მაინც აუცილებელია.

**ოთახი**

- წინასწარ განიავებულია; მოწესრიგებულია.

**მომვლელი პერსონალი**

- გამოყენებულ იქნეს წინსაფარი ან სპეცტანსაცმელი იმისდა მიხედვით, რა სახის პროცედურა ტარდება.

**პერსონალის რაოდენობა**

- ერთი (განსაკუთრებულ შემთხვევაში – ორი)

**ჩატარება**

- აუცილებელია ექიმის დანიშნულების გათვალისწინება. შეამოწმეთ საციცოცხლო მაჩვენებლები.
- წყლის ტემპერატურა აუცილებელია იყოს 37 გრადუსი, თუ საჭიროა პაციენტთან სიცხე ავწიოთ, ვახდენთ თანდათანობით წყლის ტემპერატურის მომატებას.
- ზოგიერთი აბაზანის შემდგომ ვახდენთ პაციენტის შეფუთვას პირსახოცში და არა გამშრალეებას.

**დასუფთავება**

- ერთჯერადი საგნები გადაყარეთ
- გამოყენებული ნივთები ააღაგეთ და თავისი ადგილი მიუჩინეთ

**ხარისხის უზრუნველყოფა**

- სწორად შერჩეული პროცედურა და მისი ჩატარების დრო დიდ ეფექტს იძლევა

**საყურადღებოა**

- მზის აბაზანების დროს არ მოხდეს მზის დაკვრა, კანის დაწვა, გადახურება.
- პაციენტი უნდა იწვეს 30 წთ. სრულ სიმშვიდეში.
- კარგად ჩამობანეთ სამკ. ტალახისა და ბალახის ნარჩენები

**6.8.3. საშენები და სახმეშენები**

შემსრულებელი	დმ
ექთანთა/მომვლელთა რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვ.)	40 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

**მომზადება**

**მასალა:**

- დანიშნული სამკურნალო საშუალება
- ქსოვილი (კომპრესის, დოლბანდის, მარლის, ბამბის სელის, შალის ნაჭრები) პროცედურიდან გამომდინარე
- პერგამენტის და/ან ალუმინის ქაღალდი და პარკი ნაჭრების შესანახად
- ჯამი და/ან ხის დაფა
- ქვაბები, საწური, ჩაიდანი
- ქაღალდის ფილტრი
- სახეხი

- შალის დიდი ნაჭერი შემოსახვევად, დიდი პირსახოცი ან ბამბაზის ნაჭერი

### **პროცედურიდან გამომდინარე**

- ქისა ჩამოსაბანად
- სათბურა
- ინგლისური ქინძისთავეები და/ან ლეიკოპლასტირი
- შპადელი
- ვაზელინი ან ლავანდის ზეთი
- ნაგვის პარკი

### **კლიენტი**

- გადაამოწმეთ სასიცოცხლო მაჩვენებლები
- წინასწარ განუმარტეთ პროცედურის თაობაზე
- დააცდევინეთ ნაწლავები და შარდის ბუშტი შეძლებისდაგვარად
- შეამოწმეთ კანის მდგომარეობა (უნდა იყოს დაუზიანებელი)
- დააწვინეთ მოხერხებულად ან მიაღებინეთ პროცედურისთვის შესაფერისი პოზა

### **ოთახი**

- კარგად გაანიავეთ და გაათბეთ
- იზრუნეთ მშვიდი გარემოს შექმნაზე
- თეჯირი

### **მომვლელი პერსონალი**

- წინსაფარი
- დაიბანეთ ხელები
- გაიკეთეთ ხელთათმანი საჭ. დროს

### **პერსონალის რაოდენობა:**

- როგორც წესი, სჭირდება 1 მომვლელი, საჭიროების შემთხვევაში ჩართეთ მეორეც

### **ჩატარება**

- მოამზადეთ სამკურნალო ნივთიერება
- ზუსტად დაიცავით პროცედურის ჩატარების ხანგრძლივობა
- დაიცავით მითითებები

### **დასუფთავება**

- გამოყენებული საგნები (ჯამები, დაფა, ქვაბები) გარეცხეთ და გაამშრალეთ და გამოყენებული შალის სახვევი და პირსახოცები ჰაერზე გაფინეთ
- ზეთიანი ნაჭრები შეახვიეთ ალუმინის ქაღალდში და ასე შეინახეთ მეორე პროცედურის ჩატარებამდე
- გამოყენებული სამკ. საშ-ება გადაყარეთ
- ნაჭრები მაშინვე გაავლეთ რამდენჯერმე გამდინარე წყალში და ჰაერზე გააშრეთ
- ყველა ნივთი თავის ადგილას დააბრუნეთ

### **ხარისხის უზრუნველყოფა**

- პროცედურის ხანგრძლივობისა და მიმდინარეობის დაცვით სამკურნალო ნივთიერების ქმედების მაქსიმალური ხარისხი მიიღწევა
- პაციენტის თვითშეგრძნებები და ჯანმრთელობის მდგომარეობა უმჯობესდება

### **საყურადღებოა**

- მოსალოდნელი საშიშროებების შეცნობა და პროფილაქტიკა
- კანის ზემოგრძობელობა ან დაზიანება
- ყურადღება მიაქციეთ კანის შესაძლო ცვლილებებს, როგორც ადგილობრივად, ისე მთელ ტანზე
- სავალდებულოა ნებისმიერი პროცედურის მიმდინარეობის, ჩატარებისა და დროის ზუსტი დაცვა, რათა თავიდან ავიცილოთ შესაძლო გართულებები
- ზუსტად შეიტანეთ დოკუმენტაციაში პროცედურის დაწყება-დამთავრების დროები და მიუთითეთ უმნიშვნელო ცვლილებებიც კი

## 6.9. მედიკამენტუზის მიწოდება და მათი მიწოდების კონტროლი

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანძ.)	10 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

### მომზადება:

#### მასალა

- მაგიდა სუფთა საფენით
- პირსახოცი
- ჭურჭელი მედიკამენტების დასაწყობად ან საფენი
- მასალა პირის ღრუს მოსაველეად, გამოსაველებად
- ჭიქა, გრაფინი წყლით
- ხელსახოცი

#### კლიენტი

- საჭიროებისას დაეხმარეთ წამოდგომაში, საწოლის თავთან ზედა ნახევარი ასწიეთ.
- მაგიდაზე საგნები თვითონ დაალაგებინეთ, წყლიანი ჭიქა მიეცით გამოსაველებად და მედიკამენტების შემდეგ წყლის დასალევად.
- მედიკამენტების მიღებისას შესთავაზეთ დახმარება.

#### ოთახი

- ოთახის ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად
- მაგიდაზე გამოყავით მედიკამენტების, პირსახოცის და წყლიანი ჭურჭლის დასაწყობი ადგილი

### მომვლელი პერსონალი

- დაიბანეთ ხელები, გაიკეთეთ დეზინფექცია

### პერსონალის რაოდენობა

- ერთი

### ჩატარება

- პაციენტი წამოსვით, ან საწოლის თავი წამოუწიეთ და/ან ჩაუდეთ ბალიში ზურგის უკან
- საჭირო მედიკამენტი მიაწოდეთ, ან მიეცით ინფორმაცია თვითონ მიიღოს ეს წამალი.
- დაეხმარეთ წყლის დაყოლებას. პირი მოუწმინდეთ, შეამოწმეთ როგორ ჩაყლაპა ეს მედიკამენტი.
- სხვა წამლების დაღვევის საჭიროების დროს გამოტოვეთ საჭირო დროის ინტერვალი. შემდეგ პირი მოუშმრალეთ, გამოავლეთ ხსნარი/წყალი პირის ღრუში,
- პირის ღრუ/პროთეზი დაუშუშავეთ და შეუშმრალეთ.
- მიეცით საწყისი პოზა (წოლითი, მჯდომარე), დაამშვიდეთ.

### დასუფთავება

- ყველა მედიკამენტს თავისი ადგილი მიუჩინეთ
- დოკუმენტაციაში ჩანაწერი გააკეთეთ

### ხარისხის უზრუნველყოფა

- ყოველთვის ერთი და იგივე ქმედება და წინასწარი ინფორმირება, კეთილგანწყობით მოპყრობა პაციენტში აღვივებს ნდობას და უსაფრთხოების შეგრძნებას
- კმაყოფილება მიღწევადია.

### კონტროლი

- ზოგიერთ მედიკამენტს (მიქსტურა, ემულსია-სჭირდება შენჯღრევა, შეთბობა, ან შესუნთქვა-წინასწარი-ინჰალაციები), ეს ყველაფერი საჭიროებს დამატებით სიფრთხილეს და კონტროლს, ასევე საკვების მიღება-ზოგიერთი მედიკამენტების მიღებამდე ან მიღების წინ.

#### **საყურადღებოა**

- კლიენტს შეუძლია თვითონ მიიღოს წამლები ჩვენი მეთვალყურეობით, თუკი ეს მას ურჩევნია, ან შეარჩიოს დრო-მათი მიღებისა – თუკი აუცილებლობას არ წარმოადგენს მათი ზუსტი მიღება.
- ყოველი მიღების წინ ჩაიხედეთ დოკუმენტაციაში და შეამოწმეთ წამლის დასახელება

## 7. სასიცოცხლო მაჩვენებლების კონტროლი

### 7.1. ტექნიკური გაზომვა

### 7.2. პულსის დათვლა

### 7.3. წნევის გაზომვა

### 7.4. სუნთქვაზე დაკვირვება

### 7.5. სწრაფი დაკვირვება

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანვ.)	5 წუთი თითოეულზე
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მომზადება:

##### მასალა

- განსაკუთრებული მომზადება არ სჭირდება. საჭიროა წნევის საზომი აპარატი, წამზომიანი საათი, თერმომეტრი, დოკუმენტაცია

##### კლიენტი

- უნდა იმყოფებოდეს მოხერხებულ და მოსვენებულ პოზიციაში

##### ოთახი

- ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად

##### მომვლელი პერსონალი

- თან უნდა იქონიოს საჭირო აპარატურა

#### ჩატარება

- გაზომვით სასიცოცხლო მაჩვენებლები: გაზომვით წნევა და ტემპერატურა, დაითვალეთ პულსი და სუნთქვა, დააკვირდით და შეაფასეთ ცნობიერება
- მონაცემები შეიტანეთ დოკუმენტაციაში

#### პულსის დათვლა

##### მიზანი:

- ფიზიოლოგია/პათოლოგიის დადგენა
- სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობის შეცნობა უბედური შემთხვევების დროს
- თერაპიული საშუალებების ქმედების კონტროლი
- გარკვეული დაავადებების შეცნობა და გამორიცხვა
- შესაძლო გართულებების ადრეულ ეტაპზე გამოვლინება

##### დანიშნულება:

- გულ-სისხლძარღვთა სისტემის მწვავე დაავადებები
- არსებული ათეროსკლეროზის და მისგან გამომდინარე დაავადებები
- სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევები: შოკი, სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვა
- ნივთიერებათა ცვლის დარღვევები და მოწამვლები

##### დაკვირვების კრიტერიუმი:

- რამდენია პულსის ცემა 1 წუთში
- რიტმი (რეგულარობა და ცემა)
- პულსის ხარისხი (ავსება და დაჭიმულობა)
- მედიკამენტის მიღების დრო და დოზა, მაგ.: ბეტაბლოკატორები და გულის გლიკოზიდები

##### სუნთქვაზე დაკვირვებასუნთქვაზე დაკვირვება

- პაციენტს დაესვამთ (თუ შეუძლია). მიეცით წინადადება ჩაისუნთქოს და ამოისუნთქოს, შემდეგ კი თითქოს პულსს უკვირდებით, მოკიდეთ ხელი მაჯაზე პულსის დათვლის არეში, და

გადაგვაქვს რა მისი ყურადღება პულსზე, ვუკვირდებით სუნთქვის სიხშირეს, ფაზებს, პათოლოგიური სუნთქვის არსებობას, სუნთქვისას ხმაურს, პირიდან სუნს, ნახველისა და ქაფის, ლორწოს არსებობას.

- დაკვირვება – წუთში სუნთქვის სიხშირე, სუნთქვითი მოძრაობის სიღრმე და სახე (ხარისხს), სუნთქვის რეგულარობა (რიტმი, ზომა), ამოსუნთქული ჰაერის სუნი და გულმკერდის ყაფაზის სიმეტრიულობა სუნთქვის დროს.

### **ტემპერატურის გაზომვა**

- შეამოწმეთ თერმომეტრი, სწორად მუშაობს თუ არა
- დაიყვანეთ ვერცხლისწყლის სვეტი მინიმუმამდე
- იღლია გაამშრალეთ და თერმომეტრი ისე ჩაუდეთ
- გაზომვის დრო 7-10 წუთი

### **წნევის გაზომვა**

- შეამოწმეთ აპარატი სწორად მუშაობს თუ არა
- მანქეტი შემოახვიეთ მკლავზე, დაამაგრეთ (ძალიან არ მოუჭიროთ) და ჩაკეტეთ
- მონახეთ პულსაცია იდაყვის ზედა მხარეს და დაადეთ ფონენდოსკოპი
- რეზინის ბურთის საშუალებით აიყვანეთ ვერცხლისწყლის სვეტი ან ისარი მაქსიმუმამდე
- მოუშეით ჩამკეტი, მოუსმინეთ და უყურეთ სვეტზე პირველ და ბოლო დარტყმას
- დააფიქსირეთ დოკუმენტაციაში

### **ცნობიერებაზე დაკვირვება**

- ძილიანობა: შენელებული აზროვნება და მოქმედება, გაძნელებული ორიენტაცია
- სომნოლენცია: ცნობიერების დარღვევა, ძილიანობა, არ არის ორიენტირება დროსა და ადგილზე, შენელებული რეაქცია მითითებაზე.
- სოპორი: ღრმა ძილის მდგ-ბა, ცნობიერების დარღვევა, რეაქცია მხოლოდ ძლიერ გამღიზიანებელზე (შენჯღრევა), კომუნიკაცია შეუძლებელია, სახეზეა რქოვანას რეფლექსი.
- პრეკომა: ცნობიერების დარღვევა, არანაირი რეაქცია ვერბალურ მითითებაზე, შენელებული რეაქცია ძლიერ გამღიზიანებელზე.
- კომა: ცნობიერების დაბინდვა, არანაირი რეაქცია გარეგან გამღიზიანებაზე, გუგების არანაირი რეაქცია.

### **დასუფთავება**

- დააბრუნეთ ყველა გამოყენებული აპარატი თავის ადგილზე

### **ხარისხის უზრუნველყოფა**

- პროფესიული ქმედება, რათა თავიდან აიცილოთ შესაძლო გართულებები და დროულად გამოავლინოთ დარღვევები

### **საყურადღებოა**

- ნებისმიერი ცვლილება მაშინვე აცნობეთ ექიმს, რათა თავიდან აიცილოთ არასასურველი შედეგები

## 8. კოორდინატორი ექთნის პირველი ვიზიტი

### 8.1. ხელშეკრულების გაფორმება მოსაკლავ ადამიანთან ან მისი ნდობით აღჭურვილ პირთან

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვ.)	1 სთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მომზადება:

##### მასალა

- ხელშეკრულებისთვის საჭირო დოკუმენტაცია, ანკეტა და სპეციალური ფორმები

##### კლიენტი

- წინასწარ მიაწოდეთ ინფორმაცია ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, კარგად აუხსენით ყველა დეტალი და მიიღეთ თანხმობა მისგან

##### ოთახი

- უზრუნველყავით უხმაურო გარემო, არ უნდა იყოს ჩართული ტელევიზორი, რადიო და ა. შ.
- უზრუნველყავით კარგი განათება

##### მომვლელი პერსონალი

- კოორდინატორი ექთანი

#### ჩატარება

- გაცანით ხელშეკრულება კლიენტს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს
- უპასუხეთ მის ყველა შეკითხვას
- შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში ხელი მოაწერინეთ ყველა საჭირო საბუთზე
- საბუთები დგება ორ ორიგინალად, რომელთაც თანაბარი ძალა გააჩნიათ

#### დასუფთავება

- ერთი ორიგინალი დაუტოვეთ კლიენტს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს, მეორე წამოიღეთ თქვენ

#### ხარისხის უზრუნველყოფა

- ხელშეკრულების გაფორმებითა და მისი პუნქტების კლიენტისთვის ან მისი ნდობით აღჭურვილი პირისთვის გაცნობით თავიდან აიცილებთ გაუგებრობებს მომავალში
- დაცულია როგორც კლიენტის, ასევე თქვენი უფლებებიც

#### საყურადღებოა

- ხელშეკრულება დგება გარკვეული ვადით, ეს ვადა უნდა შეესაბამებოდეს ორივე მხარის სურვილს ან ორგანიზაციის წესით დადგენილ დროს.

### 8.2. მოვლის დაგეგმვა

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მაჩვ.)	30 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მომზადება:

##### მასალა

- მოვლის დოკუმენტაცია

##### მომვლელი პერსონალი

- კოორდინატორი ექთანი

## **ჩატარება**

- მოვლის გეგმის შედგენა ყოველდღიური სასიცოცხლო საქმიანობების (ATL) მიხედვით:
  - კომუნიკაცია
  - მოძრაობა
  - სასიცოცხლო ფუნქციები
  - თავის მოვლა
  - კვება, სითხეების მიღება
  - გამოყოფა
  - ჩაცმა/გახდა
  - სიმშვიდე, სიფხიზლე და ძილი
  - დასაქმება/რაიმე საქმით დაკავება
  - თავის კაცად/ქალად აღქმა
  - ზრუნვა უსაფრთხო გარემოს შექმნაზე
  - ცხოვრების სოციალური სფეროების უზრუნველყოფა
  - ცხოვრებისეულ საკითხებთან დამიკუდებულება
- რესურსებისა და პრობლემების შეცნობა
- ამ პრობლემების გადაჭრის გზების მოძებნა

## **დასუფთავება**

- დოკუმენტაციისთვის სათანადო ადგილის მიჩენა

## **ხარისხის უზრუნველყოფა**

- მოვლის ხარისხი მნიშვნელოვნად დოკუმენტაციის დროულ შევსებაზეა დამოკიდებული. რაც უფრო სრულყოფილია მოვლის დოკუმენტაცია, მით უკეთესია მოვლის გეგმა და უფრო მაღალია მოვლის ხარისხი

## **საყურადღებოა**

- დოკუმენტაციის მუდმივი ფურცლები ერთი ვიზიტით უნდა შეივსოს, ცვლადები კი – ყოველ ერთ თვეში გამოიცვალოს.

## 9. პაციენტის მომზადება და სპეციალისტის დახმარება ინსტრუმენტული გამოკვლევების დროს

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანძ.)	30 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

### მომზადება:

#### მასალა

- მასალის მომზადება დამოკიდებულია იმაზე, რა სახის გამოკვლევა უნდა ჩატარდეს კლიენტს

#### კლიენტი

- წინასწარ მიაწოდეთ ინფორმაცია მოსალოდნელი გამოკვლევის თაობაზე და მიიღეთ მისგან თანხმობა
- მოამზადეთ გამოკვლევის შესაბამისად

#### ოთახი

- ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად
- განათება გამოკვლევის შესაბამისად

#### მომვლელი პერსონალი

- ერთი
- ჩაიცვით ხალათი
- გაიკეთეთ ერთჯ. ხელთათმანები

### ჩატარება

- მიუჩინეთ ინსტრუმენტებს სამუშაოდ მოსახერხებელი ადგილი,
- კლიენტი შესაფერის პოზაში დააწვინეთ/დასვით/დააყენეთ
- შეასრულეთ სპეციალისტის მითითებები თანმიმდევრობით

### დასუფთავება

- გამოყენებული მასალა გადაყარეთ
- ინსტრუმენტს თავისი ადგილი მიუჩინეთ
- დოკუმენტაციაში ჩანაწერი გააკეთეთ
- გადაამოწმეთ კლიენტის მდგომარეობა და დაწვევის პოზა

### ხარისხის უზრუნველყოფა

- გამოკვლევების შედეგები მოვლის გეგმის პირდაპირპროპორციულია
- სახლის პირობებში გამოკვლევების ჩატარება კლიენტისთვის უფრო სასურველია და მას შიშის გრძნობა აღარ აწუხებს

### საყურადღებოა

- დოკუმენტაციის დროდადრო გადახედვა და შემოწმება, რაიმე გამოკვლევა დაგეგმილი ხომ არ არის
- შეამოწმეთ დოკუმენტაციაში, უნდა იცოდეს თუ არა კლიენტმა გამოკვლევის შედეგები

## 10. აქტის ვიზიტი აქიმთან

შემსრულებელი	დმ
ექტის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანვ.)	1 სთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

### მომზადება:

#### მასალა

- ინფორმაცია პაციენტის შესახებ: დიაგნოზი (თუ უკვე დასმულია), გამოკვლევის შედეგები და ა. შ.
- მოვლის დოკუმენტაცია

#### მომვლელი პერსონალი

- წინასწარ უთანხმდება ექიმს შეხვედრაზე
- თან უნდა იქონიოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია კლიენტის დაავადებისა და ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ

### ჩატარება

- მომვლელი წარადგენს შეკრებილ ინფორმაციას
- საუბრობს კლიენტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე
- აღნიშნავს კლიენტის არსებულ რესურსებს
- ახალ დანიშნულებას აკრავს დოკუმენტაციაში
- ექიმს აკეთებინებს ჩანაწერს

### ხარისხის უზრუნველყოფა

- დროული კონსულტაცია და ვიზიტი ექიმთან თავიდან აგარიდებთ შესაძლო გართულებებს
- კლიენტის კმაყოფილება მიღწევადია

### საყურადღებოა

- არ გამოგრჩეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ანამნეზის შეკრებისას, ყურადღებით დაკვირდით თითოეულ ცვლილებას
- სწორად მიიტანეთ ინფორმაცია ექიმამდე
- გაითვალისწინეთ როგორც კლიენტის, ისე მისი ოჯახის წევრების ინტერესი და სურვილი მკურნალობის ჩატარებაზე

## 11. პანიკის რეაქცია ექიმთან

შემსრულებელი	დმ
ექთანთა/მომვლელთა რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანვ.)	3 სთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

### მომზადება:

#### მასალა

- მოამზადეთ და ფუნქციონირებაზე შეამოწმეთ (კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და საჭიროებების გათვალისწინებით): სათვალე, ჯოხი, ეტლი, სასმენი აპარატი და სხვა საჭირო დამხმარე თუ ტექნიკური საშუალებები
- მასალა ჰიგიენური პროცედურებისთვის
- ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევების შედეგები
- მოვლის დოკუმენტაცია
- წინასწარ დაიბარეთ სამსახურის მანქანა ან გამოიძახეთ ტაქსი

#### კლიენტი

- წინასწარ მიაწოდეთ ინფორმაცია ამ ღონისძიების ჩატარების თაობაზე
- ჩაუტარეთ ჰიგიენური პროცედურები
- ჩააცვით მოხერხებული, კარგად მორგებული და მისთვის სასურველი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი
- ჩაუტარეთ სასიცოცხლო მანქანებლების კონტროლი
- მოამზადეთ მგზავრობისთვის, სახლიდან გასვლამდე მოათავებინეთ ტუალეტი
- საჭიროების შემთხვევაში მიეცით მედიკამენტები

#### მომვლელი პერსონალი

- ჩაიცვით მოხერხებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი
- იყავით მობილიზებული და მომზადებული ყოველნაირი გართულების დასაძლევად

#### პერსონალის რაოდენობა

- როგორც წესი, საჭიროა ერთი, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში ჩართეთ მეორე მომვლელიც

#### ჩატარება

- მომვლელი ექიმთან წარადგენს შეკრებილ ინფორმაციას
- კლიენტს აძლევს ექიმთან მარტო ყოფნის საშუალებას
- შემდეგ თავად ესაუბრება ექიმს კლიენტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, აღნიშნავს კლიენტის არსებულ რესურსებს და აცნობს მოვლის დოკუმენტაციას
- ახალ დანიშნულებას აკრავს დოკუმენტაციაში
- ექიმს აკეთებინებს ჩანაწერს

#### ხარისხის უზრუნველყოფა

- დროული კონსულტაცია და ვიზიტი ექიმთან თავიდან აგარიდებთ შესაძლო გართულებებს
- წინასწარ დაგეგმილი ვიზიტი მომვლელისა და კლიენტის კარგად მომზადების საშუალებას იძლევა
- კლიენტის კმაყოფილება მიღწევადია

#### საყურადღებოა

- არ გამოგრჩეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ანამნეზის შეკრებისას, ყურადღებით დააკვირდით თითოეულ ცვლილებას
- სწორად მიიტანეთ ინფორმაცია ექიმამდე
- გამომარკვით ექიმისა და კლიენტის საუბრის შედეგი
- გაითვალისწინეთ როგორც კლიენტის, ისე მისი ოჯახის წევრების ინტერესი და სურვილი ექიმთან ვიზიტის თაობაზე

## 12. სწავლება

### 12.1. კონსულტაციის განვა კანონის დან მისი ოჯახის წევრებისთვის

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანვ.)	30 წთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მომზადება:

##### მასალა

- კონსულტაციისთვის საჭირო მასალის მომზადება დამოკიდებულია შინაარსზე.

##### კლიენტი/ოჯახის წევრი

- მიწოდეთ ინფორმაცია წინასწარ, რაზე გსურთ საუბარი

##### ოთახი

- მშვიდი, უხმაურო გარემო

##### მომვლელი პერსონალი

- აღჭურვილია სათანადო მასალით
- მომზადებულია როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად
- კარგად იცნობს მოვლის დოკუმენტაციას

#### ჩატარება

- დრო, ადგილი, შინაარსი და თანმიმდევრობა გამომდინარეობს თემიდან და პრობლემის სიმწვაიდან

#### ხარისხის უზრუნველყოფა

- ყველა დროული კონსულტაცია კლიენტის ან მისი ოჯახის წევრების კმაყოფილებას უზრუნველყოფს
- პრევენციული ღონისძიებების გატარება კონსულტაციის შემდეგ თავიდან აგარიდებთ შესაძლო გართულებებს

#### საყურადღებო!

- კლიენტისთვის/ოჯახის წევრისთვის სასურველი ინფორმაციის დროულად მიწოდება საჭირო
- პრობლემის შეცნობა მაშინვე კონსულტაციის გაწევის აუცილებლობას არ ნიშნავს

### 12.2. მოვლის ელემენტების სწავლება

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანვ.)	1 სთ
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მომზადება:

##### მასალა

- თვალსაჩინო და სასწავლო მასალის მომზადება დამოკიდებულია შინაარსზე.

##### კლიენტი/ოჯახის წევრი

- სჭირდება მოხერხებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი

##### ოთახი

- ტემპერატურა წლის დროის შესაბამისად
- თავისუფალი სივრცე ტრენინგის ჩასატარებლად

##### მომვლელი პერსონალი

- აღჭურვილია სათანადო მასალით
- მომზადებულია როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად

### ჩატარება

- დრო, ადგილი, შინაარსი და თანმიმდევრობა გამომდინარეობს თემიდან

### ხარისხის უზრუნველყოფა

- ყველა პროფილაქტიკური ღონისძიებისა და კლიენტის და/ან მისი ოჯახის წევრების მიერ მოვლის ელემენტების შესწავლა სასურველი ხარისხის მიღწევის საშუალებას იძლევა.

### საყურადღებოა!

- თითოეული კლიენტისთვის/ოჯახის წევრისთვის სასურველი სამოძრაო ფართის შესაქმნელად ან სასწავლო მასალის შესარჩევად ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო

## 12.3. რისკ-ფაქტორების (დახვეის) პროფილაქტიკა

შემსრულებელი	დმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანვ.)	30 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

### მომზადება

#### მასალა:

- მოამზადეთ დამხმარე და ტექნიკური საშუალებები (მოფუნქციონირე და სუფთა მდგ-ში)
- გაითვალისწინეთ დასაჯდომი და ხელმოსაჭიდი საშუალებები
- საწოლი საჭირო სიმაღლეზე თუ არ არის (არა გაქვთ ფუნქციური საწოლი), გამოიყენეთ დაბალი ტაბურეტი (ჯორკო)

#### კლიენტი

- გადაამოწმეთ მისთვის მოსახერხებელია თუ არა მისი მდებარეობა
- დაელოდეთ პროცედურის თაობაზე
- შესთავაზეთ წელში გაიმართოს

#### ოთახი

- გამორიცხეთ წაქცევის რისკი
- შეამოწმეთ, შეუძლია თუ არა თავად სინათლის ჩართვა (რა მანძილზეა ჩამრთველი?)
- იზრუნეთ საკმარის განათებაზე, ისე რომ არ იყოს ჩრდილები და დამაბრმავებელი შუქი

#### მომვლელი პერსონალი

- ჩაიტარეთ ხელების ჰიგიენური დეზინფექცია

### ჩატარება

- ოთახში ორიენტირება შეესაბამება სახლის შიდა განლაგებას
- დამხმარე და ტექნიკური საშუალებები ჩართეთ საჭიროების მიხედვით
- ინფორმაცია მიიღეთ კლიენტისგან, გამოიყენეთ მისი გამოცდილება მისი გადაადგილების თაობაზე
- კლიენტი არ უნდა იყოს შეზღუდული მოძრაობაში
- მითითებებისა და საჭირო დახმარების საშუალებით კლიენტი უშიშრად უნდა გადაადგილდებოდეს
- კლიენტის არასრულყოფილი მოძრაობისას ყურადღება მიაქციეთ შესაძლო გართულებებს, თვითონაც გააფრთხილეთ ამის თაობაზე

### დასუფთავება

- დააბრუნეთ ტექნიკური საშუალებები თავის ადგილას
- გააკონტროლეთ კლიენტის მდებარეობა/პოზა საწოლში
- შეამოწმეთ, კარგად გრძნობს თუა არა კლიენტი თავს
- ჩაიტარეთ ხელების ჰიგიენური დეზინფექცია

### ხარისხის უზრუნველყოფა

- ყველა პროფილაქტიკური ღონისძიებისა და ზემოთ მითითებული პუნქტების დაცვა წინაპირობაა სასურველი ხარისხის მისაღწევად.

## **საყურადღებო!**

- თითოეული კლიენტისთვის სასურველი სამოძრაო ფართის შესაქმნელად ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო
- ძალიან ხშირად დაცემიდან პირველ 12 საათში იჩენს თავს ეპიდურალური ჰემატომის ნიშნები, სუბურალური ჰემატომის შეცნობა კი უფრო ძნელია. მწვავე სუბურალური ჰემატომა ეპიდურალური ჰემატომის მსგავსად მიმდინარეობს. ქრონიკული სუბურალური ჰემატომა ვითარდება კვირებისა და თვეების განმავლობაში. ინტრაკრანიალური სისხლდენის ნიშნებია: თავის ტკივილები და ფსიქიური ცვლილებები. არ უნდა გამორიცხოთ ეპილეფსიური შეტევებიც. რა უნდა გააკეთოთ: გაზომეთ წნევა, დაითვალოთ პულსი, შეამოწმეთ კლიენტის ცნობიერება და თვალის გუგები.
- თავის ქალის დაზიანების/მოტეხილობის ერთ-ერთი ნიშანია ე. წ. მონოკლის და შესაბამისად სათვალის ჰემატომა.

### 13. ყველა მოვლითი ღონისძიების წინ და შემდეგ საჭირო მასალის მომზადება და ალაბება, მოვლითი ღონისძიების ჩატარება

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთნის/მომვლელის რაოდენობა	1-2
დრო (საშუალო მანვ.)	20 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

#### მასალა:

მასალის მომზადება დამოკიდებულია პროცედურაზე და მოვლითი ღონისძიებაზე

#### საკუთარი თავის მომზადება (ძირეული და სამკურნალო მოვლა)

- ხელები დაიბანეთ და/ან დეზინფექცია გაიკეთეთ (პროცედურის მიხედვით)
- თხიერი საპონი გამოიყენეთ, შესაძლებელია ფრჩხილების მოვლაც, გამოიყენეთ ერთჯერადი პირსახოცი/ხელსახოცი ძლიერი გაჭუჭყიანების დროს
- კანისა და ლორწოვანის ისეთი სადეზინფექციო ხსნარი გამოიყენეთ, რომელიც ასატანია კლიენტისთვის
- რაოდენობასა და მოქმედების დროს (აღნიშვნა სადეზინფექციო ბოთლზე) მიაქციეთ ყურადღება
- ყურადღება მიექცეს პირადი ჰიგიენის ზოგად პრინციპებს, მაგ.: სამუშაო დამცავი ტანსაცმელი/ერთჯერადი წინსაფარი (სასურველია წყალგაუმტარი), პირის დრუს დაცვაც, თუ ეს საჭიროა
- თავიდან ავიცილოთ: გრძელი ფრჩხილები, არანაირი სამკაული/გრძელი ჯაჭვები/მაჯის საათი
- თმები ერთად შევეკრათ, თუ მხრებამდე სიგრძისაა
- ჩავიხედოთ დოკუმენტაციაში, ხომ არ არის ახალი ცვლილება/შეთითება/დანიშნულება

#### მასალა (ძირეული და სამკურნალო მოვლა)

მასალა სრულყოფილად უნდა გქონდეთ ადგილზე, რადგან:

- ოთახი პროცედურის დროს არ უნდა დატოვოთ
- ჩატარების შემდეგ შეადარეთ დანიშნულებას დოკუმენტაციაში, მაგ.:

#### წესები

- სწორად უნდა იყოს შერჩეული მედიკამენტი
- სწორად უნდა იყოს შერჩეული დოზირება და კონცენტრაცია
- სწორად უნდა იყოს შერჩეული მიწოდების ფორმა (მაგ.: ორალური, პარენტალური, რექტალური და ა. შ.)
- სწორად უნდა იყოს შერჩეული დრო (მაგ.: დღე, დღის მონაკვეთი, საათი)

#### კლიენტის ინფორმაცია

##### დაგეგმილი ღონისძიების პირველადი ჩატარებისას

- დაგეგმილი პროცედურის სრულყოფილი ახსნა-განმარტება
- კლიენტს ვაჩვენოთ/მივუთითოთ ცალკეულ ნაბიჯზე და აუხსნათ
- მივცეთ საშუალება დასვას კითხვები (თუ რამე ვერ გაიგო)
- მისი სურვილები/საჭიროებები პროცედურასთან დაკავშირებით გავითვალისწინოთ და გამოვკითხოთ
- კლიენტმა უნდა მოგვცეს დასტური პროცედურის ჩატარებაზე
- პროცედურამდე კლიენტი ტუალეტამდე მივაცილოთ ან “სუდნო” შევთავაზოთ

##### დაგეგმილი ღონისძიების რეგულარული ჩატარებისას

- დაგეგმილი პროცედურის შესახებ ინფორმაცია მივაწოდოთ იმ მასშტაბით, როგორც თვითონ სურს
- ნაბიჯები 3-6 ჩავატაროთ

#### ოთახის მომზადება

- ფანჯარა და კარი დაფხუროთ (ავიცილოთ ორპირი)

- მოვლითი პროცედურის ჩატარებამდე უზრუნველყოთ ოთახის ტემპერატურა 20-25 გრადუსამდე
- საჭირო განათებაზე ვიზრუნოთ
- ფარდები ჩამოვაფაროთ პროცედურის დროს
- თუ სხვაც წევს ოთახში, ვკითხოთ, ხომ არ უნდა თეჯირის გამოყენება (ინტიმური სფეროს დაცვა)

**სამუშაო გარემოს შექმნა (პირობები)**

- სამკურნალო მოვლის დროს სტერილური/არასტერილური სამუშაო ადგილი შეექმნათ, თუ ეს აუცილებელია
- ხელისშემშლელი და ხმაურის გამომწვევი საგნები გამოვრთოთ
- მნახველებს ვთხოვოთ დატოვონ ოთახი პროცედურის განმავლობაში

**მოვლის დონისძიების ჩატარება (ძირეული და სამკურნალო მოვლა)**

- პაციენტი თანამშრომლობისთვის/თვითქმედებისკენ მივმართოთ, მოვახდინოთ მისი მოტივაცია (ღირსების შეგრძნების ამაღლება)
- დახმარება/მხარდაჭერა იქ, სადაც საჭიროა ( თ )
- პაციენტს პროცედურის მსვლელობისას ცალკეული ნაბიჯები ავუხსნათ
- პაციენტი პროცედურის მსვლელობაში აქტიურად და კომუნიკაციურად ჩაერთოთ
- საწოლი სამუშაოს შესაბამის სიმაღლეზე დავაყენოთ (დავიცვათ ზურგი დაზიანებისაგან)

**დაკვირვების კრიტერიუმები**

- სუნთქვა (სიხშირე/რიტმი/ხარისხი)
- პულსი (სიხშირე/რიტმი/ხარისხი)
- დაკვირვება კანზე (ფერი/ცვლილება/დაძაბულობის მდგ-ბა)
- გამოყოფა (კუჭის მოქ-ბა/შარდი/რეზინება/ნახველი/ოფლი)
- მოძრაობა/ვესტი/მიმიკა/ქცევა/ და ჩატარებული პროცედურის გავლენა
- პაციენტის ტკივილის გამოხატვას, ტკივილის საზღვრებს მივაქციოთ ყურადღება, თუ საჭიროა, პროცედურა შევწყვიტოთ ან პაუზები გავაკეთოთ
- დროდადრო დანიშნულება შევამოწმოთ
- წნევა
- ტემპერატურა
- ცნობიერება

**მოვლის დონისძიების დამთავრება, სამუშაო ადგილის დალაგება**

- პაციენტი მისთვის სასურველ პოზიციაში დავაწვინოთ (არსებული დაავადება გავითვალისწინოთ) და რაიმე სითხე – წყალი, წვენი, ჩაი, ყავა.. შევთავაზოთ
- პაციენტთან ერთად გავარჩიოთ ჩატარებული პროცედურის მოქმედება, გავლენა, წარმატებაზე მიუუთითოთ, გამოვკითხოთ, თუ აქვს კიდევ რაიმე სურვილი
- საჭირო ნივთები ახლოს დავუდოთ
- გამოყენებული მასალა ავაღაგოთ/გადავყაროთ/შევიწინახოთ
- თუ საჭიროა, გამოყენებული მასალის დეზინფექცია და სტერილიზაცია მოვახდინოთ
- ჩატარებული პროცედურა, ჩვენი დაკვირვებები, შეფასებები დოკუმენტაციაში შევიტანოთ
- შესაბამის პირებს ვაცნობოთ რაიმე განსაკუთრებულობა თუ შევამჩნიეთ (კოლეგებს, ხელმძღვანელს, ექიმს)
- ცვლის გადაბარებისას მოვლის გავლენისა და მიღწეული მიზნების შესახებ მოვახსენოთ
- ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა მოვლითი პროცედურების თაობაზე მოვლის პროცესში ჩართულ ყველა პირთან

## 14. დოკუმენტაციის წარმოება

შემსრულებელი	დმ ან ტმ
ექთანთა/მომვლელთა რაოდენობა	1
დრო (საშუალო მანვ.)	10 წუთი
კონტროლი/პასუხისმგებელი	კოორდინატორი

### მომზადება

#### მასალა:

- ანკეტა, სტანდარტული ბლანკები
- კალამი
- მონაცემთა ბაზა პაციენტის შესახებ

#### ოთახი:

- უნდა არსებობდეს ერთი ადგილი დოკუმენტაციის შესანახად, რომელიც ეცოდინება კლიენტს, მისი ოჯახის წევრს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს

#### მომვლელი პერსონალი

- ყოველთვის თან უნდა იქონიოს მწვანე, ლურჯი და წითელი ფერის კალმები დღის სხვადასხვა დროის მონაკვეთში ჩანაწერების გასაკეთებლად

#### პერსონალის რაოდენობა:

- ერთი მომვლელი

### ჩატარება

- დოკუმენტაციის წარმოება იწყება კლიენტთან პირველი ვიზიტისთანავე:
  - საპასპორტო მონაცემები – გვარი, სახელი, დაბ. თარიღი, მისამართი
  - ოჯახური მდგომარეობა
  - აღმსარებლობა
  - პროფესია
  - დაავადება, დიაგნოზი
- დოკუმენტაციაში შეიტანეთ:
  - როგორია კლიენტის პაბიტუსი და მისი ზოგადი მდგომარეობა
  - კანის მდგომარეობა
  - სასიცოცხლო მაჩვენებლები
  - წოლითი მდებარეობა
  - მოვლის გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა
  - ხელისშემშლელი მიზეზები, თუ საქმიანობა ვერ განახორციელეთ
  - ახლად აღმოჩენილი პრობლემები
- თუ პაციენტი არადეკვატურია, დაელოდეთ ოჯახის წევრებს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს და დააფიქსირეთ მისი მდგ-ბა დოკუმენტაციაში

### დასუფთავება

- შეამოწმეთ, ხომ არ აკლია ანკეტას რომელიმე ფურცელი
- დოკუმენტაცია დააბრუნეთ თავის ადგილას

### ხარისხის უზრუნველყოფა

- უზრუნველყოფილია ყველა ბლანკის არსებობა დოკუმენტაციაში
- ბლანკები შევსებულია რეგულარულად
- არსებობს სრული ინფორმაცია კლიენტის, მისი გარემოსა და დაავადების შესახებ

### საყურადღებოა

- დოკუმენტაციის პერიოდული მონიტორინგი და ევალუაცია
- კვირაში ერთხელ გადაამოწმეთ მოვლის გეგმა, თვეში ერთხელ ჩამატეთ ყველა საჭირო ფურცელი

- დააფიქსირეთ ნებისმიერი ცვლილება
- უნდა არსებობდეს ექიმის ყოველი ვიზიტის ჩანაწერი
- დროულად მიაწოდეთ ინფორმაცია ოჯახის ექიმს კლიენტის ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ,
- წინასწარ შეიტანეთ დოკუმენტაციაში ექიმთან დაგეგმილი შეხვედრები და დროულად შეატყობინეთ